წიგნის მეორე თავში მოცემულია კიდევ მრავალი საკულისხმიერი ცნობა, რაც ქმნის ნათელ სურათს, თუ როგორ ატარებდა ლეგალური ბოლშევიკური პრესა 1905-1907 წლებში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის რთულმა და დამაბულ ვითარებაში, თეატრალური ხელოვნების სფეროში თანმიმდევრულ პარტიულ პოლიტიკას. საპირისპიროდ მენშევიკური პრესისა, რომელიც დამცემლობი იყო რევოლუციის ყველა ინტერესებისადმი და, ცხადია, ხელოვნების მიმართაც, ბოლშევიკური გაზეთები და ჟურნალები დაეინებით იბძობდნენ მალადიდურ, ქემშირატად მხატვრული ხელოვნებისათვის, რომელიც სიმართლთა ასახვად სინამდვილის უძირითადეს წინააღმდეგობებს.

ბოლო ორი თავი — „რეაქციის წლებში“ და „ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში“ დაწერილია თეატრმოდული გ. გუბუშვილის მიერ. ისე როგორც წიგნის წინა თავებში, აქ ვხედავთ თემში ღრმა ჩახედულობას, 1907-1914 წლების პერიოდში ბოლშევიკური პრესის მოღვაწეობის საკითხთან რაც შეიძლება უფრო მკაფიოდ გამუქებისაკენ სწრაფვას.

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარტების შემდეგ თეატრალური ხელოვნების სფეროში მდგომარეობა განისაზღვრებოდა იდეური დაქაქუქულობით, რეალიზმისაგან განსვადობით, მისტიციზმითა და პორნოგრაფიით გატაცებით. ბოლშევიკების პარტიამ, მისმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა, გამოჩინილმა პარტი-

ულმა ბუბლიცისტებმა აიღეს თავისთავზე მისია, გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაეწიათ იდეოლოგიურ ფრონტზე რეაქციის პარპაზის წინააღმდეგ.

ესთეტიკის ძირითად საკითხად, რომელშიც გადაჯაგრედინდა ორი მტრულად განწყობილი მიმართულების მახვილი, იყო საკითხი ხელოვნების სინამდვილესთან დამოკიდებულების შესახებ, აღინიშნავს ე. გუგუშვილი და ჩერდება ლენინის ასახვის თეორიაზე. იგი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ეს თეორია გველონება ხელოვნების სფეროში სხვადასხვა ჯურის იდეალისტური და რეაგინიონისტული თეორიების წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრ თეორიულ იარაღად.

როგორც ცნობილია, 1910 წელს დაიწყო მუშათა მოძრაობის გამოცოცხლება. იმ წლის ბოლოს დაარსდა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი „წევრდა“. სთვლიდა რა მუშათა მასების იდეური აღზრდის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად ბრუჟაშვილი თეატრის შემუშავებელი აბტონსფეროს წინააღმდეგ ბრძოლას, გაზეთი თავის ფუნქცილებზე დიდ ადვილს უთმობდა თეატრალურ ხელოვნებას. ე. გუგუშვილის მიერ შეგროვებული მასალებიდან ნათლად ჩანს, როგორი თავდადებათი იბრძოდა გაზეთი რეალიზმისათვის, რეაქციული ლოზუნგის — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ — წინააღმდეგ. წიგნი გვაცნობს ბოლშევიკ-ბუბლიცისტების ე. ვროსკის, დ. ბედნის, ს. კიროვის, მ. ოლმინსკის გამოსვლებს, რომლებშიც აღიარებულია თეატრალური რეალისტური საფუძვლებიდან ყოველნაირი გადახრისადმი შეურიგებლობა.

ინტერესით ეცნობა მკითხველი, რომ უკვე იმ წლებში „წევრდა“ აყენებდა საკითხს სერიოზული, ჩასაფრებელი მუშაობის აუცილებლობის შესახებ მუშათა თვითმოქმედი თეატრის შესაქმნელად.

კანონიერი ადგილი აქვს დათმობილი წიგნში ყოველდღიური ლეგალური გაზეთის „პრავდის“ მოღვაწეობას, რადგან ამ გაზეთის დაბადებით აღინიშნა მსოფლიო მუშათა მოძრაობის ისტორიაში ახალი ეტაპი და მისი ფურცლები პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების აღმავლობის გამოსატყვის შეიცავდა.

სხვა საკითხების წამოყენების გვერდით „პრავდა“ გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებდა ხელოვნებაში ყველა ჯურის ანტირეალისტური მიმართულებების წინააღმდეგ. წიგნში თავმოყრილი მასალა საშუალებას იძლევა თვალის დადევნით, თუ როგორ შეურიგებლობას იჩენდა გაზეთი ობიექტივიზმის გამოხატულების წინააღმდეგ, როგორ გაბედულად იცავდა იგი ხელოვნების დემოკრატიულ საფუძვლებს, რა სიმამაცით იბრძოდა ხელოვნებაში ნამდვილი ბოლშევიკური პარტულო-

ბისა და მაღალი იდეურობისათვის. „პრავდა“ აზოგადებდა ყველა იმ პირობებს, რომელიც სხვადასხვა დროს აღიძრა რევოლუციამდელი ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე და გამოხატავდა კომუნისტური პარტიის ესთეტიკურ პროგრამას ხელოვნების საკითხების, კერძოდ, თეატრალურის შესახებ.

აღინიშნავს რა რევოლუციური აღმავლობის კონკრეტულ პირობებს და ამოცანებს, რომლებიც იმ წლებში პარტიის წინაშე იდგა, რამაც განაპირობა „პრავდის“ განსაკუთრებული ყურადღება თეატრალური თვითმოქმედებისადმი და მისცა მას საშუალება თვითმოქმედების წრეების საფუძვლებზე, საკუთარი, მუშათა თეატრის შექმნის საკითხის ბოლშევიკური პროფკავშირების წინაშე წამოყენებისა, ე. გუგუშვილი იკვლევს, როგორ იდგებოდა ამ დარგში პირველი ნაბიჯები, როგორ ატარებდა მუშაობას გაზეთი მუშათა და გლეხთა ორგანიზებასა და თვითმოქმედების აღზრდაში. ამ მუშაობის ტრიუმფს ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ ახლა, როდესაც თიანეთ თემზე იბრუნება სახალხო თეატრების, მუსიკისა და ცეკვის, სამხატვრო სტუდიებისა და ლიტერატურული წრეების რიგები.

ე. გუგუშვილისა და ა. იუფიტის წიგნი მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს. მასში თავმოყრილი და განზოგადებულია დიდალა მნიშვნელოვანი მასალა. არ იქნებოდა სწორი, გვეფიქრა, თითქოს ეს ნაწარმოები მხოლოდ თეატრმცოდნეებისათვის არის საინტერესო. ეს წიგნი ხომ ძნელად საშოვნელია ჩვენი რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში. ვფიქრობთ, რომ 3000 ეგზემპლარი, რომელიც გამოემყვება „ხელოვნებაში“ გამოუშვა, შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ კარგ წამოწყებად, რომელიც კეთილად დაგვირგვინებს მოითხოვს — წიგნი ხელახალი დიდი ტირაჟით უნდა გამოვიდეს. სასურველად მიგვაჩინა, ამ ნაწარმოების ქართულ ენაზე თარგმნა, მაგრამ ეს უკვე გამოცემლობის მუშაკთა საქმეა. ჩვენ კი ჯერჯერობით გამოეთქვამთ სინანულს, რომ მათ შორის, ვინც ამ წიგნის უამრავ საინტერესო და საჭირო ცნობას სიაშოვნებით გავცნობდა და შეისწავლიდა, მხოლოდ მცირე ნაწილი მიახერხებეს მის შოვნას... ხოლო ბოლშევიკური პრესის ბრძოლა სოციალისტური კულტურის ფორმირებისათვის ბევრის მასწავლებელია. როგორც ეს სწორადაა მოცემული ავტორების დასკვნაში, სკაკ-ს ბრწყინვალე გამოცდილება კულტურული მშენებლობის დარგში, ისევე, როგორც სკაკ-ს და მისი პრესის ნახევარსუენზე მეტი ხნის გმირული მოღვაწეობა, გვევლინება ღირსეულ მაგალითად მათთვის, ვინც დღეს იბრძვის ტემპორიტად ნაციონალური სოციალისტური ხელოვნებისათვის, მისი მიღწეებისა და აყვავებისათვის.





საქართველოს ჟურნალისტთა მეორე ყრილობა

„კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, ნიკიტა ხრუშჩოვის ძე ხრუშჩოვი ყოველთვის დიდად აფასებდნენ და აფასებენ ჟურნალისტთა — კომუნისტების დიადი საქმისათვის აქტიურ მებრძოლთა, ჩვენი პარტიის თანაშემწეთა კეთილშობილურ შრომას. კომუნისტური მშენებლობის წარმატებებში, რომლებიც საქარ-

თველოს მშრომელებმა მოიპოვეს, თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს ბოლშევიკური პრესის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებით აღზრდილმა საქართველოს პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და გამომცემლობათა მუშაკებმა“, — აღნიშნულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმებაში რესპუბლიკის ჟურნალისტთა მეორე ყრილობისადმი, რომელმაც მუშაობა დაიწყო თბილისში ექვს მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში ყრილობა გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეებ, გავუთ „ზარია ვოს-





ტოკას" რედაქტორმა ირაკლი ჩხიკვი-
შვილმა. ყრილობის ხელმძღვანელი ორ
განოების — საქმიანი პრეზიდიუმის
სამდივნოს, სამანდატო და სარედაქციო
კომისიების არჩევნები დამთავრდა. წინა-
დადება შემოაქეთ, საქართველოს ჟურნა-
ლისტთა მეორე ყრილობის საპატიო
პრეზიდიუმში არჩეულ იქნეს საბჭოთა
კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტ-
რალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამბა-
ნავ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მეთა-
ურობით. ამ წინადადებას დეკლავტემი

და სტუმრები ფეხზე ამდგარი, მქუხარე, ხანგრძლივი
ტაშით შეხედნენ.

სიტყვა მიეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის ბროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების
გამგეტის მიხეილ გოკიჩაიშვილს. დამსწრეთა ტაშის გრი-
ალში მან წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს მისალმება ჟურნალისტთა ყრილობისადმი. დამს-
წრენი უდიდესი კმაყოფილებით შეხედნენ ამ დოკუმენტის
სიტყვებს: „ახლა, როცა სკკპ XXII ყრილობის ისტორი-
ული გადაწყვეტილებებით შთაგონებულმა მთელმა საბ-
ჭოთა ხალხმა გიგანტური ბრძოლა გაშალა ჩვენს ქვეყა-
ნაში კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამის
განხორციელებისათვის, გაზეთებისა და ჟურნალების
რედაქციების, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკების მთა-
ვარი და საპატიო ამოცანაა XXII ყრილობის გადაწყვე-
ტილებების, პარტიის ახალი პროგრამის ბროპაგანდა, მა-
ღალი კომუნისტური მორალის ადამიანის აღზრდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური
კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-
დიუმი და მინისტრთა საბჭო უსურვევენ საქართველოს
ჟურნალისტთა მეორე ყრილობას წარმატებებს მუშაობაში
და მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ რესპუბლიკის
ჟურნალისტები კვლავაც იქნებიან სიმართლის მჭადაგე-
ბელნი, დიდი ლენინის უკვდავი იდეების დაუსცრომელი
ბროპაგანდისტები, თავიანთი კალმითა და მგზნებარე სი-
ტყვიით უანგაროდ ემსახურებიან მშობელ ხალხს, კომუ-
ნიზმის დიად საქმეს“.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სა-
ანგარიშო მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარე
ირაკლი ჩხიკვიშვილმა.



საქართველოს ჟურნალისტებისათვის, ისევე როგორც
მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, აღნიშნავს მომხსენებელი, ამ-
ჟამად არ შეიძლება იყოს უფრო დიდმნიშვნელოვანი,
უფრო საპატიო და პასუხსავები ამოცანა, ვიდრე ბრძოლა
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილო-
ბის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ბროპაგანდისა და
განხორციელებისათვის. სკკპ XXII ყრილობის მნიშვნე-
ლობა ისიც არის, რომ ამ ყრილობაზე ლენინურმა პარ-
ტიამ გაბედულად და მამაცურად უთხრა საბჭოთა ხალხს
მწარე სიმატილე სტალინის ბიოგენების კულტის პე-
რიოდში დაშვებული სერიოზული შეცდომების შესა-
ხებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უკვე რამდენიმე თვეა,
რაც მუშაობა დაამთავრა სკკპ XXII — კომუნისტის მშე-
ნებელთა ყრილობამ. რით აღნიშნა ჩვენი რესპუბლიკის
ჟურნალისტთა ცხოვრებასა და შემოქმედებაში ეს დრო?
სიამაყით შეიძლება დაეახებოთ გაზეთის ასობით ფურ-
ცელი, ჟურნალის ნომერი, რადიოგადაცემა და ტელევი-
ზიის დღგმა, რომლებიც გაკეთებულია შემოქმედებითი
შთაგონებით და ნამდვილი ჟურნალისტური ოსტატობით
და რომლებშიც მკაფიოდ, გასაგებად, კონკრეტულ ცხოვ-
რებისეულ მაგალითებზე, მრავლისმთქმელ ციფრებსა და
ფაქტებზე დაყრდნობით წარმოგებს ჩვენი პარტიის XXII
ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საქმიანი, და-
მაჯერებელი ბროპაგანდა. გაუზვიადებულად შეიძლება
ითქვას, აღნიშნავს მომხსენებელი, რომ ეს დრო საქარ-
თველოს ჟურნალისტების ცხოვრებაში იყო ყველაზე ნაყო-
ფიერი, ყველაზე შთაგონებელი, ყველაზე შემოქმედებითი.
საქართველოს პრესის ფურცლებზე, რადიოსა და ტელევი-





ზიაში ფართო ადგილი უჭირავს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოწინავე გამოცდილების დანერგვის საკითხებს, წარმოების რენტაბელობის, ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის თვითღირებულებისა და შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და ინტენსიფიკაციის საკითხებსა და ეკონომიკის ბევრ სხვა კონკრეტულ პრობლემას. თუმცა, ამომბოს მომხსენებელი, ამ მიმართულებით პრესის მუშაობაში ნაკლოვანებანიც გაგვანია. მოწინავე გამოცდილების პრობლემის საკმეში ყველაფერი თითქოს რიგზეა, მაგრამ ამ გამოცდილების ცხოვრებაში, პრაქტიკაში დანერგვით ჩვენ განსაკუთრებით ვერ ვიქვით თავს.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი საწყისების განვითარებას საბჭოთა ადამიანების საზოგადოებრივი და სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში. — ჩვენი ჟურნალისტები, — აღნიშნავს იგი, — გაბედულად, გასაკებად, დაკვირვებით უწყვენ პროპაგანდას პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გამოცდილებას, მათ მუშაობას საზოგადოებრივი საწყისების განვითარების დარგში. რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების ფურცლებზე რეგულარულად გამოიდან პარტიული კომიტეტების შტატგარეშე ინსტრუქტორები, პოლიტიკური განათლების კაბინეტების გამგეები, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ, პარტიის საქალაქო და

რაიონული კომიტეტების შტატგარეშე განყოფილებების ხელმძღვანელები. თითქმის ყველა რედაქციაში შექმნილია შტატგარეშე განყოფილებები, ბევრ გაზეთში მუშაობს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა საბჭოები.

ბევრი გაზეთისა და ჟურნალის, რადიოს, ტელევიზიის მუშაობაში უკანასკნელი წლების მანძილზე წამყვანი, ძირითადი თემები გახდა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის, ხალხთა მეგობრობის საკითხები. მომხსენებელი ლაპარაკობს ახალი ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდის საკმეში პრესის ამოცანებზე, დაწვრილებით ეხება ჟურნალისტთა კავშირის — ერთერთი ყველაზე ახალგაზრდა შემომქმედებითი ორგანიზაციის საქმიანობას.

დასასრულს მომხსენებელი აღუთქვამს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ რესპუბლიკის ჟურნალისტები კვლავაც დაუსრუტელი ენეგით იშრომებენ, მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ გაამართლონ ლენინის დიდი პარტიის თანამშემწეთა მაღალი წოდება.


ყრილობამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიც ვაკეთა კომისიის თავმჯდომარე მ. ყარყარაშვილმა.

ამის შემდეგ მოხსენებათა გამო გაიმართა ვაცხოველებული კამათი.

ჟურნალისტთა კავშირის აჭარის განყოფილების თავმჯდომარემ, ვაჭეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორმა რ. სირაძემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ პარტიის XXII ყრილობამ უდიდესი ინტერესი, პოლიტიკური და შრომითი ერთუზიანობის აზვირთება გამოიწვია საბჭოთა ადამიანებში. აჭარაში მომუშავე ჟურნალისტები ცდილობენ ფართოდ, მრავალმხრივად ასახონ და გააშუქონ ის უდიდესი აღმავლობა, რომელიც თან მოჰყვანა ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, იბრძვიან მათი ცხოვრებაში გატარებისათვის, მათ თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიიჩნიათ დააკმაყოფილონ მკითხველთა ვაზრდილი სულიერი მოთხოვნილებანი.

დღეს აფხაზეთის გაზეთების მთავარი ყურადღება ეთმობა პარტიის XXII ყრილობის გადაწყვე-





ნეობისა და მეცხოველეობის განვითარებაში არსებული ჩამორჩენისათვის. ჟურნალისტების მოვალეობაა, დაეხმარონ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას დარაზმოს სოფლის მშრომლები აღნიშნულ ნაკლავანებათა აღმოსაფხვრელად.

ტილებებისა და დოკუმენტების პროპაგანდას, — აღნიშნავს ჟურნალისტთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარე, გაზეთ „აფსნი ყაფუპის“ რედაქტორი ნ. კიუტი. — ჩვენმა გაზეთებმა ვააფართოვეს პროპაგანდისტული გამოსვლების თემატიკა, მრავალფეროვანი გახადეს მათი ფორმები. საოლეო გაზეთებში შემოღებულია მულტიმიდი რუბრიკა „სკკპ XXII ყრილობის მასალების შემსწავლელთა დასახმარებლად“.

გაზეთების მუშაობაში სოფლის კორექსონდენტთა დიდ როლზე ილაპარაკა სოფლკორმა, მახარაძის რაიონის სოფელ ნავომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეჩაიემ ლეილა მალულარიამ. ქუთაისის საქალაქო გაზეთის „ქუთაისის“ რედაქტორმა გივი მეფისაშვილმა აღნიშნა, თუ რა სარგებლობა მოაქვს გაზეთისა და ჟურნალების სარედაქციო მუშაობაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ჩაბმას, მსტატარეუ სარედაქციო განყოფილებების პრაქტიკას.

ყოველ გაზეთს თავისი კურსი, თავისი სახე, თავისი წამყვანი თემა აქვს — ამოხსნა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორი პ. ასლანიდი. — ჩვენი გაზეთისათვის მთავარი ამოცანაა ბრძოლა მშობლიური ქალაქის სილამაზისა და კულტურისათვის, თბილისში გაკეზული სახალხო მოხმარების საქონლის მაღალი ხარისხისათვის, მოსახლეობის საუკეთესო კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

ჟურნალისტთა ახალი კადრების მომზადების, მათი აღზრდისა და დაოსტატების საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოცვლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტის კათედრის გამგემ პროფესორმა დავით გამეზარდაშვილმა.



პარტიული და საბჭოთა პრესის მუშაობის მთელ რიგ მნიშვნელოვან, აქტუალურ საკითხებზე ილაპარაკეს კამათში გამოსულმა ორატორებმა: გეგეჭკორის რაიონული გაზეთის „სოციალისტური სოფლის“ რედაქტორმა ლ. მოწერელიამ, მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროის“ რედაქტორმა ვ. ჯაყელმა, გაზეთ „სოვეტკან ვრასტანის“ რედაქტორმა ა. ბლრციანმა, გაზეთ „თბილისის“ რედაქტორმა ვ. გურულამ, გაზეთ „სოვეტონ ირისტონის“ რედაქტორმა ა. ქუმარიტომმა, გაზეთ „ლენინსკოე ზნამის“ რედაქტორმა მ. გოლოვასტიკომმა, ჟურნალ „საბჭოთა ხელფანების“ საილუსტრაციო განყოფილების გამგემ ფოტოჟურნალისტმა ა. ბალაშუევმა, ახალციხის სარაიონთაშორის გაზეთის რედაქტორმა ვ. გურულამა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების პრესის მუშაკთა სახელით ყრილობას მიესალმნენ აზერბაიჯანის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტი“ რედაქტორი ი. ნაზაროვი და სომხური სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის რედაქტორი მ. ჟორაიანი. წაიკითხეს მისასალმებელი



ჟურნალისტმა პ. შამათავამ ილაპარაკა საქართველოს რაიონისა და ტელეგრაფების შესახებ, აღნიშნა, რომ მათში ცენტრალური ადგილი უკავია პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას, მასალებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დამკვირვებელთა, კომუნისტური შრომის ბრიგადების გამოცდილების შესახებ. ამასთან აღნიშნა, რომ ჟურნალისტთა გამგეობა და მისი სექციები საქმარის ჟურნალისტს არ უთმობენ შემოქმედებითი ხასიათის საკითხებს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების პრესის მუშაკთა სახელით ყრილობას მიესალმნენ აზერბაიჯანის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტი“ რედაქტორი ი. ნაზაროვი და სომხური სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის რედაქტორი მ. ჟორაიანი. წაიკითხეს მისასალმებელი



ჩვენი რესპუბლიკის ჟურნალისტებს უდიდეს მოთხოვნებს უყენებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის ბლეუში — აღნიშნავს გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი მ. დავითაშვილი — მასნავ ნიკიტა სერგის ძე ბრუშოვის მოხსენებაში გაკრიტიკებულია ჩვენი რესპუბლიკა მარცვლეულის მეურ-



დეპუტები, რომლებიც გამოგზავნენ უკრაინის ყურნალისტთა კავშირის გამგეობამ, ლატვიისა და ლიტვის ყურნალისტებმა.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ყურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა პ. ა. ეროფეევმა. იგი გულთბილად მიესალმა ყრილობის დელეგატებს და გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს პრესის მუშაკები — საბჭოთა ყურნალისტების ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი — აღმოჩნდებიან პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების სიმალღვეზე. მთელი შეგნებით, რწმენით და სიმართლით ემსახურებიან ხალხს, კომუნისტურ პარტიას.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ გ. ა. გეგევიძე, დ. გ. სტურუა, გ. ი. ჩოგვაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი რ. ი. ფრუიძე.

საქართველოს ყურნალისტთა მეორე ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ყრილობამ საქართველოს ყურნალისტთა კავშირის გამგეობის მუშაობა ერთსულოვნად ჩაივალა დაბაკმყოფილებლად. დახურული ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა საქართველოს ყურნალისტთა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

* * *

გამართა პირველი პლენუმი საქართველოს ყურნალისტთა კავშირის გამგეობისა, რომელიც აირჩია რესპუბლიკის ყურნალისტთა მეორე ყრილობამ. ვანხილულ იქნა საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმმა აირჩია გამგეობის პრეზიდიუმი, რომელშიც შედიან: თ. აბაშაძე — ყურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი, გ. ბედნიევილი — გაზეთ „მოლოდიოე გრუზის“ რედაქტორი, ა. ბლრციანი — გაზეთ „სოვეტკან გრასტანის“ რედაქტორი, კ. გარდაფხაძე, მ. გოლოვასტიკოვი — გაზეთ „ლენინსკოე ზნამის“ რედაქტორი,

ნ. ჯაში — გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი, ა. ძიძიგური — ყურნალ „დროისი“ რედაქტორი, მ. დავითაშვილი — გაზეთ „სოფლის მეურნეობის“ რედაქტორი, კ. ლოლაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი, დ. მჭედლოშვილი — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი, ვ. მებუქე — ყურნალისტ-ტი, გ. ფიცხალავა — ყურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორი, ი. ჩხივიშვილი — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი, ვ. ჭიაურელი — საქედსის დირექტორი, ი. ევაძე — ყურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი. საქართველოს ყურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე არჩეულია ი. ჩხივიშვილი, მის მოადგილე — გ. ფიცხალავა და ვ. ჭიაურელი, გამგეობის პასუხისმგებელ მდივანდ ვ. მებუქე, სარევიზიო კომისიის პირველ სხდომაზე კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ა. ჩავლიევილი.

საქართველოს ყურნალისტთა მეორე ყრილობის დელეგატები, სტუმრები კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ საბრძოლო პოსტებს იმ რწმენით, რომ მუშაობენ რა ხალხისათვის მისი ბედნიერებისა და აყვავებისათვის, მასების დახმარებით და მასებზე დაყრდნობით, კიდევ უფრო ფართოდ ვანვითარონ მუშოსოფლკურთა მოძრაობა, პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მშრომელთა ფართო მასების აღზრდას ხალხთა ურდევით მძური მეგობრობის სულსკვეთებით.

ფოტოები პ. შეგენეოსი



შენიშვნები მსახიობის ხელოვნებაზე

შოთა აღსამაძე

მსახიობის ოსტატობა და მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა სცენაზე, თავისი ფსიქოლოგიური და მატერიალური საშუალებებით, ფორმითა და პროცესით დიდად განსხვავდება ხელოვნების სხვა დარგის მუშაკების მოღვაწეობისაგან.

ტელეონების ყველა სხვა დარგზე შექმნილი ეს თუ ის ნაწარმოები სტაბილურია, რადგან ერთხელ განცდილი, ჩანაფიქრი, როცა უკვე საბოლოოდ განზოგადებულია, უცვლელი რჩება და სამუდამოდ ფიქსირდება. მსახიობის შემოქმედებითი პროცესი კი დინამიკური და ცოცხალია, რადგან ის, როგორც შემოქმედითი თვითონვე ანსახიერებს და ქმნის მხატვრულ სახეს.

ხელოვნების ნაწარმოები იქმნება ცხოვრების სინამდვილიდან, მსახიობი კი შემოქმედებითი მუშაობის დროს გამომდინარეობს უკვე შექმნილი მხატვრულ-დრამატული ნაწარმოებიდან მხოლოდ შემდეგ უკავშირდება ცხოვრების სინამდვილეს. შემოქმედებით პროცესში ის ეყრდნობა ხელოვნების ყველა დარგს: მხატვრულ ლიტერატურას, მუსიკას, მხატვრობას, ქანდაკებას, ხელოვნობებს და ამა თუ იმ ეპოქის მატერიალურ კულტურას. გარდა ამისა, იგი ასე თუ ისე უკავშირდება მეცნიერებას, ფილოსოფიას, განსაკუთრებით კი ისტორიასა და ხალხთა წყნ-ჩვეულებებს.

ყველა სახის ხელოვნება, გარდა მსახიობის ხელოვნებისა, შემოქმედებითი პროცესის დროს სხვადასხვა საწარმოო საშუალებებს მოითხოვს. მაგალითად, მხატვრობისთვის აუცილებელია პალიტრა, ფუნჯი, ტილო, კომპოზიტორის სჭირდება მუსიკალური ინსტრუმენტი, ნოტის ქაღალდი, მოქანდაკეს — რკინის ან ხის საფეხკეი, ჭოლო და ჩაქური, მარმარილო, თიხა და ა. შ.

როგორც ვხედავთ, მათი საწარმოო იარაღი მატერიალურია, ხელშეასხები, აქვს წონა, მოცულობა და ფორმა, რის საშუალებითაც ფიქსირდება და სამუდამოდ რჩება მათი შემოქმედებითი ნაწარმოები.

მსახიობს კი ასეთი საშუალებები არ აქვს. მისი საწარმოო იარაღი, მასალა და ნაწარმოები არის თვითონ მსახიობი. სწორედ ეს არის ის დიდი განსხვავება და განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც ახასიათებს მსახიობის ხელოვნებას. ხელოვნების სხვა დარგი მოკლებულია იმ შესაძლებლობას და უპირატესობას, რაც გააჩნია სცენას, ეკრანულ მსახიობს, რადგან მსახიობი და მისი ნაწარმოები ეს ერთი და იგივე რამ არის — ეს არის მსახიობისა და ავტორის მიერ მოცემული სახის ერთ პიროვნებაში, მსახიობის ფიზიკურ და სულიერ „ხეში“ გარდაქმნა. სწორედ ამაშია მსახიობის უპირატესობა, ბედნიერება და ამავე დროს „უბედურება“, რადგან მისი სიკვდილის შემდეგ არავფიქრდება. მის მიერ შექმნილი მხატვრული ნაწარმოები დროებითია და მისი შემოქმედება ლამპარით იწვის და ქრება.

მსახიობი ავტორის მიერ მოცემულ სახეს, რომელიც მხო-

ლოდ გონებით და შერქმენებით არის მისაწვდომი, თავისი შემოქმედებითი ოსტატობით ცოცხალ არსებად გადაქცევის. სხვის სახეს და სხვის ხასიათს მსახიობი თავისად ხდის, უღვამს მას საკუთარ გულს, აძლევს თავის სუნთქვას, მაჯისცემას, თანაც თავისი გრძობებით და აზროვნებით ისე მოქმედებს, რომ ცხოვრობს იმ მიზნებით და სურვილებით, რომელიც ახასიათებს.

ხელოვნების სხვა სახეობანი ცხოვრების სინამდვილეს ასახავენ გარკვეულ საზღვრამდე, იმის იქით მათ აღარ შეუძლიათ განვითარება, სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ არ ძალუძთ თავის ნაწარმოებს მისი ცხოვრებაში შეაბნეონ და ცოცხალ არსად გადააქციონ, რის შესაძლებლობაც აქვს მხოლოდ ბუნებას. მსახიობის ხელოვნება ბუნების ძლევამოსილებას ემსგავსება, თითქოს იგივე ქმნის ახალ სიცოცხლეს, მხოლოდ ერთი დიდი განსხვავებით: ბუნება შობს ახალ სიცოცხლეს და შემდეგ მას სცილდება, აძლევს დამოუკიდებელ ინდივიდუალურ სახეს განსაზღვრულ დროში და სივრცეში. მსახიობი კი, თავის ცოცხალ, ინდივიდუალურ „მეს“ სულ მოკლე დროში გარდაქმნის იმ სახედ, რომელიც მას ესაჭიროება, მაგრამ მას ვერა სცილდება. მისი ქმნილება, მისივე „მესაგან“ — განუყოფელია, მას არ გააჩნია ისეთი დამოუკიდებლობა, როგორც ეს ბუნებაში და ხელოვნების სხვა დარგებში ხდება.

საერთოდ, ხელოვნება სწორედ იმით განსხვავდება სინამდვილისაგან, რომ ხელოვანი შეგნებულად ხარვეზობს ცხოვრების მოვლენათა ცალკეული მონაცემებით თავისი სურვილის, ამოცანის, იდეის მიხედვით და სინამდვილეში არსებულს ასახავს მისი მოზარბის, განვითარების, ცვალებადობის ამა თუ იმ მომენტში, ასე ვთქვათ, იჭერს „აჩერებს“ მას. ხელოვანი ოსტატურად ხარვეზობს ამ მომენტით, როდესაც მის მიერ არჩეული ობიექტი საუკეთესოდ გამოხატავს თავის შინაარსს, ფორმას, ხასიათს ტიპიურობას, ახდენს მის ფიქსირებას, როგორც ცხოვრების სინამდვილის ანარკვლისა. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული ნაწარმოები მოცემულია სტაბილურ, უცვლელ მდგომარეობაში, ადამიანს შეუძლია შეიგრძნოს მისი მოძრაობის წინა ეტაპი, განვითარება და ბოლო; შეუძლია შეიგრძნოს გონების და შეგნების ლოკაციურ განზოგადების შემდეგ, როგორც მთავარი ზეამოცანა, ანუ იდეა, რისთვისაც იყო იგი შექმნილი. ვინაიდან სინამდვილეში ყოველი მოვლენა და მისი ცალკეული მომენტები წარმავალია, ამიტომ ადამიანს სურს შეინარჩუნოს სილამაზის მომენტები, რომელიც მას უნახავს და განუცდია, რაშიაც არ უნდა იხატებოდეს იგი — ბუნების მოვლენაში, ადამიანის ცხოვრებაში, ერის ისტორიულ ცხოვრებაში თუ წყნ-ჩვეულებებში.

ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენელი, გარდა მსახიობისა, შემოქმედებითი პროცესის დროს უშუალოდ არ უკავშირდება მიკითხვებს, მსმენელს თუ მაყურებელს, ისინი მხო-

ლიდ გულისხმობენ მათ, მათთვის შემუშობენ და ქმნიან თავიანთ ნაწარმოებებს. მათი შემოქმედება მიმდინარეობს ცალკე, სხვის დაუსწრებლად, ისინი მართდნენ შრომაობენ და ასევე მართდნენ განიცდიან თავიანთ ჩანაფიქრს. ეს მათი ნაშრომი მხოლოდ მათ ეკუთვნით და არაფერად არ ჩაითვლება, სანამ იგი სხვისთვის მისაწვდომი არ გახდება; ნაწარმოების გამოწვეურების შემდეგ თვითონ შემოქმედელი უკვე განზე რჩება, რადგან მისი ნაშრომი მას აღარ ეკუთვნის. შემოქმედელი, რომ არც ცოცხლობს, მისი ნაწარმოები მაინც განაგრძობს არსებობას და ადამიანები თავისი სურვილის მიხედვით ტკბებიან და განიცდიან ესეთიკურ სიამოვნებას.

მსახობის ამისათვის არაფერი გააჩნია გარდა საკუთარი თავისა, მისი სახე მსახობის პიროვნებისაგან განუყოფელია და არსებობს იმდენ ხანს, სანამ ის, როგორც ცოცხალი პიროვნება, მოქმედებს განსაზღვრულ დროში და სივრცეში. მსახობის შემოქმედებმა იბადება იქვე, მაყურებლის წინაშე და იქვე მაყურებლის წინაშევე ქრება შემოქმედების დასრულების ბოლოს.

მსახობის შემოქმედების მასალა მისივე სხეული, ხმა, შეყვებობა, ტემპერამენტი, გრძნობები, სმენა, მუსიკალობა, რიტულობა, პლასტიკურობა, სახის გამოთქვევლება, გემოვნება, ჭკუა, გინება, აზროვნება, განცდები და ნებისყოფა — რითაც ის ქმნის ხელოვნების ნაწარმოებს.

მსახობის შემოქმედება სინთეზურია, რადგან იქ მრავალგვარ საშუალებას იყენებს: სიტყვას, როგორც მხატვრულ-ლიტერატურულ ნაწარმოებს, ხმას, როგორც მუსიკალურ ელემენტს, რადგან იგი ჟღერს სივრცეში და დროში, იმ რიტმში და ტემპში, რომელსაც განსაზღვრავს მოქმედი პირის ხასიათი, მდგომარეობა და განცდები. დრამატული მსახობი თვითონვე ქმნის ხასიათის მუსიკალურ კომპოზიციას. მისი მოძრაობა პლასტიკურია და ფერწერული ასახვა სახისა. მისი ტანის მოქმედებს მოცემული ხასიათის მიხედვით, უღვევლი და მრავალფეროვანი ხასუებით, შინაგან ფსიქიურ განცდებთან პარზონიულ მთლიანობაში. მისი ტანი მეტყველებს მძიმეებით, წერტილებით, კითხვებს და საერთოდ გრძნობის ნიშნებით, რათა დააგროვოს რაც შეიძლება დიდი ძალა და ენერჯია მომავალი მოქმედებისათვის, სადაც წყდება მისი სამკვდრო-სისიცხობი ბედი. ასეთ უფთხეში მსახობი მოქმედებს ისევე, როგორც მოქანდაკე — აყალიბებს თავის მოქმედებას სივრცეში და სკულპტურული ფიქსაციის საშუალებით გამოხატავს განცდების უზღაღეს წერტილებს. მსახობი თავისი შემოქმედებით მხატვარულ არის, მოქანდაკე, კომპოზიტორი და მწერალიც, რადგან იგი თავის მიერ დასახულ სახეს მხატვრული მეტყველებით ასახიერებს.

მსახობი თავის თავზე იღებს დრამატული პოეზიის მიერ შექმნილ სახეს, მის შინაარსს და ფორმას, გამოხატავს მას მთელი თავისი რწმენით და გატაცებით, ისმარს თავის შინაგან სულიერ მიძრაობას.

მსახობი თვითონ არის სუბიექტიც და ობიექტიც. მის მიუარა ძალას წარმოადგენს მოქმედება, ის კაოდორივით მოქმედებს მაყურებელზე, გავლენას ახდენს მასზე, უღვიძებს კეთილშობილურ გრძნობებს: ხან ატარებს, ხან ახარებს, რის გამოც მსახობის იქვე, მისი შემოქმედების დროს აჯილდოებენ.

როლის შესრულების მომენტში მსახობის რეალურ-ფანტასტიკური ოცნება მიცემულია შესუღვლულ დროში, რომლის შემდეგ ყველაფერი ქრება და ხდება ჩვეულებრივი. ნიჭიერი, დიდი მსახობი მდინდირთა თავის სიცოცხლის დროს, რაც იშვიათია ხელოვნების სხვა დარგში. ჩვენ ვივით მრავალი მაგალითი, როდესაც დიდმა შემოქმედმა ადამიანებმა თავიანთ სიცოცხლეში დიდი უღბლობა და უხედეურება განიცადეს, ვერ გახდნენ ცნობილინი და არ იყვნენ მიღებულინი საზოგადოების მიერ, სიკვდილის შემდეგ კი ისინი დიდად დაფასეს. მსახობითა წრემი ასეთი მაგალითი არასოდეს ყოფილა.

პოეტის ასი ის ნიადაგია, სადაც იზრდება და ფორმდება ის ახალი მომავალი მხატვრული სახე, რომელსაც პოეტი ატარებს თავის სულიერ სამყაროში, როგორც პირში შვილს და მას მუდუნებოდ წარმოშობს, რადგან აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს პოეტსა და მის მიერ შექმნილ სახეს შორის.

მსახობი სულ სხვა პიროვნებაა, ვიდრე ის მოცემული სახე, რომელიც მან უნდა განასახიეროს, მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობს, როგორც უცნობ პირთა შორის და ისინი თითქოს წარზიდადენენ ორ კონკრეტულად ჩამოყალიბებულ პიროვნებას, რომელთაც საკუთარი „მე“ გააჩნიათ და მათ შორის არ არის როგორც ფიზიკური, ისევე სულიერი მსგავსება. ისინი არ არიან დაკავშირებული არც სოციალური მდგომარეობით, არც პროფესიით და წოდებით, არც ასაკით, არც ოჯახური მდგომარეობით და ხშირად არც ეროვნებით.

ამის გამო მსახობი და ესა თუ ის როლი იმთავითვე წარმოადგენენ ორ საწინააღმდეგო საწყისს, რომელიც თავიანთ პოტენციალში აქვთ მხოლოდ ერთიმეორისადმი ლტოლვა, მიმოვიღელობა და გატაცება. ისინი თანადად ურთიერთმოქმედებენ, ამყარებენ კონტაქტს, ეცნობიან ერთიმეორეს, სპობენ მათ შორის არსებულ უთანხმოებას და წინააღმდეგობას, როგორც დადებითი, აგრეთვე უარყოფითი მხარეებისა. ამ ბრძოლის შედეგად საბოლოოდ იბადება ახალი, მესამე, რომელიც ასახავს მსახობისას და ამა თუ იმ როლის ერთიანობას, ხდება ამ ორი საწყისის შერწყმა, ერთ სამზონიერ მთლიანობაში.

პოეტი მხატვრულ სახეს სულიერად ეუღლება და შობს ახალს, რომელიც სცილდება მას და ცხოვრობს საკუთარი სიცოცხლით, როგორც მხატვრული ნაწარმოები. ის უკვე პოეტის დაუხმარებლად, თვითონვე ახდენს შთაბეჭდილებას ადამიანებზე. მსახობი კი, ვერ სცილდება თავის ობიექტს, ესე იგი როლი, რადგან მსახობი და ესა თუ ის მხატვრულ-სცენური სახე გაუერთიანებელი, განუყოფელი არიან და ერთი მეორეში ცხოვრობენ, თავს ევლება ობიექტს, რომ მასში მშვენიერების სულ ახალ-ახალი მხარეები გამოიხატოს. როცა კი მიავნებს ამას, მეტად მოსწონს ის ახალი სახე, რომლის შემქმნელი ორივენი: პოეტიც და მსახობიც არიან.

ამგვარად, მსახობის ხელოვნება ძირითადად ორი სახეობიდან გამოიმდინარეობს — ერთის მხრივ, მსახობის პიროვნებიდან და, მეორეს მხრივ კი დრამატურის მიერ შექმნილი სახიდან. ესე იგი როლი მოიცავს ამ გაორებულ მდგომარეობას და ერთ-მეორისადმი საწინააღმდეგოდ დაპირისპირებულ პიროვნებების ერთიანობას შეადგენს.



ყოველივე ეს წარმოადგენს მსახიობისათვის იმ საბძროლო ასპარეზს, რომელსაც იგი უნდა დაეუფლოს და თავის ინდივიდუალურობას შეათანხმოს, შეუთანხმოს ობიექტს, ესე იგი — როლს და მის სუბიექტურობას. აქედან გამომდინარეობს, რომ მსახიობის შემოქმედების პროცესის დროს არსებობს ორი მდგომარეობა: ერთის მხრივ, იგი არტისტია, მეორეს მხრივ კი დამატურების მიერ შექმნილი სახე. არტისტისა და როლის ერთ მთლიანობაში გაერთიანება არის მსახიობის ხელოვნების იდეალი.

მსახიობის ხელოვნებაში არსებობს მსახიობების ოთხი კატეგორია:

პირველი — ეს არის მსახიობი-ხელისანი, რომელსაც საკუთარი ფიზიკის და სულიერი განწყობილების მომსახურებს გარდა, არა აქვს ინდივიდუალური არტისტულობა, ამის გამო მისი ნიჭიერება და შემოქმედების უნარიანობა დგას დაბალ საფეხურზე. ასეთი მსახიობები როლის დაუფლების დროს მისაზრავს მხოლოდ გარეგულ საშუალებებს, რათა როგორმე შეუგუნონ თავიანთი „მე“ ავტორის მიერ მოცემულ როლს და ამით დაფარონ თავიანთი არასრულყოფილი ნიჭიერება ამის გამო ხელისანი მსახიობები როლის დამუშავების დროს მიმართავენ არა პიროვნების ხასიათის შინაგან ბუნებას, არამედ მის გარეგულ, ნატურალისტურ მხარეს, რითაც ასახავენ ადამიანს ზოგად, გარეგულ ნიშნებს, მისდევენ შტამბებს, რაც გამომდინარეობს ადამიანთა პროფესიიდან, წოდებიდან, სოციალური მდგომარეობიდან, ეროვნულობიდან, ასაკიდან, ოჯახური მდგომარეობიდან, ყოფიდან, ეთნოგრაფიიდან და ქმნიან არა ფსიქოლოგიური, ინდივიდუალური ხასიათის პიროვნებას, არამედ პირობით სახეების სტეპებს, რომელნიც გამოწვეული არიან, მხოლოდ გარეგულად, მის და უნებლიედ შექმნილი ჩვევების და ზოგადი ნიშნების მიხედვით. ასეთი მსახიობები ყოველთვის მოქმედებენ ცნობილი და ნაცდი საშუალებებით. მათ ყველაფერი მზად აქვთ და მხოლოდ მათი მორგება უსაჩიროებათ განსაზღვრული როლის მიმართ, ამის შედეგად, საბოლოო ჯამში, ვლდებულობთ მსახიობ-ხელისანს, რომელსაც არა აქვს საკუთარი არტისტული ინდივიდუალობა და ამის გამო ვერც როლს ასრულებს სრულყოფილად. ასეთი ხელისანი მსახიობის შემოქმედებითი რეჟულატი მხოლოდ შრალი სქემაა, ასე თუ ისე დამაჯერებელ ფორმაში მოცემული.

მეორე კატეგორიის მსახიობები არიან ოსტატები, რომელნიც დაჯილდოვდნენ არიან არტისტული ნიჭით. ოსტატები მსახიობის ნაშედეგად ქმნის პოეტის მიერ მოცემულ ხასიათის სახეს, მაგრამ მის შემოქმედებას თან არ ახლავს თვით მსახიობის ინდივიდუალობა. ასეთი მსახიობები თავს იფარავენ გარკვეული როლის სასწავლებით, რადგან მათ არა აქვთ ინიციატივა, რათა უფრო შორს წავიდნენ, ვიდრე არსებული როლის სახეა. ისინი მალევე პროფესიონალიზმით, ობიექტურად უდგებიან როლის ამოცანის შესრულებას და არაფერს ეძებენ როლის გარეშე, არ ეძებენ იმას, რაც არ არის თვით როლში, მაგრამ შესაძლებელია, რომ ყოფილიყო. მათთვის როლი ყველაფერია, ისინი თავიანთ თავს უფორმებენ მას და კეთილმინდობიერად ასრულებენ თავიანთ არტისტულ მოვალეობას. ასეთი მსახიობები პირველ ყოვლისა, ყურდნიან

სკენურ ტექნიკას და ოსტატობას. მათ კარგად იციან თავიანთი ხელობა და ყოველთვის ოსტატურად უქმნიან მაკონტრელებულ ტექნიკურად კარგად დადუშავებულ როლს, სახეს, ხასიათს.

ასეთ ოსტატ-მსახიობს ახალი როლის შექმნის დროს ხელს უშლის მხოლოდ საკუთარი ინდივიდუალობა: მათი ფიზიკა, აგებულება, ფიზიონომია, ხმა და სულიერი, ფსიქოლოგიური განწყობილება, რადგან ყოველივე ეს მთლად საწინააღმდეგოა და არ შეესაბამება იმ სახეს, რომლის განსახიერებასაც იგი ფიქრობს. ამიტომ ოსტატ-მსახიობები თავიანთ შემოქმედებაში ცდილობენ დამალონ საკუთარი ინდივიდუალობა, ევარებიან ავტორის მიერ მოცემულ სახეს და ტექნიკური საშუალებით ცდილობენ შევსაონ თავიანთი ფიზიკა, ფიზიონომია, ხმა და საკუთარი ბუნებრივი ადამიანური თვისებები, ასშიონენ თავიანთ პიროვნებას, როგორც სულიერად, აგრეთვე ფიზიკურადაც და სხვადასხვა საშუალებებით ცდილობენ, როგორმე დაემსავსონ ავტორის მიერ მოცემულ სახეს, განდენ მისი ასლი, იაზრდონ, იმოქმედონ ისე, როგორც ფიქრობდა და მოქმედებდა დრამატურის მიერ მოცემული სახე — არც მეტი და არც ნაკლები. ერთი შექმნილი სახე არ ასახავს რიცხვად და მოსაწონია, მაგრამ, თუ დავაკვირდებით, მსართეული არ იქნება, რადგან ასეთი მსახიობის ხელოვნება სრულყოფილი არ არის, მის მიერ შექმნილი სახე არ ასახავს ობიექტისა და სუბიექტის ერთიანობას, ესე იგი როლისა და მსახიობის ერთ მთლიან სახედ შეერთების მომენტს (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსახიობის ინდივიდუალური „მე“ თავისთავად ემთხვევა მოცემული როლის სახეს და თვით მსახიობი თავის თავში ატარებს მის განმეორებას).

ოსტატ მსახიობები კმაყოფილებანი იმ ფაქტებით, რომლებიც ადვილად დასამტკიცებელია ამა თუ იმ სახის ყოველდღიური ყოფის ასახვით. ისინი როლის გაშუქების საკითხს პრაქტიკული გონივით უდგებიან. და მათ აკლიათ შინაგანი ინდივიდუალური არტისტულობა, მძლავრი დღევა, გრძნობათა და ოცნებათა აღმფრენა, ცნობისმოყვარე გონება, მისწრაფება, რათა მიადწონონ შემოქმედების უმაღლეს სფეროს — დანიანში უფრო მეტი, ვიდრე არსებული ფაქტები, განჭვრიტონ, თუ რა არის მის იქით და რა შედეგი მოჰყვება მას, თამამად გადაიხიონ საკუთარი თავისა და დრამატურის მიერ შექმნილი სახის ყოველგვარ შემზღუდველ სასწავლებს. დანიანში შორეული პერსპექტივა, რომლისთვისაც უნდა იბრძონ და თამამად გასწიონ მიხვედ, დაუფლონ მას და ობიექტურად, მიუღმოდოდ სახის მწერლის მიერ შექმნილი ახალი სახე, რომელიც გამოავლენს, როგორც პირად, აგრეთვე ყველა პროგრესული ადამიანის, ერის და საზოგადოების სურვილებს და იდეალებს. ასეთი მაღალი პოეზიული პოეზიულებები მარტო მსახიობები კი არა, არამედ წინა რიგში მდგარი მოქალაქეები არიან, რომელნიც იბრძანენ საზოგადოების იდეალებისათვის და ბედნიერებისათვის, ბოროტად სპობენ და სიკეთეს ემსახურებიან. ასეთ მსახიობებს იწვიათად ვლდებოთ, რადგან ისინი იდეალური არტისტები და გენიალური ადამიანები არიან.

ოსტატ მსახიობები ძალიან მუყათინი და შრომისმოყვარენი არიან, დაკვირებით მუშაობენ როლზე და იმავე დროს

დაჯერებულნი არიან თავიანთ თავში, რადგან მათ როლის მიმართ ყველაფერი წინასწარ შესწავლილი, ჩამოყალიბებული და გამოთხოვილი აქვთ: ხმის ბგერა, ინტონაცია, ტონი, ტანის გამზარ-მოხერა, სახის გამომეტყველება და ყოველი ფესტი, წარბისა და თითის მოძრაობაც კი, რის გარეშე მათ არ შეუძლიათ მოქმედება და რაიმე შექმნა. ეს მიღწევები ოსტატი მსახიობისათვის წარმოუდგენელი მთავარ და უცვლელ კანონს. ისინი დღიით-დღე ტექნიკურად უსუსტად იმეორებენ, ერთხელ მიგნებულს, არავითარ შემთხვევაში შეცდომას ან გადამსრას არ დაუშვებენ და თუ რამე ცვალებადობა მოხდა მის გარშემო არსებულ მდგომარეობაში, ან პირადულ ცხოვრებაში, ისინი მანვე უცვლელნი რჩებიან, რადგან მათ არ შეუძლიათ გარდაიქმნენ და შეუფარდნონ მდგომარეობის ახალ მოვლენას.

ასეთ მსახიობებს ყველაფერი წინასწარ მოფიქრებული, გამოთხოვილი და გათვალისწინებული აქვთ, რადგან იციან, თუ რა დროს რა უნდა მოხდეს, რას რა მოჰყვება, ან რა ბოლო მოეღოს იმ პირს, ვისაც ამასიებენ: ტრაგიკული იქნება იგი, დრამატული თუ კომიკური. მის ყველაფერი აქვთ, გარდა თავისუფალი შემოქმედებისა, ისინი მოულოდნელ მდგომარეობას ახლებურად არ განიცდიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ „შე“-ში და საზოგადოების ცხოვრებაში მისავალი რამ შეეცვალა, მართალია, ოსტატი მსახიობები არ მიჰყვებიან უკვე ნათად, ცნობილ გარეგულ შტამებს, მაგრამ, სამაგიეროდ მათ მიერ ოსტატურად შექმნილი სახე თვით მათთვის იქცევა შტამად.

ჩვეულებრივად, ცხოვრებაში აღმამინაშ, უმეტეს შემთხვევაში, წინასწარ არ იცის, თუ რა მდგომარეობა დასვდება მას, სანამ პირისკმა არ მოხვდება ამა თუ იმ გარემოებასთან. თუკი ზოგადად იცის მანვე, არ შეუძლია წინასწარ გაითვალისწინოს, თუ როგორ განვითარდება ეს მოცემული მდგომარეობა, რელი ვერ შეიცნობს და ვერ გადაწყვეტს იმ საკითხს, რითაც დინტერესებულია. აღამინაშ იცის მხოლოდ თავისი სურვილების და მისწრაფებების შორეული მიზანი. ის ყოველდღიურად იღწვის, მოქმედებს და იბრძვის, რომ შეისრულოს თავისი სურვილი, მაგრამ რა ვითარებაში განვითარდება მოცემული მდგომარეობა იმ - მისი საქმის სრული გამარჯვებით, თუ დამარცხებით, - მან ეს არ იცის.

აღამინაშ ცხოვრების სინამდვილეში ამა თუ იმ მდგომარეობას ხედება მოუშუადებელი, უშუალოდ, რადგან ისინი იბადებიან მის დაუეთხავად, თავისთავად, გათვალისწინებელი, ობიექტური სინამდვილის მიხედვით გამო. აღამინაშ ამა თუ იმ მდგომარეობას მოულოდნელად უკავშირდება და ისე განიცდის, რა პირობებშიაც მომდინარეობს ეს მდგომარეობა იმ მიმოჭრას და იმ წუთში, რომელსაც მას სუბიექტი შეეყარა. ის იქვე ერეკვება ყველა საკითხში და იქვე პოულობს ყველა საჭირო საშუალებას, რათა სძლიოს სხვადასხვა დაბრკოლებას.

დიდი ოსტატი, იდეალური მსახიობი, სწორედ იმ იქცევა, როგორც ცხოვრების სინამდვილეშია, მხოლოდ ის განსხვავებით, რომ მწერლის მიერ მოცემული სახე, მისი წარსული, აწმყო და მომავალი მისი ყველა მდგომარეობა მან წინასწარ იცის, აგრეთვე ყველა საჭირო სცენური, მხატვრული საშუალებებიც მზად და თანაც სათანადოდ დამუშავებული აქვს. მაგრამ როგორ განასახიერებს დროს ასეთი მსახიობი განცდ

ივწყებს არსებულ მდგომარეობას, თითქოს მან არაფერი იცის და იქვე ეძებს იმას, რაც წინასწარ დამუშავებული და მომზადებული ჰქონდა, ან განცდს დაწვევისას გამო მისი სცენური მოქმედება ყოველთვის ახალია, გულწრფელი, სინამდვილი სახე და დაბაჯრებული. ასეთ მსახიობს, ამა მარტო როლზე მუშაობის დროს, არამედ თვით შემოქმედების დროსაც თანამად შეაქვს რადც ნაწული საკუთარი ცხოვრებას, შეაქვს თავისი განცდები, მძიმეცა და განცდები თუ სასიხარულო, მედროებით ალსასება, თუ დრამატუიზმით დაძაბული. მისი საკუთარი ცხოვრების წარსული დაღს აწევს მის შემოქმედებას და იგიც ავტორის მიერ მოცემულ სახეს ხედავს სხვადასხვა ფერებში.

ისინი არ ერიდებიან თავიანთი დღევანდელი დღის განცდებს და საქმიანად უკავშირდებიან როლის სახეს, როგორც მომზადების პროცესის დროს, აგრეთვე შემოქმედების დროსაც.

განვლილი და განცდილი ეს შემოქმედებითი გზა თანდათანობით მის არსებაში ფიქსირდება და შემდეგ უკვე თავისი სურვილის მიხედვით, შინაგანი ტექნიკის საშუალებით ყოველთვის საჭიროებს და მიხედვით იწვევს უკვე მისთვის ნაწინსა და განცდილ გრძნობებს. ასეთ მსახიობზე მაყურებელიც მოქმედებს. ის ანგარიშს უწყებს მათ განწყობილებას, მათ სურვილებს, მისწრაფებს და აგრეთვე მთელი საზოგადოების მოთხოვნილებას, რის გამოც მისი მოქმედება ერთდამივე მდგომარეობაში არ იმყოფება, იგი მუდამ დინამიურია, ამაღლეკვებული და ზეადამაფრენი. დღეს ის არ არის, რაც იყო გუშინ, რაღაც აკლდება, ან ემატება და ამის გამო მის მიერ წინასწარ დამუშავებული სახე ცვალებადობას განიცდის და ყოველთვის აქლად ვლერს.

ასეთი მსახიობები თანაბარ სიმალღესე დღანაშ პოეტის მიერ შექმნილ სახესთან, რადგან ორივენი ცხოვრების სინამდვილიდან წარმოიშობიან და ასახვენ ცხოვრების ყოველ მოვლენას მხატვრული სახეებით, მთელი ტიპიურობით და ტემპერიტი ენებებით, ასახავენ აღამინაშების, ხალხისა და ერის ცხოვრებას, მათ საუკეთესო მხარეებს, მისწრაფებებს და მიზნებს.

დიდი, იდეალური ოსტატი მსახიობი პოეტის მიერ მოცემულ სახეს ორგანულად ატარებს თავის თავში, იგი მისი „მე“-ხდება, რადგან ის, ისეთივე ხალხის შვილია, როგორი სახეც შექმნა პოეტმა. აქ ერთიანდება პოეტის მოცემული სახე და მსახიობის მოქალაქობრივი „მე“- ის ხდება მებრძოლი იმ მისწრაფების განსახორციელებლად, რითაც ცხოვრობს ხალხი და ერი.

ასეთია გენიოსი მსახიობის შემოქმედება, მთავარი, რამე აუცილებელია, სულ მუდამ რჩება, ოღონდ ცვალებადობაში იბადება სხვადასხვა დეტალები, როგორც ცხოვრების სინამდვილის ამსახველი.

ასეთი მსახიობისათვის როლი და პოეტის მიერ მოცემული სახე, როგორც ერთისათვის, აგრეთვე მეორისათვის მთავარ მიზანს არ წარმოადგენს, არამედ მხოლოდ იმის საშუალებაა, რომ ესთეტიკური პრინციპების საფუძველზე ააგონ და გამოავლინონ ის იდეები და იდეალები, რისთვისაც ცხოვრობს, იბრძვის მისი ხალხი.

ოსტატი მსახიობი კი, რომელსაც არ ახასიათებს ინდივი-



დუალობა, როგორც მუშაობის პროცესში, ისევე წარმოდგენის დროსაც, მის მიერ ერთხელ მიღებულ ერთდამიამვე ფერებს იმეორებს, რაც დიდი ხნის დაფიქსირებული აქვს.

მესამე კატეგორიის მსახიობი არიან დიდი სტატეგები ინდივიდუალისტები, საკუთარი „მეს“ მქონე ადამიანები, რომელნიც წარმოადგენენ მაღალ შემოქმედებ პიროვნებებს. ესენი თავიანთი შემოქმედების დროს, თითქმის არასოდეს არ ანსახიერებენ ავტორის მიერ მოცემული როლის სახეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც როლი იდენტურია და ემთხვევა მის ინდივიდუალობას, „მეს“, რის შედეგადაც იქმნება არტისტის და როლის პარპროიული, ობიექტური მთლიანობა. ასეთი შემთხვევის დროს, როდესაც ეს ორი მდგომარეობა შერწყმულია, სუბიექტური მსახიობი როლის ხელახიერებისას ალწვეს უმაღლეს მწვერვალებს თეატრალური გენიალურობისში.

ასეთი ინდივიდუალობის მქონე მსახიობი, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავში ხედავს იმ ძალას, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია თავისი „მე“ ჩააყენოს იმ მოცემულ მდგომარეობაში, რასაც განიცდის პოეტის მიერ მოცემული გმირი და თამადად იმოქმედოს, რადგან მისი პიროვნება და მისი ბუნება დიდი ნიჭით არის აღჭურვილი, მას ახასიათებს მაღალი შერქმენები, განცდები, რაც აძლევს მას საშუალებას, რომ თავისი თავი ჩააყენოს ყოველგვარ მოცემულ მდგომარეობაში, თუ კი ამისათვის შეეძლება სათანადო პირობები.

სუბიექტური „მეს“ მქონე მსახიობი თავისთვის თავს წარმოადგენს როგორც ხელოვნებას და ობიექტურად არა ქმნის როლის სახეს, არამედ საკუთარი თავი შეჰყავს როლში და მხოლოდ გაიფიქრებდა იცვლის ტანსაცმელს, იცვლის გრიმს, ყოველგვარ აქსესუარს, და სხვა სცენურ საშუალებებს, საკუთარ თავს კი ტოვებს უცვლელად. მათ სჯერათ მხოლოდ საკუთარი თავისა და მთელის განცდებით, რწმენით და რუსულაობით აყენებენ თავიანთ თავს იმ მდგომარეობაში, რაც ახასიათებს ავტორის მიერ მოცემულ როლს.

ეს თითქმის გენიოსი მსახიობები მოქმედებენ, როგორც სახის შემცველნი, ვითომდა, მართლაც, თვითონ არიან ის პიროვნებანი, ვისაც ანსახიერებენ. ასეთი მსახიობები, როგორც ფიზიკურად, აგრეთვე სულიერადაც დიდად დაჯილდოებული შემოქმედნი არიან და უმაგალითო შინაგანი რწმენით, თამადად გამოდიან. მათ არ ახასიათებთ ფორმის მთლიანობა, რადგან არ შეუძლიათ თავი მოაწყონ იმის გარეშე, რასაც თვითონ არ გრძნობენ, არ განიცდიან, ისინი არ მისდევენ სახის მაგალითებს, მხოლოდ საკუთარი საშუალებით ქმნიან ახალს, ჯერ არ ნახულს და უწევთ გზით მიემართებიან წინ, მართალია, ხშირად ასეთი მსახიობები ვერ ქმნიან სრულ, დამთავრებულ სახეს, მაგრამ მათი შემოქმედება იძლევა დიდ პერსპექტივას, რომლითაც საგრეგოლობენ ხელოვნებაში მოღვაწე შემოქმედნი თათობენ.

მათი სთორი განწყობილება და ესთეტიკური შერქმენება ცერდნობა მხოლოდ შემოქმედებით უსაზღვრო თვითნებობას, არ ექვემდებარება არავითარ კანონს, რადგან ასეთი შემოქმედებით სუბიექტივიზმი უარყოფს ყოველგვარ გარეგნულ ნორმებს ხელოვნებაში და აგრეთვე — შინაგან ნორმებსაც.

ესენი რომანტიკული აღტაცებით არიან აღჭურვილნი, რადგან არ შეუძლიათ შეათანხმონ შინაგანი და გარეგანი სახე

ხასიათისა და საკუთარი თავისა. ისინი მხოლოდ თავისი თავს ენდობიან და თავის შემოქმედების პროცესს თამადად აქცევენ. უარყოფენ გინგნობის ხელოვნებაში და ცერდნობიან მხოლოდ თავის უსაზღვრო წარმოდგენის უფლებას, წასმით, რომ მხოლოდ შერქმენებია ტემპარატი წყარო შემოქმედი ადამიანისა ხელოვნებაში. ამის გამო ამათი ხელოვნება სტექიურია, ემოციონალური, რომელიც უარყოფს როლის ყოველგვარ ანალიტიკურ-რეგულატორ ანალიზს: ყოველი სიტყვის, მიმიკის ან ქუსტის დაშუშავებას. ასეთ სუბიექტურ მსახიობში მაყურებელი არ არის დარწმუნებული, თუ როგორ ნახავს მას, დიდ მსახიობად მოეგონება იგი, თუ სატარად, რადგან ესენი უცვებ მიდიან გუნებაზე, ან კარგავენ მას. ხან კიდევ ისევე მოულოდნელად მთლიან იცვლებენ და ასრულებენ თავიანთ როლს ისეთი ძალით, რომ აჯადოებენ და ხიბლავენ მაყურებლებს თავიანთი შემოქმედებით. ასეთ წუთებში, მათი ხელოვნება ხდება შთაბამებელი, კეთილშობილური, პოეზიით აღსავსე, დღმა და უცნაური.

ისინი გაუბიან ყოველგვარ დამხმარე ტექნიკურ საშუალებებს, ცერდნობიან მხოლოდ თავიანთ ბუნებას, რითაც გზას იკვლევენ თავიანთი შემოქმედების დროს და მისი მფარველობის ქვეშ მუდამ გულდასმობილი სილიორით მოქმედებენ. ამათ ახასიათებთ სტექიური ემოციონალობა, კონტრასტული თამაში და, თუ მათ ინდივიდუალობას როლის სახეც დაემთხვა, მაშინ ისინი ქმნიან ტრანსურ სახეს, ინტუიციურს, სუბიექტურს, მაგრამ ამავე დროს ობიექტიურსაც და ადამიანურსაც.

ასეთი მსახიობი თითქმის გენიალობას ალწვეს, მაგრამ მისი შემოქმედება მინც იდეალური არ არის, აშკარა სუბიექტურობის გამო.

იდეალური კი ის იქნება, როდესაც სუბიექტური და ობიექტური შერქმენებიან, და წარმოადგენენ ერთ მთლიანობას, როგორც ფორლისა, ისევე მსახიობისა.

ისეთი მსახიობები, რომელთაც ახასიათებს დიდი ინდივიდუალობა და ამავე დროს ობიექტური შემოქმედნიც არიან, არასოდეს ელველიან მხოლოდ გრძობობებს და ესთეტიკურ ტკბობას. სრული ტემპარატი განსახიერება სახისა არის მთავარი შიხანი მათ შემოქმედებაში.

სუბიექტური მსახიობი კი თავდასწავებამდე ეძლევა გრძობობებს, ის გატაცებულია, შეყვარებულია თავის ობიექტში და განიცდის ესთეტიკურ სიტკბობებს, რადგან მასში გრძობობს საკუთარი თავის შეს და, აქედან გამომდინარე, მთელი სიმართლით ეძლევა როლის სუბიექტურ განცდებს. ამით ამქდავებს საკუთარ ინდივიდუალობის ბუნებას და არა იმ ავტორის მიერ მოქმედებულ სახის სხვადასხვაობას.

ასეთ მსახიობებს ხშირად ესვდებიან თეატრში, აგრეთვე კინოში, რომელიც ბრწყინვალედ მოღვაწეობენ და მათი შემოქმედება გრძელდება იმ დრომდე, სანამ არ გადაიწყვიან და არ ჩაიფიქრებლიან, როგორც შემოქმედნი. ეს ხდება იმის გამო, რომ მათ გულდასმობა დიდი შინაგანი ენერჯის ხარჯვა. ესენი მთელის ტემპარამენტით ეძლევიან შინაგან განცდებს, როლის ასეთი შერქმენება მათ ახარებთ, ადვლელებ და ხშირად ნამდვილ ცრმებებს აფრქვევიანებს სცენაზე და ზოგიერთ შემთხვევაში გულოც კი უღონდავთ და ავადმყოფებიან, ცეცხლს უკიდებენ თავიანთ შინაგან ბუნებას, რათა მიადწიონ ნამდვილ

დამკვერბელ განცდებს და ამით დაიკმაყოფილონ საკუთარი თავი და გაიტაცონ მაყურებლები.

ასეთ რომანტიკულ სტილის მსახიობებზე ხშირად ავრცელებენ ხმას, ვითომდა ისინი სულ მთლად არ ამუშავებენ როლს და მხოლოდ წარმოდგენის დროს ემდებებიან აღმოფხვრენ შემოქმედებას, რასაც მათ უთვარს და მიეწვევად. ეს კი სინამდვილეს არ შეეფერება. პირიქით, ისინი დიდი სიზუსტით და დაკვირვებით ამუშავებენ თავიანთ როლს, არაფერს არ ენდობიან, სანამ მთლიანად არ მორიგებენ მას საკუთარ თავზე რეჟისორისა და მუშაობის დროს, მუდამ უკმაყოფილონი არიან და იქამდე იტანჯებიან, სანამ მიზანს არ მიაღწევენ სცენური განსაზივრების დროს.

დიდი ინდივიდუალობის მქონე არტისტი ქმნის ახალს, უჩვეულოს და ევლინება საზოგადოებას, როგორც ენთუზიასტი შემოქმედი, რომელიც თანამემამულეებს მოუწოდებს იმ მაღალი იდეალებისაკენ, რომელიც წარმოშვა ცხოვრების სინამდვილეს. მაგარამ, თუ ასეთი მსახიობი სხვა პირობებში ჩავარდა, როდესაც იგი აღარ პასუხობს თანამედროვე ცხოვრებას, მისი არ ესმის, მაშინ იგი ხდება უსუსური, გაუგებარი, რადგან მისი ინდივიდუალური საშუალებანი უკვე აღარ ასახავენ თანამედროვეობას და ვეღარ აკმაყოფილებენ მის გემოვნებას. მაშინ ასეთი მსახიობები სცილდებიან არტისტული ხელოვნებას, ან კატასტროფულად ამთავრებენ თავიანთ სიცოცხლეს.

მთოხვ კატეგორიის მსახიობები არიან იდეალური წარმომადგენელნი არტისტული ოსტატობისა, რომელთაც ახსიათვის დიდი ინდივიდუალობა და ობიექტურობა თავიანთ ხელოვნებაში.

ამ შემთხვევაში მსახიობი, როგორც დიდი ინდივიდუალობის მქონე სუბიექტი, იჭრება პოეტის მიერ შექმნილი სახის საყვარლო, ითვისებს მის შინაგან და გარეგან ბუნებას და თავისი ინდივიდუალობა მოჰყავს ისეთ თანასწორ მდგომარეობაში, რომ მისი „მე“ ეთანხმება პოეტის სულიერ განწყობილებას. იმავე დროს ის შემოქმედების დროს, სხვადასხვა ნაწილებში თავის „მე“-დან მრავალ რამეს ამატებს, რომ შეევის დანაკლისი, იპოვნოს გადასვლები ერთი მდგომარეობიდან მეორეში და თავისი თამაშით განმარტოს პოეტის მიერ მოცემული სახე იმდენად, რამდენადაც მას თავისი ცოცხალი არსებით შეუძლია თვალსაჩინო ფორმით აჩვენოს და გასაგები გახადოს პოეტის საიდუმლო განზრახვები.

ასეთ მსახიობის ახასიათებელი დიდი ობიექტური შემოქმედება: გამოცდილება, დაკვირვება, მეცნიერული შესწავლა საგნის, დრმა ფსიქოფიზიკური ანალიზი შემოქმედების დროს. ის მხედველობიდან არაფერს უშვებს და ყოველ დეტალს იცნებს საჭიროებისა და მიხედვით, თუ კი გამოსადაგია იგი, როგორც მასალა.

მოცემული სახის ცხოვრებიდან ის ანალიტიკურად აშუქებს ყოველ საკითხს და ობიექტურად განიხილავს ყოველივე მის ნაწილს ცალ-ცალკე, მას მუდამ ერთი რამ აქვს მიზნად დასახული: ყველაფერი დაუკავშიროს ავტორის მიერ მოცემული სახის შინაგან ზეგნობას. ასეთი მსახიობი თავისი ფანტაზიის საშუალებით რეალურად ხედავს მის მიერ ათვისებულ როლს, ვითომდა ის, თვითონვე არის, და ყოველივე მის გარშემო არსებული სინამდვილეა და დიდი გამო მასში იხადება რწმენა,

რომ მისი „მე“ გაერთიანებულია მოცემული როლის ცხოვრების სინამდვილესთან. მაგარამ ყოველივე ეს საკმარისი არ არის. ამ შინაგანი განცდების სინამდვილეს სჭირდება სათანადო ფორმა, რომელიც უნდა ასახავდეს არა მარტო მსახიობის სუბიექტურობას, არამედ ავტორის მიერ მოცემულ სახეს. საკმარისი არ არის ათვისოს მხოლოდ როლის შინაგანი ბუნება და არ მისცე მას შემდეგი განვითარება, რადგან მასში, მარტო მოცემული მდგომარეობის, შეგრძნებისა და განცდების გარდა, კიდევ არაფერს როლის სხე, სასაითი, რომელიც ცხოვრების მხოლოდ მას და დამასასიათებელია მხოლოდ იმ სახის მიმართ, რომელიც შექმნა ავტორმა. დიდი ინდივიდუალობის და ობიექტურობის მქონე შემოქმედი ოსტატო მსახიობი თავისი როლის სახეს ისეთ ასპექტში უწევნებს, რომელიც ასახავს პიროვნებას და ამავე დროს იმ მოვლენებისაც საზოგადოების ცხოვრების სინამდვილიდან, რაც დამასასიათებელია და ტიპიური იმ ეპოქისათვის, რომელშიც ცხოვრობდა არსებული პიროვნება. ამით მსახიობს თავისი თავი გადაჰყავს პასიური მდგომარეობიდან აქტიურ მდგომარეობაში, რადგან ის ითვალისწინებს არა მარტო პიროვნების სუბიექტური ცხოვრების მხარეს, იმ ვიწრო პირად მიზნებს, სურვილებს, მოცემულ მდგომარეობებს, განცდებს და შეგრძნებებს, არამედ აფართოებს სუბიექტური როლის ჩარჩოს და მასთან ერთად თამაშად ეღებულობს იმ იდეალებს, რისთვისაც იბრძოდა პიროვნება.

მაყურებელი მთელი გულისყურით უსმენს და ეცნობა თავის წინაშე ფართოდ გაბოლი სუბიექტის ცხოვრების სინამდვილეს, რომელიც ასე დრმად იყო დაკავშირებული ხალხთან და ერთგულად ემსახურებოდა საზოგადოებას. ისინი შესცქერავენ მისი ცხოვრების ამბავს, თანაუგრძნობენ მას, მასთან ერთად იტანჯებიან და განიცდიან, რის შედეგად გამოაქვთ თავიანთი შინაგანი მორალური განაჩენი.

ასეთი შემოქმედი არტისტი ყოველი როლის შესრულების დროს იძლევა სულ ახალ-ახალ სახეებს. არა ისეთს, როგორსაც ქმნის სუბიექტური მსახიობი, რომელსაც პირველ პლანზე გამოჰყავს საკუთარი თავი.

იდეალური მსახიობი კი მოცემულ სახეს ისე ასახავს, როგორც იგი სინამდვილეშია, რადგან იგი ობიექტური შემოქმედი. ის ფართოდ აშუქებს მოცემული როლის ცხოვრების სინამდვილეს, ეძებს მის გარშემო არსებულ გარემოს და იმ მიზეზებს, რითაც საბუთდება, რომ ეს მოცემული სახე ცხოვრობდა ისე, და არა სხვანაირად. ობიექტურად განზარტავს აქედან მიღებულ შედეგებს, აზოგადობს მათ და მდგომარეობების სრული შეფასების შემდეგ მთელი სიმართლით მსჯავს მოცემულ სახეს. აქცევს მას ტიპიურ მოვლენად და საკვანის ხდება მის მოქმედებას ცხოვრებაში. მისი გონება, ნებისყოფა მიუკერძოებლადაა მიმართული მხოლოდ ობიექტის (ე. ი. როლის) მიმართ და მთელი შეგნებით, გულწრფელობით აწარმოებს კვლევას, რომ გამოჩინოს ნამდვილი ფაქტები გმირის ცხოვრებისა და მასზე დაყრდნობილია სიმართლე გამოამკვლავებს, სწორად წარმართოს სახის შინაგანი ბუნება და მისი გარეგნული ფორმა.

ასეთი შინაგანი შემოქმედებითი პროცესი აქტიურობს ფანტაზიას კი არა ზღუდავს, არამედ აღრმავებს, აფართოებს და მისი შემოქმედება ხდება პრინციპული, ადამიანებს დამოკიდებულია

რგობს არსებული სახის ობიექტური, რეალური სინამდვილიდან. ის თანმიმდევრობით, კვალდაკვალ მისდევს მოცემული სახის განვითარებას და არ გამოყოფილდება მართვ გრძნობათა ფსიქოლოგიური სიმართლის ათვისებით, მისი სულიერი სამკ. ყარობი, მიზნებითა და იდეებით. სუბიექტურად შემოქმედი მსახიობი კი ამით გამოყოფილდება და, აქედან გამომდინარე ეძლევა ამაღლებებელ განცდებს, რომ მაყურებელს გადასცეს ყოველივე ეს, როგორც საკუთარი ცხოვრების ამბავი, რომლითაც თვითონ არის დაინტერესებული და მიკერძოებით წყვეტს მოცემული სახის საკითხს.

დიდი ინდივიდუალობის და ობიექტურობის მქონე არტისტის შემთხვევაში კმაყოფილება, სადაც ჩერდება სუბიექტური არტიტიკი. ის განაგრძობს უფრო წინსვლას და ცდილობს გადალახოს მის მიერ ათვისებული როლის შინაგან გრძნობათა განხილვას, რომელთაც უკვე შეასრულეს თავიანთი დანიშნულება და იგი გადაწყვეტს აზროვნების წინა პლანიდან ქვეყნობიერებაში, რადგან ეს მასში უკვე დაფიქსირებულია და მოცემული მდგომარეობის მიხედვით ისინი პირველივე მოთხოვნისთანავე, თავისთავად პასუხს აცემენ და აქედანღან მთქმედების პროცესის მსვლელობის დროს. ამის შემდეგ ის ავტორის მიერ მოცემულ სახეს აზოგადებს, რომ გამოუჩინოს მას ისეთი კონკრეტული გარეგნული ნიშნები, რომელნიც სწორად ასახავენ მის ფორმას და არა თვით მას, როგორც შემოქმედი პროფესიონალი, არამედ იმას, ვინც უნდა განასახიეროს. ამის გამო, ის თავის თავს შეგნებულად აყენებს იმ პირობებში, იმ გარემოში და წრეში, სადაც ის მოცემული სახე უშუალოდ იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, ეძებს ისეთ დეტალებს და საშუალებებს, რომელნიც დამახასიათებელია იმ პირობებისათვის. ამ საკითხებზე სწორი პასუხის მისაღებად იგი ეძებს ჭეშმარიტებას, რომ ამით გამოავლინოს არსებული სახე მთელი ინდივიდუალობით და ტიპიურობით. ამისათვის ის დეტალურად სწავლობს დრამატურების მიერ მოცემულ სახეს, მის წარსულს, ამჟამოსა და მის მომავალს, მის პოლიტიკურ და ფილოსოფიურ მოფლმხედველობას, მის ჩვეულებებს, ხასიათს, მის ენებებს, პროფესიას, ყოფა-ცხოვრებას და მის მორალურ-სულიერ მხარეს. იმ ეპოქის იდეალებს და მისწრაფებებს, რომელშიც ცხოვრობდა და მოქმედებდა ის სახე. ყოველივე ამით აღჭურვილი მსახიობი უზრუნდება მის წინაშე არსებულ სახეს და მას თანამედ ეუფლება, ვინაიდან მის მიერ როლის სუბიექტური შეგრძნებები და განცდები უკვე ათვისებული აქვს, მხოლოდ ახლა სჭირდება მისი ჩამოყალიბება გარკვეულ სახედ. ამისათვის მსახიობი მთელი ყურადღებით და დაკვირვებით ეძლევა ფიზიკურ ამოცანებსა და მოქმედებებს. როგორც მეფეზე ანაკსე უწამოვებული საქნიერთი იტერს თვეს, ისე მსახიობიც ფიზიკური ამოცანის და ფიზიკური მოქმედების

საშუალებით მიტყუებს თავის „თვეს“, ესე იგი „ფსიქოლოგიურ განცდებს“. ადამიანი არასოდეს არ ფიქრობს თავისი ფსიქოლოგიური განცდების შესახებ, რადგან ესენი მას ხელს უშლიან: პირიქით, ებრძვის მათ, და თავიდან იცილებს, რომ მოქმედებით შეისრულოს თავისი წადილი. კარგი, გამოცდილი მსახიობიც ამდგავარდ იტყუავს, იგი აზრის და ნებისყოფის საფუძველზე ეძლევა მხოლოდ მიზანს და ამოცანებს, რომლის შესრულებაც შეიძლება მხოლოდ ფიზიკური მოქმედების და ფიზიკური ამოცანების საშუალებებით, რითაც ამავტობებს მიზნისაკენ მისწრაფებას, ხელში იღებს ინიციატივას და ხდება აქტიური მძლიერი მოცემული მდგომარეობებისა.

ის ემსავსება რაზემ მჯდარ მხედაჩს, რომელიც თავისი აზრის და ნებისყოფის მიხედვით მიჰქროლებს მიზნისაკენ. ასეთ მხედარს სჭირდება კარგი თვალი, ძლიერი ნებისყოფა, სადი აზროვნება, მაგარი მკლავი, აღვზნება მოცემული მდგომარეობებით, მაგრამ, ამავე დროს ცივი გონება, რომ კარგად წარმართოს რაში და დაინშნულ ადგილზე მოიყვანოს. მხედარი ხდება მხოლოდ მიზანს, მის გარშემო არსებულ დაბრკოლებებს და რაც უფრო დიდი საფრთხე მოულის, მით უფრო კაჟდება მისი გული, ასევედება მისი ყურადღება, დაკვირვება, უძლიერდება ნებისყოფა და თავის რაში უფრო მეტვარად ეუფლება და ხდება მისი უშუალო მებრძანებელი. თავის სულიერ მდგომარეობას მარტო თვითონ კი არ განიცდის, არამედ გადაცემს და აგრძნობინებს რაშიც, რომელმაც უნდა შესარულოს მისი სრულიერი და გადალახოს ყოველი მის წინაშე მდგარი დაბრკოლება. მაშინ მხედარი კი არ განიცდის ტანჯვას, არამედ აღფრთოვანებული და ბრწყინვალე თვალეებით მიიწევს წინ მიზნისაკენ და რა შედეგიც არ უნდა მოელოდეს მას, ის მაინც მხედ და მტიყე რჩება. ამ შემთხვევაში მხედარი მოწინავე მებრძოლი პიროვნებაა, მან თავისი დიდი ხელოვნება ისე უნდა გამოიყენოს, რომ ავტორის და საზოგადოების მოთხოვნას სრული სიმართლით შესარულოს, დაინახოს თუ რა პიროვნებაა ის, ვისი ინტერესები უნდა დაცვას ცხოვრების მყარ ბრძოლაში. მას უფლება არ აქვს სუბიექტურად განწყობილი იყოს ობიექტის მიმართ, მან მხოლოდ სინამდვილე უნდა ასახოს მთელის ობიექტურობით. სწორად ამის გამო, დიდი ინდივიდუალობის მქონე და ობიექტურად შემოქმედი მსახიობი, არასოდეს არ ეძლევა მხოლოდ გრძნობებს და ესთეტიკურ კმაყოფილებას, ჭეშმარიტი, სრული განსახიერება ნიციემულ სახისა არის მისი შემოქმედების მთავარი მიზანი.

ასეთი მსახიობები რეალისტური სტილის მიმართულებას არიან და წარმოადგენენ საზოგადოებისათვის რჩეულ ადამიანებს, როგორც მოაზროვნე მოქალაქენი და ხელოვანნი.

ასეთი შემოქმედი უკვდავი არიან და იცხოვრებენ სახლის სხუნვაში მუდამ, სანამ იარსებებს ერი და კაცობრიობა.





ანასტასია ვალერიანის-ასული
გუნია-საყვარელისა

მკითხველისა და ჟიზნის სიყვარულით

ეთერ ხუციშვილი

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი გახსნილი იყო. მკითხველები მამოვიდნენ შემოსხდომიდან და ახალ ჟურნალ-გაზეთებს ათვლიერებდნენ, ზოგი კი ბიბლიოთეკის გამგეს ანასტასია ვალერიანის ასულ გუნია-საყვარელიძეს შემოხვეოდა და ესაუბრებოდა. ყველა მოწინააღმდეგე შესცქეროდა საყვარელ ბიბლიოთეკარს.

1940 წელს დაიწყო ანასტასია ვალერიანის ასულმა გუნია-საყვარელიძემ ხალხური შემოქმედების სახლის ბიბლიოთეკაში მუშაობა. ის იყო მთელი ენერჯითა და ხალისით შეუდგა მუშაობას, რომ დაიწყო დიდი სამამულო ომი. საკუთრი შეიქმნა ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის უშიშარ ადგილზე გადატანა. ამ საქმეს ტასო საყვარელიძე ჩაუდგა სათავეში. როგორც მზრუნველი დედა, ისე დასტრიალებდა იგი ყოველ წიგნს. ამავე დროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თხოვნით, ტასო პარალელურად მუშაობდა აკადემიის არქივში. ეს არქივი ეს-ესაა დაეარსე-

ბინათ და მოუწესრიგებელი იყო. სამუშაო საკმაოდ რთული, მაგრამ საინტერესო გამოდგა. გაათქცეული ენერჯით მუშაობდა ტასო, დროსა და ძალ-ღონეს არ იშურებდა. შინ კი თავს დასტრიალებდა ერთადერთ ქალიშვილს, რომელიც საშუალო სკოლაში სწავლებდა. შინ მისული საოჯახო საქმეებს მოითავებდა თუ არა, კვლავ წიგნებს მიუბრუნდებოდა. წიგნი მუსიკა, თეატრი ბავშვობიდანვე მისი ცხოვრების განუყოფელი თანამგზავრები გახდნენ. ან რა ვასაკვირია, ცნობილი მსახიობის ვალერიან გუნისა და ნინო გომელაურის ქალიშვილს იმთავითვე შეუყვარებოდა ხელოვნება. იგი ხომ მონაწილე იყო ამ დიდი შემოქმედებითი მუშაობისა, რომელსაც ეწეოდა ვალერიან გუნია როგორც რეაქტორი ჟურნალისა „ქართული კალენდარი“, როგორც დრამატურგი, მთარგმნელი, ქართული თეატრის მსახიობი, რეჟისორი.

სწორედ ამ ოჯახში ეზიარა ტასო ხელოვნების სიყვარულს და, მამისა არ იყოს, ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი პირველი სიყვარულისა. არც გათხოვების შემდეგ შეუწყნებელი ტასოს ხელოვნებასადმი ინტერესი. იგი გახდა ჟურნალისტ პავლე საყვარელიძის მეუღლე და შესანიშნავად ათავსებდა საოჯახო საქმისა და ხელოვნების სიყვარულს. ხოლო მეუღლის გარდაცვალების შემდეგ თვითონ ჩაუდგა ოჯახს სათავეში და შვილის აღზრდასთან ერთად ენერჯიულად ემსახურებოდა ბიბლიოთეკას...

დამთავრდა დიდი სამამულო ომი. ხალხური შემოქმედების სახლი კვლავ დაუბრუნდა თავის ძველ ბინას. ამავე შენობაში მოთავსდა ხელოვნების მუშაკთა სახლიც. გახიზნული ბიბლიოთეკაც დაუბრუნდა თავის ძველ ადგილსამყოფელს. ტასო გუნია-საყვარელიძემ ორივე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა იკისრა, თუმცა ხელოვნების მუშაკთა სახლის ბიბლიოთეკა იმ დროს ერთი კარადისა და რამდენიმე წიგნისაგან შედგებოდა, მაგრამ ტასომ თავი დაანება ხალხური შემოქმედების სახლსა და აკადემიაში მუშაობას და მთელი ენერჯით შეუდგა წიგნის ამ კერის მამოვლანობებს.

„ტასოს საღონი“ — ასე უწოდებდნენ ხუმრობით ამ ახალ ოთახს, სადაც გუნია-საყვარელიძის ინიციატივით ხშირად იმართებოდა მკითხველთა კონფერენციები, ახალი ფილმისა და სპექტაკლების განხილვა, ეწყობოდა შეხვედრები მწერლებთან, პოეტებთან, კომპოზიტორებთან, რაც მრავალ ადამიანს იზიდავდა. ღონისძიებებიდან ტასოს რატიომიძე განსაკუთრებით ჩარჩა გონებაში შეხვედრა შალვა დადიანთან. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა მცხოვანი მწერალი და შეხვედრის მონაწილეებს უამბო, თუ როგორ მუშაობდა თავისი ნაწარმოებების შექმნაზე. აღნიშნა, რომ არის შემთხვევა, როცა მთელი თვეობით ფიქრობდა ამა თუ იმ თემაზე და როდესაც მომწიფდებოდა, ძალიან ჩქარა წერდა. მაგალითად, კომედია „კაკალ გულში“ სამ დღეში დაწერა, პიესა „გუმნადლინი“ — ასევე სამ დღეში.

ბიესა "შენი ჭირიმი", რომელსაც ავტორმა კლემის ნემსაკარს უწოდა, ერთ დღემ დაიწერა. შალვა დადიანი იკონებდა თავის ყრობას, პირველ ნაბიჯებს მწერლობაში, აცნობდა მსმებლებს თავის მომავალ ვეგმებს.

მეტად საინტერესო იყო ბიბლიოთეკის მიერ მოწყობილი შეხვედრა პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილთან. რომელიც ბიბლიოთეკის მკითხველებს ესალუბო თემაზე "ჩემი ბიბლიოთეკის თავგადასავალი". დაუიწყარ და გულთბილ ვითარებაში ჩაიარა საქართველოს სახალხო პოეტის გულკეთონ ტაბიძის იუბილეზე. მოეწყო პოეტის ნაწარმოებთა გამოფენა. აქვე იყო პოეტის ხელნაწერები, რომლებსაც ტასო გუნია დღესაც სათუთად ინახავს. თბილისში საგასტროლოდ ყოფნის დროს ხელოვნების მუშაობა სახლის ხშირი სტუმარია ნეიპაუზი, რომლის პატისაცემად ეწყობა შეხვედრები და კონკერტები მისივე მონაწილეობით. ხელოვნების მუშაობა სახლში გაიმართა შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამო, რომელმაც მეტად გულთბილად ჩაიარა. ეწყობა, აგრეთვე, შეხვედრები კომუნისტური შრომის ბრიგადებთან, გამოყენები, რომელთაგან აღსანიშნავია გამოფენები მიძღვნილი ქართული წიგნისადმი, ქალთა დღისადმი, საბჭოთა არმიის დღისადმი, დონსტოვესკის გარდაცვალების 75 წლისთავისადმი და სხვ. ეწყობა ლექცია-მოსხვებები... და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი საინტერესო ღონისძიება ჩატარებულა და კიდევ რამდენი ჩატარდება მომავალში.

ბიბლიოთეკა არ იფარგლება მხოლოდ და მხოლოდ უფროსი ასაკის მკითხველთა მომსახურებით. აქ დიდად ყურადღება ექცევა მოზარდებში მხატვრული გემოვნების გამოუმუშავებას. ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები არიან მახარაძის ქუჩის მახლობლად მდებარე ქართული და რუსული სკო-

ლების მოსწავლეები. ხელოვნების მუშაობა სახლის დირექცია და ბიბლიოთეკა სისტემატურად აწვობენ საბავშვო დიღებს, ნახატი ფილმების ჩვენებას, შეხვედრებს მათ შემქმნელებთან და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მომსახურებას მათი არდადეგების პერიოდში. ეწყობა კვირეულები, საბავშვო ფილმების ჩვენება. საინტერესოდ ჩაიარა საქართველოში საბჭოთა ხელოვნების დამყარების 40 წლისთავისა და ბავშვთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მოწყობილმა საბავშვო დღივებმა. მეტად კმაყოფილი დარჩნენ ბავშვები ნახატი ფილმის "წუნა და წრეწუნას" შემქმნელ კოლექტივთან შეხვედრით. ასევე გაიხარეს მათ თვითნებ საყვარელ კომპოზიტორ მეირი დავითაშვილთან შეხვედრით. ხშირად ეწყობა მოსწავლეთა შეხვედრები მოზარდ მაცურებელთა თეატრის კოლექტივთან. ამ მხრივ ხელოვნების მუშაობა სახლის დირექციასა და ბიბლიოთეკას დიდად ეხმარება ბავშვების საყვარელი მსახიობები გოგუცა კუბრაშვილი და თამარ თვალთაშვილი. მოეწყო საბავშვო მწერალ არკადი გაიდარის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელმაც მეტად საინტერესოდ ჩაიარა. მასში მრავალმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

ამ ღონისძიებებმა ბიბლიოთეკაში მრავალი ადამიანი მიიზიდა მოდიოდნენ მკითხველები ტასოსთან, სთხოვდნენ რჩევა-დარიგებებს ხელოვნების რომელიმე დარგში არსებული ლიტერატურის შესახებ, უზიარებდნენ თვითნებ გულსტაკილათ თუ სიხარულს. მოდიოდნენ მასთან ახალგაზრდები, შემდეგ უკვე მოსყავდათ თვითნებ შეილები და მათ უწამდათ, რომ ტასო არ მოაკლებდა ყურადღებასა და მზრუნველობას ხელოვნებაში ახლადფეხმდგომლებს, რომ მისი სახით მათ შეილებს მუდამ ეყოლებოდათ მზრუნველი, მცოდნე და დაუზარელი ადამიანი.

ბიბლიოთეკაც ხომ ხელოვნების დარგების მიხედვით აქვს დაკომპლექტებული თორბოზე ცალკე განლაგებული მუსიკის, თეატრის, კინოს, ფერწერის, სურთომოდვერებისა და სხვა დარგის წიგნები. აქ შეხვედებით ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე გამოსულ წიგნებს ხელოვნების ყველა სფეროში, იშვიათ ენციკლოპედებსა და ლექსიკონებს. და არც თუ ისე ადვილი იყო ამ წიგნების შეძენა და თავმოყრა. მაგრამ ტასოს ენერგიულმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ამჟამად ბიბლიოთეკაში 22.000-მდე წიგნია.

მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკაში მეტად უნიკალური წიგნებია თავმოყრილი, ანასტასია უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ახალი მეთოდით მუშაობს. მისი ხელმძღვანელობითა და რჩევით მკითხველს საშუალება ეძლევა უშუალოდ თვითონ აირჩიოს თანოსთან სასურველი წიგნი.

ყველაზე კარგი და ობიექტური შემფასებელი ბიბლიოთეკარის მუშაობას არის მკითხველი, რომელიც თითქმის ყოველდღიურად "ამოწმებს" მის საქმიანობას. და აი, გაიმართა ხელოვნების მუშაობა სახლის ბიბლიოთეკის მკითხველთა გაფართოებულ კონფერენციაზე. აქ ბიბლიოთეკის გამგის რესპუბლიკის დამსახურებულ ბიბლიოთეკარის, ანასტასია ვალერიანის ასულ გუნია-საყვარელიძის თავდადებულ და უმწიკლო მუშაობაზე ილაპარაკეს მკითხველებმა და ბიბლიოთეკის საბჭოს წევრებმა. მათ აღნიშნეს ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის ანასტასია გუნია-საყვარელიძეს წიგნის ამ კერის ჩამოყალიბებასა და გაფართოებაზე, რომ სწორედ ამიტომ დაიმსახურა მან ასეთი სიყვარული და პატივისცემა მკითხველთა შორის.

ჯერ კიდევ მრავალ წელს კვლავ ენერგიულად, კვლავ დაუღალავად მოემსახურება თამაშვერცხლ ილი ანასტასია გუნია მკითხველებს.





თბილისის მახუთა ვასალის იღის გამო

ვახტანგ დავითაია

სახურავის პრობლემა არ წარმოადგენს მე-20 საუკუნის აზროვნების პროდუქტს. ის მიეკუთვნება ისეთ უშუალო, უპირველეს ფუნქციონალურ-პრაქტიკულ საკითხთა რიცხვს, რომელთა ისტორია დასაბამიდანვე იღებს სათავეებს.

სხვადასხვა ეპოქებმა, სტილისტურმა მიმდინარეობებმა მოგვეცეს სახურავის ფუნქციონალური, მხატვრული და კონსტრუქციული გადაწყვეტის მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი სახესხვაობანი.

მათში, პირველყოვლისა, უტილიტარული მხარე იყო წამოწეული. მე-20 საუკუნეში, როცა არქიტექტურაში დადგა ხანა რკინაბეტონისა, დაკიდულად და ვანტური სისტემის გადახურვისა, ინტ. ფულერის ალუმინის თაღების და სხვ. განუსაზღვრედა გაიზარდა გადახურვის, როგორც ფუნქციონალური, ასევე მხატვრული გადაწყვეტის შესაძლებლობების არე.

ახალი არქიტექტურის საწყისების მიჯნაზე ლე-კორბუზიეს მიერ გამოთქმული 5 თეზისიდან „თანამედროვე არქიტექტურის შესახებ“ — ერთი სახურავებს შეეხებოდა „უნდა შეიქმნას ბრტყელი სახურავები, რომლებზედაც განლაგდება ბაღები და გაზონები“. ცხოვრებამ ამ დებულების სისწორე აშკარად დაგვანახა. თანამედროვე არქიტექტურა შესაძლებლობის პირველსავე შემთხვევაში მაქსიმალურად იყენებს სახურავებს, მათზე სკვერების, აუზების, სათამაშო მოედნების, კაფერესტორნების, შვეულმფრენის მოედნების და სამანქანო გზების მიწყობითაც კი. მაგრამ მე-5 ფასადის ფუნქციონალური მხარის, ახალ მშენებლობებზე მისი გამოყენების საკითხი არ წარმოადგენს ჩვენი წერილის საგანს. არც ის-თუ რა გავლენა იქონია გადახურვის თანამედროვე კონსტრუქციებმა ცალკეული მშენებლის არქიტექტურულ სახეზე.

თბილისის სამართლიანადა მიჩნეული მსოფლიოს უღამაზეს ქალაქად. მას, თავისი მეტად ცხოველსატული რელიეფის წყალობით, ხუროთმოძღვრები ხშირად უწოდებენ ხოლმე ხუთი ფასადის ქალაქს. მისი მიდამოები, ქუჩები, ყოველი სახლის აივანი, ტერასა და ფანჯარა წარმოადგენს ღია ბუნებრივ იარუსს ქალაქის პანორამაზე ხედვისათვის. დიახ, ეს ჩვენი ქალაქის და მისი მიდამოების რელიეფითაა გამოწვეული, რელიეფით, რომელიც ნების თუ უნებლიეთ აიძულებს ხუროთმოძღვრის ანგარიშში გაუწიოს სახურავს — ქალაქის მეხუთე ფასადს.

თბილისის არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაში სახურავების როლი დიდია, ქალაქში და მის მიდამოებში უამრავია ადგილები, საიდანაც შეიძლება მოლიანი პანორამის წაიკითხვა, (ფუნიკულიორის პლატო, კომკავშირის ხეივანი, მეტეხი, ბარათაშვილის აღმართი, არსენალის მთა, კოჯრის, წყნეთის, ლისის, კახეთის შემოსასვლელები).

ფუნიკულიორი თბილისელთათვის საყვარელ ადგილს წარმოადგენს, სტუმრებიც ხომ, უპირველეს ყოვლისა, აქეთაქენ მიამურებენ ხოლმე. ქალაქის პანორამა დამით ჭეშმარიტ ესთეტიკურ საიმონუნებას გვევრის და აღტაცებაში მოჰყავს მნახველი. დღისით კი, მიუხედავად სხვადასხვა ფაქტორებისა, რომლებმაც თითქოს და უნდა განაპირობონ ქალაქის სიღამაზე (რელიეფი, ქუჩების თავისუფალი ქსელი, ძველი და ახალი უბნები, მწვანე მასივები, მდინარე და სხვ.) ვერ იწვევს ძლიერ ემოციას. ქალაქი ზემოდან უსიცოცხლოდ და დუნედ გვეჩვენება, ჩვენი აზრით, ეს განაპირობა ფერმა, რომელითაც დეფარულია ქალაქის სახურავები — მოყავისფრო ჯანჯისფერი მონოტონურია და მხიარულებას მოკლებული, რაც სრულებითაც არ

პასუხობს სამხრეთის ქალაქს, თბილისის მცხოვრებლების ტემპერამენტსა და მათს განწყობილებას.

ქართლის ერთფეროვანი ველებისა და ბორცვების „მყუდროებაში“, თბილისს, ამ საკმაოდ დიდ ქალაქს, სისალისე არ შეაქვს და ფერით თითქმის შეზრდილია მასთან.

თუ გაგივთავალისწინებთ, რომ თვითმფრინავი ხდება მგზავრობის ყველაზე მასობრივი და ხელმისაწვდომი საშუალება და რომ მალე შეეუღლებინებოდა გახდება ახლო რაიონების თბილისთან დამაკავშირებელი და შიდა საქალაქო ტრანსპორტი, არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ ქალაქის ხედვებს ზემოდა.

ქუშიარტი და დიდა ფერის როლი ადამიანზე ესთეტიკურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაში. არქიტექტურულ ფორმასთან ერთად, ფერი წარმოადგენს ხუროთმოძღვრის მხატვრული ჩანაფერის გამომხატვის საშუალებას.

არქიტექტურა და ფერი თითქმის წარმოუდგენელია ერთმანეთის გარეშე.

ჩვენი ქალაქებისათვის მხიარული, მსუბუქი და ჰეროიკური გამის მოძებნა, ხუროთმოძღვრათა პირველხარისხოვან ამოცანად უნდა ჩაითვალოს.

არ შეიძლება არ დავთანხმობთ აკადემიკოს ჟოლტოვსკის, რომელიც ამბობს: „დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის ფერში გადაწყვეტას... სოციალისტური ქალაქი უნდა გადაწყდეს ნათელ გამაში. არქიტექტორმა ფერის დახმარებით უნდა შექმნას ილუზია მუხრობისა შემოდგომაშიც და ზამთარშიც“.

ვერ ვიტყვი, ჰქონდა თუ არა მხედველობაში ჟოლტოვსკის ქალაქის სახურავების ფერიც. მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ მის მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებანი ძალზე საყურადღებოა ჩვენი საკითხისათვის.

თბილისის სახურავებში ფერის შეყვანა, ვფიქრობთ, რომ საინტერესო და ორიგინალურ მხატვრულ ეფექტს მოგვცემს.

ქალაქის სახურავების ფერზე ლაპარაკი შეუძლებელია განყენებულად, მოწყვეტილად დანარჩენი ფასადებისაგან. თბილისის პირობებში ფასადების ფერმა და სახურავის ფერმა უნდა შექმნან გამა ქალაქისა, გამა მხიარული, ნათელი და ჯანსაღი; ხოლო თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ყოველივე იმას, რაც კეთდება ჩვენს ქალაქში ვერ ვიპოვებთ დადებით პასუხს.

ჩვენი ახალი მშენებლობების ფასადებზე დაუმსახურებელი

ლი პრიორიტეტი მომავალ-ცემენტის ფერისა სრულიად გაუგებარი და გაუმართლებელია.

იდეა თბილისის სახურავებში ფერის შეყვანით გარკვეული მხატვრული ეფექტის მიღწევასა სრულებითაც არ არის განყენებული აზრი, არამედ განხორციელებადი, პრაქტიკული საკითხია. ლითონის სახურავი, რომელიც ჩვენი ქალაქის სახურავების 60-65% შეადგენს, მეტად გამძლე მასალას წარმოადგენს. არსებული კრამიტის სახურავები თანდათანობით ხმარებიდან გადის და მისი ადგილი, შესაძლებელია, დაიკავოს ლითონის ან ჩვენითვის სასურველი ფერის აზოთფანერის სახურავმა.

მხატვრული გადაწყვეტის ვარიანტები მრავალგვარია: შესაძლებელია ფერების მიხედვით ქალაქის უბნებად დაყოფა, რაც, მხატვრულ ღირსებებთან ერთად, სასიამოვნო პოეტურ კულრადობას მისცემს მის უბნებს. ასე მაგალითად: „ვარდისფერი უბანი“, „ციციანის უბანი“, „თეთრი უბანი“, „მოლისფერი უბანი“ და სხვ.

ან, მოძიების ქალაქის ძირითადი გამა, მხიარული, ნათელი და სასურველი კვანძები გადაწყდეს ფერში, ეს უკანასკნელი განაიღებს დამით.

ფიქრობთ, რომ ქალაქის სახურავების ნათელ გამაში გადაწყვეტა გარკვეულ გავლენას იქონიებს, საერთოდ, ქალაქის ტემპერატურაზედაც, ვინაიდან ამჟამად არსებული ფერის არეკვლის კოეფიციენტი მინიმალურია.

ქალაქის ნებისმიერ გამაში გადაწყვეტა არავითარ წინააღმდეგობას არ ხდებდა საპაირო თავდაცვის თვალსაზრისითაც. ყოველ, ქუშიარტი და მონუმენტურ ნაწარმოებს ახასიათებს უდიდესი შინაგანი სიმშვიდე საერთოდ. ჩვენი იღეს განხორციელებაშიც საჭიროა სიმშვიდე და თავდაჭერა ფერებში. წინააღმდეგ შემთხვევაში სასურველი, ძლიერი მხატვრული ეფექტის ნაცვლად შესაძლებელია მივიღოთ იაფფასიანი შედეგი.

და ბოლოს, თუ გაგივთავალისწინებთ, რომ ტექნიკური თვალსაზრისით ლითონის სახურავები უნდა გადაიღებოს 1-2 წელიწადში ერთხელ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, არსებობდეს „თბილისის მუხუთე ფასადის“ პროექტი, რომლის მიხედვითაც განხორციელდებოდა ეს ღონისძიება თანდათანობით. ამ შემთხვევაში აუცილებელ ფუნქციას მიენიჭება სასოველი მხატვრული გამომსახველობა.



ო ლ ი მ ი ა ლ ი ს ჩ ი რ ა ლ დ ნ ე ბ ი

ზურაბ ჯაფარიძე

რომის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე იტალიის დედაქალაქში კარგა ხნით აღრე ჩავიდა იაპონიის დელეგაცია და გულმოდგინებით შეუდგა იტალიელი კოლეგების გაცნობას. რა იყო იაპონელთა ვიზიტის მიზანი?

1964 წელს სწორედ მათ დედაქალაქში ტოკიოში უნდა მივსულიყავით XVIII ოლიმპიური თამაშების და მათ სურდათ გაეცნობინათ, თუ რა კეთდებოდა რომში.

როცა ოლიმპიადა დამთავრდა, იაპონელმა ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ისინი უფრო კარგად ჩაატარებენ მომავალ ოლიმპიურ თამაშებს. თუ კი რომიდან მხოლოდ ევროპის ქვეყნებში იღებდნენ ტელეგადამცემებს, იაპონელები აპირებენ ტოკიოს ოლიმპიადის მსვლელობა მთელი მსოფლიოს ტელეკომპანიების გადასცენ. ამისათვის მათ განზრახული აქვთ გაუშვან დედამიწის სპეციალური თანამგზავრი, რომლის საშუალებით ტელემავრებლები დატყობიან მსოფლიოს უდიდესი სპორტსმენების ასპარეზობით. ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისათვის არავითარი დაბრკოლება არ იქნებაო, განაცხადეს მათ, მაგრამ ოლიმპიადისათვის მზადების პირველსავე დღეებში იაპონელები წააწყდნენ მეტად საშიშ წინაღობას.

საქმე იმაშია, რომ მათი დედაქალაქის ტერიტორიის ერთ ნაწილს, სადაც უნდა აშენდეს ოლიმპიური სოფელი და სხვა ნაგებობა, დაკავებული აქვს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს. დიდი ხეყვნა დასჭირდათ იაპონელ ხელისუფლებას, რათა გაეთავისუფლებინათ საკუთარი ტერიტორია, ამერიკელები მტკიცე უარზე იყვნენ მანამ, სანამ მთელ იაპონიაში არ აზვირთდა საპორტეტო დემონსტრაციების ტალღა. მაშინ კი იკადრა ამერიკის მხედრობმა გაეთავისუფლებინა უკანონოდ დაკავებული ტერიტორია იმ პირობით, თუ მას უკანვე მიიღებდა ოლიმპიადის დამთავრების 60 დღის შემდეგ.

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი; თუმცა იაპონიაში ამჟამად გაცხოველებული მუშაობაა განაღებული სპორტული ბაზების აგებისათვის, ათათასობით სპორტსმენისა და სტუმრის მიღებისათვის. იაპონელებს ეს გაეწამაწა გასაგებია. აზიაში პირველად ტარდება ოლიმპიური თამაშები და იაპონელებს უნდათ, რაც შეიძლება მეტე გააკეთონ, რომ იტალიელთა გაწვეული საქმიანობა, სტუმართმოყვარეობა დამჩრონონ.

მაგრამ რაც არ უნდა უკეთ ჩაატარონ ოლიმპიური თამაშები იაპონელებმა, ნუთუ დავიწყებს მიეცება რომი, სადაც ყველა იქ ჩასული მიხიბლული ვიყავით ყოველივენი, რაც კი მასობრივმა გააკეთეს? წელწაწაღუ მეტი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ განა შეიძლება გონებიდან ამოიშალოს რომაული შთაბეჭდილებები?

— ყველა გზა რომში მიდის! სახელმწიფოებრივი ფრანგი მთიგარაკის ჯან დე ლაფონტენის ეს გამოთქმა სწორედ ზედგამოჭრილი იყო ოლიმპიური რომისათვის.

განსაკუთრებით უჭირდათ იტალიელებს ოლიმპიადის წინაღობებში, როცა რომის ცენტრალური აეროდრომის „ჩამპინის“ რადიოდირექტორი წამდაუწუმ მიკროფონს ჩასახბოდა:

— თვითმფრინავი პარიზიდან, ნიუ-იორკიდან, მადრიდიდან, მოსკოვიდან, დელიდან, კაიროდან!

აეროდრომის მოსაცდელში მასპინძლები ხან ერთი თვითმფრინავისაკენ მიზობდნენ სტუმრების შესახვედრად, ხან მეორისაკენ. და განა მარტო რომის ყველა აეროდრომზე იყო ასე? იტალიის დედაქალაქის რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი „ტერმინი“ ხომ ოლიმპიადაზე ჩამოსულთა მიღებას ვერ აუდიოდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ნახევარ მილიონზე მეტი უცხოელის დახვედრა, დაბინავება, კვების ორგანიზაცია. და მხოლოდ 25 აგვისტოს დღითი თითქმის ყველაფერი მიწყნარდა, სტუმრები ასობით სასტუმროში „დაბანაკდნენ“, ხოლო მასპინძლებს ამ დღეს სხვა უფრო სერიოზული საქმე გაუჩნდათ — ოლიმპიური თამაშების სახეივო გასნის ცერემონიალი.

და აი ისიც.
რომის ცენტრალური სტადიონი „ფორო იტალიკო“. საზეიმოდ მორთულა მისი უსარმზარი ტრიბუნები, რომელთა თავზე სით არხვეს ოლიმპიადში მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო აღმებს. ყვავილები, სხვადასხვა ფერის ქსოვილები ირევა ერთმანეთს. მხოლოდ ცენტრალური სარბიელი მოჩანს სადად, აქ მხოლოდ ერთი ფერი — მწვანე, ზალანს ფერი მეფობს, რომელზეც რამდენიმე საათის შემდეგ ფხის შედგება ათასობით სპორტსმენი. ჯერ კიდევ ცარიელი ტრიბუნებიდან კარგად მოჩანს „ფორო იტალიკოსაკენ“ მისასვლელ ქუჩელები — ვია ანჯელიკო, ვია ოლიმპიკო, ვია სლავია, ვია დედე ფარნეცი და სხვა, რომლებზეც მიაბიჯებდნენ სპორტის მოყვარულთა ლეგიონები... ამ დამაბინათა წინაპრების დიდმა შრომამ შექმნა რომისა და ნეაპოლის, ფლორენციისა და ვენეციის სასწაულები. როცა რომელიმე მუზეუმში შევიდოდი ჩემი შინაგანი ხილვის წინ ცოცხლებდნენ დიდი იტალიელები, რომლებმაც მსოფლიოს კულტურას განუმეორებელი შედეგები მისცეს.

როცა ვატეკანის მუზეუმში იშვიათი ხელოვნებით გამოკეთილ ჰერკულეს ბელვედერის ტანს ვათვალიერებდი, თვალწინ დამადგა უკვე ბრმა მოხუცი მიქელანჯელო, რომელიც თავის მოწაფეებს ამ ადგილას ხელით შემოჰყავდათ. ის კი საათობით ხელებით ეალერსებოდა ახალგაზრდობის წლებში მის სათაყვანებელ ამ ფიგურას, ეალერსებოდა ის ადამიანი, რომლის ნიჟარის კაპელის მოხატულობამ განცვიფრებაში

მომიყვანა, მეგონა, ყველა აქ აღმებედილი ადამიანები ცოცხლებიან, გათვლით შემუქრებიან, განსაკუთრებით ერთი, „სამხელე სამსჯავროს“ ფრესკიდან, რომელსაც ძალზე სასწორაკვეთილი სახე აქვს, მარცხენა ხელი ცალ თვალზე მიუფარებია, მთორე კი ილიების ქვეშ ამოუღვია. ირველიე რაფაელი, ლეონარდო და ვინჩი, კარავაჯო, რუბენსი, მიქელანჯელო და იტალიელი თუ სხვა ქვეყნის გამოჩენილი მხატვრები „მესია“, მაგრამ აქ, ვატკიანის მუზეუმში ყველაფერს დამზიდებით ნახავ. მხახველებიო საფსვა ყველა დარბაზი, სადაც ერთმანეთში ირევა იტალიური, ფრანგული, ინგლისური, გერმანული ენა. ყველას სურს სხვებზე უფრო ახლო მივიღეს რომელიმე ქმნილებასთან.

მართალი იყენენ იტალიელი მეგობრები, როცა თქვას, რომ თუ კი მათ ქვეყანაში დამზიდებით გინდათ ნახოთ ყველაფერი, დაწყებული მუზეუმებიდან, გათავებული ნანგრევებამდე ქვეული ისტორიული ძეგლებით, იტალიას გაზაფხულზე უნდა წვივით, რომ დატყბოთ მისი ყველა მშენებებით მართლაც, ოლიმპიადის დღეებში უსვოლებს აღებულები ქონდათ რომის ყველა ისტორიული თუ სხვა ადგილები.

...მზე კარგახსის ჩასული იყო. სიბნელემ დაისადგურა რომში. ისინი იყო გამოვლენი ბაზილიკა და მასენციოდან, სადა ზოქადრეცა შეხვედრები მიმდინარეობდა, რომ კოლიზეუმის მოედანზე მოვხვდი, აქედან ყოველ 15 წუთში „ფიატის“ მარკის კომფორტაბელურ ავტობუსს უსვოელი კორესპონდენტები პრესექტორში მიჰყავდა...

ნარინჯისფერ პროექტორებს გაქირაოდენებინათ კოლიზეუმი. ეს განათება ისე სტატურად არის მოწყობილი, რომ მნახველი ვერც კი ამჩნევს საიდან მოდის ეს მომავალდებულ სინათლე. გრილია, თითქმის დედამიწას პირი დაჯალია და აქედან იგრძეკვა ეს ნარინჯი კოლიზეუმის კედლებზე, თუ მის ტერიტორიაზე. აქ აღმითაც იმდენი მნახველი ირევა, როგორც დღისით.

ჯამთასვლას, მტრის აურაცხელ შემოსევებს თავისი გაუტანია, ნანგრევებზე უქვევია დიდებული კოლიზეუმი. მაგრამ იგი მაინც მედიდურად დაჰყურებს ზემოდან და განცვიფრებამი მოჰყავს მნახველო.

ეს შესანიშნავი ნაგებობის დანახვამ (განსაკუთრებით თუ ეს მთელი ხდება) — არ შეიძლება არ გადავიხაროლოს შორეულ წარსულში, როცა მისი ამფითეატრის ტრიბუნებზე შეკრებილი ასიათასობით მაყურებელი ღრიალით გამოხატავდა თავის ატრატენებას, ერთმანეთს რომ სასიკეთოდ ებრძოდნენ, გულს შეპირავდნენ გლადიატორები, 249 წელს რომის ათასი წლისთავის დღესასწაულზე 2000-მა მამამამა გლადიატორმა სიცოცხლეს გამოასალმა 32 სპილი, 10 ვეფხვი და ვინ მოსთვლის სხვა რამდენი გარეული მხეცი! და თითქმის ახლაც აფითავატრის სარბიელი ადამიანისა თუ მცენთა სისხლითაა მორწყული, ისმის გმინვა და უკანასკნელი ამოკენსა.

კოლიზეუმთან მდებარე მოედანი თითქმის სასულგარი იყო ძველი რომის იმპერიისა და ცივილიზებული დედაქალაქი შორის. აქ უკვე ყველაფერი ახლებურად მიდიოდა. უკანასკნელი მარკის ამერიკული, იტალიური თუ ფრანგული ავტომანქანები, ატრანული მხაური, კინოების და რესტორნების თვალისმომჭრელი შუქი. რამდენიმე ნაბიჯზე კი მრავალ უბედურებათა

მომსურე კოლიზეუმი, მის კედელთან ჩამწკრივებულ ძველებური ეტლები, ჩასუქებული ცხენები, უსაქმიოსაგან ადგილებზე რომ ტოკავენ, და იქვე კოფოზე ჩაიძინებული მეეტლები.

ათიოდე მეტრის დამორბებით კი დულდა და გადოედულდა თანამედროვე რომის ცხოვრება.

საოცარი რამ ხდებოდა სტადიონზე

თითქმის ძალზე იბიქველია ტატალივი მაყურებელი. იგი ტაშს უკრავს ყველა სპორტსმენს, რომელიც თავის სტატობას აჩვენებს. მაგრამ ნუ შეუცდებით ხელი შეუშალოთ გულშემატკივრებს, როცა სარბიელზე მათი ქვეყნის სპორტსმენი გამოდის. მაშინ თითქმის ყველაფერი ავიწყდებათ, სურვილი აქვთ, მხოლოდ და მხოლოდ იტალიელმა გაიმარჯვოს, მაშინაც კი, როცა მის წინააღმდეგ უძლიერესი დავს ხლმე. ასე იყო ბაზილიკა და მასენციოს სპილიო სარბიელზე, როცა იტალიელი ფაზრა ირევი ბეჭით მიჰყას იყო გაკრული და იტალიელი მაყურებლები კი ერთხმად გაჰყვიროდნენ — „ფაზრა, ფაზრა, მიდი ფაზრა!“ მაგრამ ვისთვის უნდა ეთხოვა შევლა, რომ დამარცხებისათვის თავი დაედო?! იტალიელი მაყურებლების თავიანთი ქვეყნის სპორტსმენისადმი არაჩვეულებრივმა თავყენისცემამ „ფორო იტალიკოს“ სტადიონზე იჩინა თავი, როცა ვილიო ბერუტამ 200 მეტრზე რბენაში უკან ჩამოიტოვა მსოფლიოს სასულგანთმთელი სპორტსმენები და პირველობა მოიპოვა, თითქმის სტადიონს გრიკოლმა გადაუარა თავს, ისე ახმურად ტრიბუნები. ყურთამშენა არ იყო. ყველა ფეხზე ადგა და ისე ესაღმებოდა ოლიმპიადის გმირ სპორტსმენს. ჩვენს უკან მდებარე ლოჯაში მხაური ატყდა.

— ეს ხომ ოლიმპიური თამაშების იტალიური კომისარი ჯორჯიო ობერვეკერია, ძირს რომ თავისი ფოტოაპარატი დააანარქსა, — გადმოლიბაპარაკა ჩემმა კოლეგამ და ლოჯისკენ გახედვა ვერ მოვასწარი, რომ აქვე იტალიის მმლეისონობის ფელეკაციის წევრს პასკულიონი სტასანოს გული შეუწუნდა, მას იქვე მფედომბი წყასა თუ „ოკა-ოკოს“ აჰკურებდნენ, ამ დროს, ცნობილმა იტალიელმა ბადრის მტკორცენელმა ჯუზეპე ტოშმა სისარულიისაგან თავის მფხოზლს ჩაღის შლიაპა სისლიმა ყურისძირში.

სანამ ვილიო ბერუტისა და სხვა მონაწილეთა შედეგებს გამოაცხადებდნენ, სტადიონზე ოდნავ ჩამობნლდა, უცხად ელექტრობატალზე პირველ ნომრად აინთო ვილიო ბერუტის გვარი. ასი ათასი მაყურებელი კვლავ ფეხზე ადგა, ტრიბუნები ციქსში გაეხვია. გამარჯვების ნიშნად იტალიელმა თუ ჩამოსულმა სპორტის მოყვარულებმა გაზეთებს ციქსი წაუკიდეს და ოლიმპიკი ჩირაღდანა, რომელიც იქვე ერთ-ერთ ტრიბუნის თავზე გიზგიზებდა, ახალი ჩირაღდენები მიემატა. ვილიო ბერუტი საპატრი კარცხლბეზე ავიდა, ორსტელმა შესარული იტალიის შესანიშნავი ეროვნული ჰიმნი, რომელსაც მთელი სტადიონი სიმღერით აჰყვა. ციქსილი და სიმღერა მეფობდა ამ დროს „ფორო იტალიკოზე“.

მსგავსი რამ განმეორდა საწყლოსნო აუზში — „სტადიო დელ ნუოტო“, როცა ერომბონის ხვედებოდნენ იტალიისა და სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუნდები. მაშინ ორჯერ ჰერისა ჩვენი გუნდის კარს ბადე და იტალიელმა მაყურებლებმა თავიანთი აღტყების მარტო შეძახილობით და ტატიოთ როდი გამოხატეს, ბევრი მათგანი ტანსაცმლიანად

გადაეშვა აუზში და შეკვირების ორგანიზატორებს, პოლიციელებს დიდი შრომა დასჭირდათ, რომ აუზში „მაშველი ძალები“ გადაესროლათ სისხარულსაგან განწარულთა გადასარჩენად.

ზევრი თავყანისმცემელი ჰყავდათ ჩვენს სპორტსმენებსაც, ამერიკელებსაც, მათაც, ვინც თავი გამოიჩინა ოლიმპიადზე, მაგრამ იყო ერთი კიდევ თავისი გულშემატკვარი — ეს გახლდათ ცნობილი ამერიკელი კინოზარკვლავი ელისაბედ ტეილორი, რომელიც ოლიმპიადის დაწყების წინ ტრანსატლანტიკის გემით „ლეონარდო და ვინჩიო“ თავის მუდღელსთან, ცნობილ მომღერალ ედი ფიშერთან ერთად ნეაპოლში ჩამოვიდა. აქედან კი ავტომატნაპით რომს უწვია და მასწინვე შეუერთდა სპორტის გულშემატკვართა მრავალათასიან არმიას. ელისაბედ ტეილორის რომში ჩამოსვლა პირველად იტალიურმა გაზეთებმა გვამცნეს, როცა პირველ მკვლელობებზე მსახიობის ფოტოსურათი ქმარადან ერთად. ვის შემდეგ? ტეილორი თავს მიფარა და იგი პირველად „პალაკეტო დელო სპორტში“, კალათბურთელთა შეჯიბრებაზე ენახეთ, როცა ოლიმპიურ ჩემპიონატზე აქ ერთმანეთს ამერიკისა და ჩვენი ქვეყნის გუნდები შედეგობდნენ. ამერიკელი მსახიობი, რომელიც იტალიელ კინომოღვაწეთა შორის იჯდა, ძალზე განიცდიდა თავისი გუნდის წარმატებასა თუ წარუმატებლობას, თუმცა პირველ უფრო, რადგან ამერიკელი კალათბურთელები ყველაფრით კობინდნენ მეტოქეებს და ჩვენი გუნდის კალათის ბაღში ხშირად ეფეოდა მათ მიერ ნატყორნი ბურთები. ე. ტეილორი ერთგვარი ზედმეტი ტემპერამენტით გამოხატავდა თავის აღტყობას, ამერიკელთა ყოველ ჩაგდებაზე ბურთზე სისხრულით ცას ეწეოდა.

შემდეგი შესვენრა ე. ტეილორთან „ფორო იტალიკოზე“ „შედა“. იგი აქ მოვიდა ამერიკელ მძღვლისათა გასასწავლებლად, მაგრამ მისი კონტინენტის „მეტეორებმა“ იმედი ვერ გაუართლეს, ოლიმპიური ჩემპიონობა 100 მეტრზე რბენაში გერმანულ არმინ პარის „ჩააბარეს“. მაგრამ ეს ხომ არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც ახლა უნდა მომხდარიყო, სიმაღლეზე ფენომენალური მტომელის, „ამერიკელი კენგურუს“ მარცხისას. ვინ არის ჯონ თომასის ტოლი სიმაღლეზე ხტომალი? — ფიქრობდა ყველა აქ შეკვირვებული, ელისაბედ ტეილორიც.

მაგრამ ეს რა ხდება? შევეუფაშვებოთ საბჭოთა სპორტსმენი პირველსავე ცდაზე ძღვლეს სიმაღლეს, ხოლო თომასის სხეული და თამასა ერთდროულად ენარცხება მიწას.

და როცა ახალი ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომალს, ქართული რობერტი შვალაყაძე გამარჯვებულს კვარცხლობაზე ავიდა, ელისაბედ ტეილორმა განაწყენებულმა დატოვა ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნა.

ამის შემდეგ ამერიკელი მსახიობი სპორტულ სარბიელზე აღარ გვიჩანავს, უკანასკნელად იგი შევხვდეთ იტალიის ცენტრალურ კინოსტუდია „ჩინეიტაში“, სადაც, როგორც გავიგეთ, რომელიც ფილმში გადაღების ხელშეწყობებს აფორმებდა. ჩვენ კი, საბჭოთა ჟურნალისტების 3 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, ამ დღეს სტუმრად ვიყავით იტალიელ კინომწამკებთან.

ერთ-ერთ პავილიონში, რომელშიც საკმაოდ მდიდრული

სასახლე წამოვიბოძა, ყურადღება მიიპყრო მხატვრის შექმნილი მხატვრობა. სურათების წინ შევჩერდეთ და გაკვირვებულმა ერთმანეთს გადავხედეთ. განა შეიძლებოდა რაფაელის ბუმბურაზი ნიჭი ასე სრულყოფილად გადმოეღო კინოსტუდიის რომელიმე მხატვარს? მაგრამ თურმე ფეხბურთი. ჩვენს თვალწინ სახელმწიფელო მხატვრის ფეხები შესრულებული ტილოები ყოფილა, რომლებიც ერთ-ერთ ამერიკელ კინოოპოზანის რამდენიმე დღით რომის მუზეუმშიდან აქ წაშოულა და რაშიც 4 მილიონი იტალიური ლირა გადაუხდია.

მ.სანძიმემა სადღმონატრაიო დაიბარებინა გიგნეუს ახალი ამერიკული ფილმის „სექტემბერი“ რამდენიმე ნაწილი, სახელებათშული იტალიელი რეჟისორის რომბერტო რსულენის მიერ გადაღებული კინოკადრები ფილმიდან „ჯუზეპე გარიბალდი“, რომელიც რეჟისორს კუნძულ სიცილიიდან აქ გამოუგზავნიდა დასამონტაჟებლად.

სადღმონატრაიო დრამაზიდან ამოსვლისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო უზარმაზარ აუზში მოყურავე ძველმა ეგვიპტურმა ხომალდებმა. აუზის თოხივე მხარეს განლაგებული იყო სპეციალური მანქანები ხელოვნური დღეის წარმოსაქმნელად. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი „დედუფაცია“ ძალზე მცირერიცხოვანი იყო, კინოსტუდიის მუშებმა ეს მანქანები ააშუშვეს. ჩვენ თვალწინ გადაიშალა ნამდვილი მ ბალიანი ზღვის დღეა. „ზღვის“ ზედაპირზე კი ერთმანეთს ეხეთქებოდნენ ძველი დროის ხომალდები, რომელთაც თავიანთი მისია უკვე დაემთავრებინათ — კინოფილმი „კარაფელი ცეცხლში“, რომელშიც აქ, ამ აუზში გამართული საზღვაო „ბრძოლები“ გადაღებული, უკვე გადიოდა რომის კინოთეატრების ეკრანებზე.

მაგრამ ამ ფილმს არ ჰქონია მინცდამანიც დიდი წარმატება. საქმე იმისა, რომ იტალიელებს აღარ აღუღვებთ ისტორიული ფილმები, ისინი უფრო ისეთ კინოსურათებს აძვიბინებენ, რომლებშიც აღწერილია მათი დღევანდელი ცხოვრება. ამიტომ იყო, რომ ჩვენი მაყურებლებისათვის კარგად ნაცნობი „კაპირისი ღამეების“ რეჟისორის ფედერიკო ფელინის ახალმა ფილმმა „ტკბილმა სიცოცხლემ“ აჭარბა მაყურებლების დიდი მოწონება დაიმსახურა და უნდა გვენახა, როგორ მზურფაუდეს განიცდიდნენ ისინი ამ შეპანიშნავი ფილმის ყოველ კადრს, რომლებშიც ჭეშმარიტი სიმათლთათა აბეჭდილი თანამედროვე იტალიის უბრალო ადამიანების ცხოვრება.

ოლიმპიადისაგან თავისუფალ საათებში ბევრს ვმოგზაურობდით. ჩვენი დღის განრიგში, განსაკუთრებით დღისით სრულად არ იყო გრაფა, რომელიც ეწყობოდა ერთი სიტყვა: დასვენება. და ჩვენც დადიდით ფეხით, ავტობუსით იმ ადგილებში, რომლებიც უცნობი და საინტერესო იყო.

ყველაზე დამქანცველი, რასაკვირველია, სილიადის მხრე, მინც ქალაქ ნაპოლიდან მთავალი გზა იყო და შერეორონი გზა! გვეგონა, საქართველოს ზღვისპირა რაიონებში ვმოგზაურობდით. ხეხილის ბაღები, ვენახები, ციტრუსების პლანტაციები, წყაროები — თითქოს ეს ყველაფერი ქართული იყო. ზღვისპირა კურორტები — ტერაჩინა, სპროლონო, ფორმია — ჩვენი გაგრა, ქობულეთი მგონა. ბაზარზე აუარებელი ატამი, მხაალი, სურბენი, პამიდორი, ღვინო, თევზული. აქვეა სხვადასხვა ზომის თიხის ჭურჭელი, დაწყებული პატარა ხელა-



დებიდან, დამთავრებული ხუთფუთიანი, თუ ათფუთიანი ქვევრებით.

ავტობუსი კი განაგრძობდა თავის გზას. უცნაოდ წინ რაღაც პროცესია გადაგველობა, ასობით ადამიანი სასულე ორგანოსთან თანხლებით მიდიოდა გზაზე. მუწინავეებს ხელში დროშები და მარმარილოსაგან გამოკვეთილი წმინდანების ქანდაკებები ეპყრა. გვეგნა, ეს სამგლოვიარო პროცესია იყო, რომელსაც ცოტა ხნის შემდეგ ადამიანი უნდა მიგბარებინა ამ მადლიანი მოწისათვის.

მძლოლმა ავტობუსი შეაჩერა. შეუძლებელი იყო გზის გაგრძელებაზე ფიქრი, რადგან წინ რამდენიმე იტალიელი გადაგველობა, მომომიშარი სახეებით. მალე კარი გაიღო და ჩვენს წინ ყურჩინთა და სხვა ხილით სავსე დიდი კალათა გარჩადა.

ჩვენ თურმე ცქცქვნიოდით. ეს ყოფილა მოსავლის დღესასწაული, რომელსაც აქაური ხალხი ყოველწლიურად ამ დღეს აღნიშნავს.

ნეაპოლამდე კიდევ ერთხელ გააჩერეს ჩვენი ავტობუსი. ორმა პარკი შესახედაობის ახალგაზრდამ ხელები ასწია და ჩვენ იძულებული ვიყავით მათ ნებას დავმორჩილებოდით. გამოსვლა გვთხოვეს. იქვე გზის პირას მიწაზე სუფრა გაეშალათ, რომლის ცენტრში თეთრ ლურჯში გამოწყობილი ახალგაზრდა გოგონა და მის გვერდით შავ კოსტუმში გამოწყობილი ვაჟი იჯდა — ქორწილი იყო.

მალე ყველა ჩვენგანს ღვინით სავსე ჭიქა ეკავა ხელში. გამასხენდა, რომ ჩანათაში ქართული ყაწვი მჭობდა. რამდენიმე ცალი წაიღებ თბილისიდან სხვა საჩუქრებთან ერთად. ასლა მხოლოდ ერთი დამარჩა.

მალე ქართული სასმისით ნეფე-დედოფალს ვადღებრქმევდით, შემდეგ ყაწვი ნეფის მიწაწოდებ, ჩამომარევა, თვალღერება დაუწყა. შემდეგ ღვინით შეუვსებ, ჩვენი წასვლის დროც მოვიდა, ავტობუსი დაიძრა. ხელებს გვექნევდნენ მქორწილენი. ნეფს კი ის ხელი აღეშარათა მალდა, რომელშიც ქართული ყაწვი მჭობდა.

ოლიმპიურ თამაშებზე კვლავ დასვენების დღეა. კვლავ ავტობუსში ვზივართ და ამჯერად ქალაქ ტევილისაკენ მივდივართ. გზადაგზა კვლავ მქორწინებთა ზეიმია, გგონია, თითქოს ახლადამქორწინებულებს დედაქალაქში ზეიმის გადახდის უფლება არ ჰქონდეთ, რომიდან შორს უნდა გავიდნენ, გზის პირას იდგეს სასწაული. მაგრამ ეს თურმე ნეფე-დედოფალს სურვილზე ყოფილა დამოკიდებული. იტალიელებს უყვართ თვითნაირი ქვეყნის ბუნება და ამიტომ ხდება ასე.

ტივოლი ჩასვლისას თქვენ, პირველყოფისა, მიგიაპტიკებენ იპოლიტ დესტეს ვილამი, რომელიც 1500 წ. ააგო პირო ილოგრიომ. იგი საქვეყნოდ ცნობილია თავისი მშენებური პარკით, აიასაძვე შადრენით. დადინარ ფართო ხეივანებში, ათეულიერებ შადრენებზე — ფონტანა დელ ბიკვირონესს, რომელსა, ჩენტო ფონტანეს და სხვ. მრავალს, რომლებიდანაც უხვად ჩქვს პატარა მდინარეების ანთასა და მარჩიას წყალი. მაგრამ, ნუ იტყვი, რომ ამ შადრენების მთელი სილამაზით დატეხი, თუ იგი ღამით არ ნახებ, როცა ყველაფერს სხვადასხვა ფერის სინალები აჩრადენებს. აუკურობას ნამდვილი ზღაპრული სილამაზის იერი აქვს. ამ ქალაქიდან გამოშვარებისას

ის-ის იყო ავტობუსში უნდა ჩამგვადარიაყავით, რომ ჩვენებურ მოვიდა სუვენირებით მოვატყრე შუახნის ჩასუქებული მამაკაცურ რომლის პირველი კითხვა ასეთი იყო:

— თქვენ საპტოთა ადამიანები ხართ? — გვითხრა მან თავაზიანად, — ერთი ეს მოთხარით, ცხოვრობენ თქვენში ებრაელები და თუ ცხოვრობენ, რას აკეთებენ?

ეს კითხვა ჩვეთვის მოულოდნელი იყო და ტივოლელმა თვითონ გამოგვიყვანა მდგომარეობიდან, როცა განაცხადა, მეც ებრაელი ვარ და სურთელი მატებს გავიყო, ჩვენი ეროვნების ხალხი როგორ გრძობს თავს ქალთა კავშირშიო. როცა მან პასუხი მოიხილა, რომ ჩვენთან ებრაელები არიან აკადემიკოსები, ხელფურების გამიჩენილი ოსტატები, მხატვრები, მწერლები, მან გაკვირვების ნიშნად თავი გაიქნია, თავის სავატრო ყუთს დახვდა, რომელშიც პრეზინაგენდენ უბრალო ლთონისღვეან ნახელავი სხვადასხვა სამაკული.

სპორტი და სიმღერა

იტალია, მართლაც, სიმღერის ქვეყანა ყოფილა. ამაში ჩვენ დაერწმუნდით იქ ჩასვლის პირველსავე დღიდანვე, როცა „ჩამპინოს“ აეროდრომიდან ავტობუსმა სასტუმროსაკენ წავიყვანა. მარჩელოსთან, ჩვენი ავტობუსის მძღოლთან, ნაცნობობა სიმღერით დაიწყო. იგი მიუჯდა საჭეს და მანქანამ ხმაურით დატოვა აეროდრომის ტერიტორია. მარჩელომ მამინეგ რადიო-მიმღები ჩართო, მოგვსმა ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი „ჩაო, ჩაო ბამბინას“ კანტები, რომელსაც ჩვენი მძღოლიც აჰყვა, მალე მას ჩვენც შეუერთდით და ასე სიმღერით მივედით სასტუმროდ. ძალზე მუსიკალური ახალგაზრდა აღმოჩნდა სენიორ მარჩელო. იგი ავტობუსით მგზავრობის დროს ყოველთვის გვართობდა სიმღერით, და როცა რადიომიმღებიდან საცქვეაო შეიღობა დაირხებოდა, იგი წამდებოდა ხელს უშვებდა საჭეს — ხელგებითა და ფეხებით აღვიღებ ცეკვავდა. აბა გენახათ სხვა ავტობუსების მძღოლები! იფიქრებდით, თითქოს ამ თანამდებობაზე მარტო მომღერლებსა და მოცეკვავებს იღებდნენ. საკმარისი იყო „ფიატის“ ავტობუსის რომელიც გინდა მძღოლს, რომელსაც ერთი შეჯიბრების ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდა კორესპონდენტები, გვერდით მიხდომოდო, ღლიონით დაგეწყო რომელიმე პიპულარული იტალიური სიმღერა, რომ უკვდავ მძღოლიც აგვეცებოდა, შემდეგ შენი „დახმარება“ აღარ იყო საჭირო, იგი მრავალფეროვანი რეპერტუარით წარმოსდგებოდა თქვენს წინაშე. აბა გენახათ ჩვენი მეორე მძღოლი სენიორ ადოლფო ცეკვების საღამოზე, რომელიც სასტუმროს კულანში ხშირად იმართებოდა. მას ხომ ბაღლი არ ჰყავდა, შესანიშნავად ცეკვავდა თითქოს ყველა ვერბოულ ცეკვას. ჩვენი სამშობლოს ხელოვნებიდან ასრულებდა რაღაც მოძრაობებს ფეხებითა და ხელებით, რომელიც ძალზე წააგებდა კავკასიურს. ცოტა გვიან გავიგეთ, რომ ადოლფო რომში დასწავრბოდა ი. სუბიშვილისა და ნ. რამიშვილის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტს და როცა გაიგო, რომ ჩვენ ამ ანსამბლის მოცეკვავეთა თანამაშაბული ვიყავით, არ მოგვეშვა, სანამ ქართული ცეკვის რამდენიმე ილუთი, ჩამოგლა და ჩაკვრა არ ვასწავლეთ.

მომღერლები და მოცეკვავენი, რასაკვირველია, ოლიმპიადის მონაწილეთა შორისაც იყვნენ, მაგრამ თუ კი ხელოვნების

ამ „დარგებს“ ისინი სპორტული შეჯიბრების ადგილზე უჩვენებდნენ, ეს კი აღარ გვეგონა.

„პალატი დღით სპორტში“ დილიდან გვიან ღამემდე მიმდინარებდა მოკრეფთა ოლიმპიური შეჯიბრება. რინგზე გამოიხატეს ესპანელი და გერმანელი სპორტსმენები. რინგის ერთ კუთხეში გერმანელი დადგა, რომელიც მეტოქის გამოსვლას ელოდა. ამ დროს გაისმა სიმღერის ხმა. ეს ესპანელი მოკრეფე იყო, რომელიც რინგისაკენ სიმღერით მიემართებოდა, სიმღერითვე ჩაება ბრძოლაში, თავდაპირველად გაბეძულად შეუტია გერმანელს, სიმღერისაკენ მოუშტა, ურტყადა და მღეროდა, მაინა, სანამ გერმანელი რინგზე არ მოვიდა, სტეკვასავით არ დააყარა დარტყმები. მაშინ ესპანელმა მოკრეფემ თანდათან უკლი სიმღერას. მასამე რაუნდში ხმა ჩაუწყდა, რადგან ბრძოლის გაგრძელებაზე ფიქრი უკვე უაზრობა იყო, გერმანელი აშკარად კოხნიდა მას.

რინგზე ცეკვაც ენახეთ, ცეკვა აფრიკული, ექსცენტრიკული. მსაჯებმა სპორტულულად გამოიხატეს პოლიონელი პეტ-მიოკოსი და აფრიკული კრაუფორდი. შეხვედრის წინ ზანგამ თავისი ქვეყნის ცეკვა შეასრულა, რისთვისაც მაცურებელთა მჭებზე ტაში დაიმსაურა. ამის შემდეგ მისთვის ტაში არ დაუკრავთ. პოლიონელმა იგი ისე მიჰყვა, რომ ცეკვის ხასიათზე უკვე აღარ იყო.

ყველაფერი ოლიმპიადის სამასხურში

იტალიის ტელეხედავა, რადიო, პრესა, „ლაზერეტოს“ კომპანიის 200 მოტოროლერი, „ფიატის“ მარკის ასობით მსუბუქე მანქანა თუ ავტობუსი. ყველაფერი იყო ოლიმპიადის ემასხურებოდა. „დომუს მარისა“ შენობაში, რომელშიც მოთავსებული იყო პრესცენტრი, დღეღამის განმავლობაში არ წყდებოდა მუშაობა. აქ ყველაფერი სარდაფიდან იწყებოდა, რომლის ვრცელ დარბაზში განლაგებული იყო საბეჭდო მანქანები იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, რუსულ და სხვა ქვეყნის ენაზე. აუტანელი ხმაური იყო აქ. კორესპონდენტები ერთმანეთს ასრუებდნენ, ყველას სურდა, პირველს ემცნო ცხელ-ცხელი ამბები მსოფლიოსათვის. აქვე იყო რამდენიმე ტელევიზორი, რომლის ეკრანზე ყოველთვის აღიბეჭდებოდა საინტერესო შეჯიბრება...

ტელეეკრანზე გამოჩნდა 400 მეტრზე რბენის მომენტი. მესტარტის ნიშანზე სპორტსმენები ტრეკისათვის მოწყდნენ ადგილს. დაიწყო ბრძოლა ოლიმპიადის ჩემპიონის ოქროს მედალისათვის. სანამ სპორტსმენები დისტანციას იყვანდნენ, უნდა ეგრძინო შუაზე გაიყო. ახლა უკვე ნიჩოსანთა შეჯიბრებას გადასაყდმდნენ ალბანას ტინადი. შემდეგ კალათბურთოთა, ცხროსანთა შეჯიბრებებს და ასე გაუთავებოდა. ისინდნენ სხვადასხვა ქვეყნის გაზეთებისა თუ რადიომავწყობლების კორესპონდენტები ტელევიზიის ეკრანთან, თავიანთ ბლოგნობებში აღბეჭდადნენ შეჯიბრებების შედეგებს, სირბილით ადი-

ოდნენ მესამე სართულზე, სადაც მოწყობილი იყო სატელეფონო სადგური...

რამდენიმე ხნის შემდეგ კი ტელეფონისტი ქალის ხმა ისმოდა პაერში. ხაზზე იყო ნიუ-იორკი, ვაშინგტონი, მადრიდი, ანკაა, პარიზი და სხვა ნაცნობი თუ უცნობი ქალაქები. „საქვეყნოდ“ ცხადდებოდა რომელიმე სენიორის, მისტერის თუ მუსიკის გვარი, რომელსაც ტელეფონისტი აპარატთან იხმოდა.

იყო ფუსფუსი, ხმაური. კორესპონდენტები გადასცემდნენ თუ არა თავიანთ რედაქციებს მასალას, ზოგი იქვე მდგარ საგარეულოში „ჩაეშვებოდა“, ზოგი გამოიბოდა პრესცენტრის ეზოში, ქოშინით მივარდებოდა მოტოროლერის, ავტობუსის მძღოლს, ჯდებოდა მანქანაში და მისთვის საჭირო სპორტული შეჯიბრების ადგილისაკენ მიდიოდა.

რომში ყოველ ნაბიჯზე იყო გაზეთებისა და ჟურნალების კიოსკი. პერიოდული პრესის „ნაწარმს“ სტადიონებისა და სხვა სპორტული ნაგებობის წინ მდებარე მოედნებზე ყიდდნენ ცეროდნე ბიჭუნები. ყოველ მოედანზე ოლიმპიადისადმი მიძღვნილი გაზეთები უფასოდ ურიგდებოდა გამბეძულებს, მაგრამ გაზეთთან ერთად, მშვენიერი შესახედაობის ქალიშვილი რომელიმე ფირმის რეკლამასაც მოგარჩებოდა ხელში. უნდა ითქვას, რომ იტალიური პრესა ძალზე ოპერატიულად აუქმებდა ოლიმპიურ ამბებს. მას არც ამერიკელი და ფრანგი კოლეგები ჩამორჩებოდნენ. კიოსკებში უხვად იყო ყველა სახის ჟურნალი. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ როცა 1 სექტემბერს ქართულმა რობერტ შავლაყაძემ მთელი მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა ალაპარაკა თავისი შესანიშნავი გამარჯვებით, იტალიურმა სპორტულმა ჟურნალმა უკვე 2 სექტემბერს დილით გასაყიდად გამოუშვა ახალი ნომერი, რომლის ფურცლი ყდრიანდ გვიღიმიდა ოლიმპიადის ასალი ჩემპიონი, ქვემოთ კი აღბეჭდილი იყო ნახტომი, რომელმაც მას გამარჯვება მოუტანა.

„არივედერჩი რომა“

რომის ოლიმპიადის დაწყებიდან 18 დღის შემდეგ „ბრძოლები მდინარე ტიბრზე“, როგორც მას აქ უწოდებდნენ, დამთავრდა, გამოვლინდნენ უძლიერესი სპორტსმენები, გუნდები. ისინი უკანასკნელად კიდევ შეიკრიბნენ „ფორო იტალიოს“ სტადიონზე, და მათ ურთიერთს შევიცეს მეგობრობა, შემდგომი წინაბეჭებები უსურვებს ერთმანეთს. ჩაქრა ოლიმპიური ჩირაღდნები, მაგრამ მთელი სტადიონი ცეცხლში „გაეხვია“ ასი ათასმა კალათბურთელმა გაზეთებისაგან კვლავ ანათო ჩირაღდნები, მკვლავ დაიგუგუნა იტალიის ეროვნულმა ჰიმნმა. ცეცხლი და სიმღერა მეფობდა ამ დროს „ფორო იტალიოსზე“. ელექტროტალღოზე კი აღიბეჭდა:

— არივედერჩი ე ტოკიო — ნახვამდის ტოკიომდე! ეს იმას ნიშნავდა, რომ იტალიელებმა ოლიმპიური თამაშების ამანათი იაპონელებს გადაუღოცეს და ჩვენს მეტი რა გვეთქმობდა: ნახვამდის რომო! არივედერჩი რომა!



ძველი და ახალი თბილისის სურათმომღვრული კონტრასტები

(არქიტექტორის ჩანაწერები)

თენგიზ კვიციანი, მიხეილ ლორაქიფანიძე

საქართველოს დედაქალაქის სურათმომღვრული სახე მრავალმხრივ არის საინტერესო. განუყოფელია ბუნებრივი პირობებით, რელიეფით, ადგილობრივი ტრადიციებით, რაც მკვეთრ თავისებურებას ანიჭებს თბილისის ქუჩებს, მოედნებს, უბნებს, ქალაქის მთელ ცხოველბუნებულ არქიტექტონიკას. საინტერესოა საუკუნეთა მანძილზე ქალაქის ზრდა-განვითარება. საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი ნაგებობების სურათმომღვრული სახის ევოლუცია, მისი არქიტექტურის ისტორიის მჭიდრო კავშირი ქართველი ხალხის მემკვიდრეობასთან. განსაკუთრებით ბევრის მთქმელია თბილისის არქიტექტურის ისტორია საბჭოთა პერიოდში, როდესაც ქალაქმა მრეწველობის სწრაფ განვითარებასა და ტერიტორიულ ზრდასთან ერთად, მოკლე ხანში საეკონომიკური იცვალა სურათმომღვრული სახე. ამჟამად საქართველოს დედაქალაქის ფართობი 80-ჯერ აღემატება მე-19 საუკუნის დამდეგისათვის არსებულ ქალაქის ტერიტორიას. ამასთან, თბილისის სურათმომღვრული სახეს განსაზღვრავს სწორედ საბჭოთა წლებში შექმნილი ნაგებობანი, ქუჩები და მოედნები.

თბილისელთათვის ჩვეული გახდა მათი საყვარელი ქალაქის სახეცვლილება. ჩნდება ახალი ქუჩები, უბნები, ბაღ-პარკები, შენობები. ახალი უბნების და მოედნების აღმოცენებასთან ერთად მკვეთრად იცვლის იერს ქალაქის ძველი, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ნაწილებიც. როდესაც გადაჭყურებ თბილისს მამადავითიდან ან დადიანარ მის ფართო მაგისტრალზე, მწვანით მოვარაგებულ სანაპიროზეზე, მშობლიუ-

რი ქალაქის იერის მომკადამბელი ძალით შეპყრობის ძნელად წარმოგიდგინია. რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მწვანეში ჩაფლული სანაპირო ფაქტიურად უსუფთაო და ქალაქის ყველაზე გავრანებული ადგილი იყო, რომ სამიოდე ათეული წლის წინათ არ არსებობდა გირთა მოედანი, რომ თავისი ბუნებით მეტად თავისებურმა გელუსკინელებს ქუჩამ გზა კლდეზე გაიკაფა, რომ ქალაქის მთავარიან რელიეფი ასე ორგანულად „ჩაწერილმა“ ვარაზმა ნახტომი გააკეთა ერთ დროს ღრმა ხევეზე...

თბილისის სამშენებლო ტრადიციები ისევე ხანდაზმული და მდიდარია, როგორც ქალაქის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ცოტაა ისეთი ქალაქი, რომელთაც ესოდენ გმირული და ერთგვარად ტრავიული მატიავე აქვს. სისხლი და სამშენებლო დუღაბი ერთმანეთში ირეოდა, მეომარი მშენებელს სცვლიდა, ზეიმი გლვას. თბილისის წარსული აღმშენებლის ბედი ბერძნული ლეგენების გმირს მოგვაგონებს, რომელიც მძიმე ლოდს აგორებს მთის მწვერვალისკენ, და ეს მხოლოდ იმისთვის, რომ როდესაც მიზანადე მხოლოდ ირთიდე ნაბიჯი-დარჩება, ლოდი მოსწვდეს და სიზიფი კვლავ შეუდგეს მის აღმართში ატანასა. და მართლაც: ქალაქი ეს-ეს არის მოიშუშებდა მძიმე ტრილობებს, ფალანგებს დაფარავდა საქართველოს დედაქალაქს და მშენებელს კვლავ აბჯრის ჩაცმა უხდებოდა. მაგრამ უკანასკნელად მოიქნევა თუ არა ხმაღს, მეომარი ჩამას კიდებდა ხელს.

ასე იყო... შფოთიანი დღეები მტკვრის ტალღებს გაყავა. სიზიფი კვლავ აგორებს აღმართში ლოდს, თბილისმა-კი თამამად გადააბიჯა უღელტეხილს, გამარბა მხრები, გაიშალა, არარა უშლის მას მშვიდობიან მშენებლობაში. არაოდეს, თავის ათასხუთასი წლის არსებობის მანძილზე, თბილისს ესოდენ მკვეთრად არ შეუცვლია სახე, როგორც ამ უკანასკნელი ოთხი ათეული წლის განმავლობაში. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ჭადარა ქალაქში არ მოიპოვება ისეთი კუთხე, რომელსაც საბჭოთა მშენებლის ხელი არ მხეებოდე.

თბილისის ზრდისა და სახეცვლილების მკაფიო სურათი წარმოგიდგება ახალი და სულ რაღაც ორმოციოდე წლის წინანდელი არქიტექტურის შედარება-დაპირისპირებით. ქალაქის ზოგიერთი ნაწილის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის მოკლე განხილვა თვალსაჩინოდ გვიჩვენებს თუ რაოდენ მკვეთრად იცვალა თბილისმა სახე საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

1930 წელს იქნა აღებული ე. წ. „სამხედრო ტაძრის“ შენობა. აქ აშენდა მთავრობის სახლის კორპუსები



ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანი

თბილისის ცენტრალურ მოედანს ქალაქის საგზაოდ „დიდ ასაკთან“ შედარებით არსებობის ხანმოკლე ისტორია აქვს. მოედნის ინტენსიური განაშენიანება მე-18 საუკუნის პირველ მეთხედველ დაიწყო. ამ დრომდე ტერიტორია, რომელზეც ამჟამად თბილისის მთავარი მოედანია, ქალაქის კედლის გარეთ იმყოფებოდა და იმდროინდელი „გარეთუნის“ ერთ-ერთ ნაწილს შეადგენდა. ეს ადგილი გაჭირლი იყო საკმაოდ დიდი ზომის „ავანანთ ხეებით“. მე-17 საუკუნეში, დღევანდელი ხელოვნების მუზეუმის შენობის ადგილზე, დიდი ქარვასლა იდგა ჩამოსული გაჭირბისათვის. საპარსელების მიერ მისი დაწვევის შემდეგ ეს შენობა აღარ აღდგენილა. მე-18 საუკუნის დასაწყისში ამ მიდამოებში პატარა საცხოვრებელი სახლები და წვრილი სახელოსნოები იყო განლაგებული.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ თბილისის სახელგერმა სწრაფად იწვეს გაფართოება. ძველი ქალაქი ჩქარი ტემპით იცვლიდა სახეს. ცენტრმა ადგილი გადაინაცვლა ყოფილ გარეუბანში, დღევანდელი ლენინის მოედნისა და რუსთაველის პროსპექტის ტერიტორიაზე.

საკუთხ არაფერი გვექონდა მეგობრობის გარდა. მეგობ-
რობის განაწილება კი ორივეს ვგაძლიერებდა და სულიერ-
ად ვგამდიდრებდა“.

ქართული ეროვნული თვითმყოფი მუსიკალური სემოქ-
მდება დიდი სიყვარულით სარგებლობდა და სარგებ-
ლობს სომეხ ხალხში.

სიმფონიური ორკესტრის, ნიჭიერი ქართველი კომპო-
ზიტორების, მომღერლების, სიმღერისა და ცეკვის ანსამ-
ბლების, მუსიკოსების ჩამოსვლა სომხეთის დედაქალაქში
მუდამ სასიხარულოა ჩვენი რესპუბლიკისათვის.

გულთბილად ხვდებიან თბილისელიები ჩვენი მუსიკა-
ლური კულტურის წარმომადგენლებს.

ქართველ და სომეხ მშრომელთა კულტურული დაახ-
ლოების საქმეში ყველაზე დიდ როლს ასრულებს თეატ-
რალური ხელოვნება.

80 წელზე მეტა ქართული სცენიდან არ ჩამოდის
დიდი სომეხი დრამატურგის გ. სუნდუკიანის უკედაგი პი-
ესა „ბებო“. ქართველმა მაცურებელმა პირველად იგი
1874 წელს იხილა, რის შემდეგაც „ბებოს“ ყოველთვის
საპატიო ადგილი უჭირავს ქართული თეატრების რეპერ-
ტუარში.

ერევნის ა. სუენდარიოვის სახელობის ლენინის ორდენ-
ის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური
თეატრის რეპერტუარში შეტანილია ქართული მუსიკის
კლასიკოსის ზ. ფალაშვილის „დაისი“, ვ. დოლიძის
„ქეთი და კოტე“.

ნაციონალური კულტურის ინტერესების ერთიანობის
და მჭიდრო შემოქმედებით ურთიერთობის თვალსაჩინო
მაგალითა ქართველი და სომეხი მხატვრების თანამე-
გობრობა. მახსენდება სახეილი ხელოვნების სომეხი და
ქართველი სისტემების შემოქმედებითი შეხვედრები, ხე-
ლოვნების ორბუნების ეთნოლოგი განხილვა, მოძრავე
გამოფენები, ახალი ნამუშევრების ერთიერთგაცვლა და სხვ.

საქართველო უძველესი მრავალსაკუნიონი კულტურ-
ის ქვეყანაა. მხოლოდ ჩვენს, სახალხო ტალანტების თა-
ვისთვისა შემოქმედების ეპოქაში შეიძლება სრულად
შეუფასდეს, რაოდენ ნიჭიერა ქართველი ხალხი, რა ნათე-
ლი და თვითმყოფი მისი განუყოფელი სილამაზის ხე-
ლოვნება.

სომხეთის სიმღერისა და ცეკვის დამახასურებელი ან-
სამბლის მხატვრული ხელმძღვანელი ტატულ ალთონიანი
ცეკვის დამახასურებელი ანსამბლზე წერს: „სომხეთის სიმ-
ღერისა და ცეკვის დამახასურებელი ანსამბლის სოლის-
ტები ამბობენ — ამ შესანიშნავ კოლექტივის შესრულე-
ბაში იგრძნობა გამოყვანილი მხატვრული სტილის მთლი-
ანობა.“

ეს დიდი აღმზრდელი მუშაობის, ხელმძღვანე-
ლობის მომზოდვლობის ნაყოფია, რაშიც მთავარი რო-
ლი ანსამბლის ხელმძღვანელებს, ჩემს ქართველ მეგობ-
რებს, სსრკ სახალხო არტისტს ილიკო სუხიშვილსა, და
საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნინო რამიშვილს
ცუთვინია“.

სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობა საბჭოთა
კავშირის ხალხების დიადი მეგობრობის განუყოფელი
რგოლია. ქართველი და სომეხი ხალხები ყოველმხრივ
აფართოებენ და განამტკიცებენ რა მრავალეროვანი საბ-
ჭოთა კავშირის ხალხების თანამეგობრობის დიდებულ
ტრადიციას. სხვა ხალხებთან ერთად ხელმეხლ ჩაკიდ-
ბულნი აშენებენ მშვიდობიან, ბედნიერ ცხოვრებას.

მეგობრების შეხვედრა

ლევონ ხალათიანი

სომხეთის თეატრალური საზოგადოების მოწვევით საქართველოში სამჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად ეროვნულ-ისტორიული ქართული სცენის გამოჩენილ ოსტატთა ერთი ჯგუფი, სსრკ სახალხო არტისტების ვერიკო ანჯაფარიძის, აკაკი ვასაძის, ვასო გომიაშვილის, აკაკი ხორავას, საქართველოს სსრ სახალხო არტისტების მელდე ჩახავას, გოგუცა კუპრაშვილის, ეროსი მანჯგალაძის, დამასხუფრული არტისტების იულია ფალიაშვილის, ევეგენია ავაგეკოვას, მსახიობი ედიშორ მირიანაშვილის და სხვთა შემადგენლობით. დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, ბელეტრისტი, დრამატურგი მიხეილ მრევლიანი.

სადგურში საზეიმო განწყობილება სუფევდა, აქ თავი მოეყარათ ცნობილ სომხე არტისტებს და გატაცებით საუბრობდნენ: ვარდან აჭემიანი აღტაცებით იგონებდა სანდრო აბშტელის და მის მოღვაწეობას რუსთაველის სახელობის თეატრში, რუბენ ზარიანი — კტე მარჯანიშვილის „სტერის წყაროს“; აოუს ასრიანი არაზიას უამბობდა „ლამარას“ შესახებ, ხოლო მუშად მოუსვენარ ვავიკ ვარდანიანს ვირაირ ჰაკობიანისა და გურგენ ჯახიბეგიასათვის გაეყარა ხელი და არტისტული აღზენებით მოუთხოვდა ახალაზან დუშანზეში აფრიკის და აზიის ქვეყნების კონფერენციის დროს აკაკი ხორავასთან მსგევეობის ეპიზოდს.

პრანია ნერსესიანი ამხანაგებს გაცლთდა, ხელები უკან დაიწყო და ბოლოს სცემდა რაინიგვის ზეპანზე. მატარებელი გრიალით შემოიჭრა სადგურში და ერთი წუთით დამწვედური გაირინდნენ. მაგრამ აი გამოინდნენ ქართული ხელოვნების მოღვაწეები და სადგური ისევ ახმაურდა და ყვავილების ზღვა გაიწდა ვერიკო ანჯაფარიძის, მელდე ჩახავას, გოგუცა კუპრაშვილის, იულია ფალიაშვილის, ევეგენია ავაგეკოვას ირგვლივ...

მძვრად, მეგობრულად გადაეხვიენენ ერთმანეთს ხორავა და ნერსესიანი, პანობეგიანი და ვასაშე. გომიაშვილმა არ იცოდა, რომელ ერთს გადახვევდა. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!... — ამთობდნენ დამწვედურთა გულები, გაბრწყინებული თვალები, ღიმილით გაბადრული ზაგენი. დაახ, ამ დღეს სიცინდა და მხიარულდება თბილისიდან ერევანში ჩამოვიდა, და ყველას გულს სითოთ მოჰფინა.

ამდენი ყვავილი ერევნის ზაქანს კარგა ხანა არ ენახა...

მომე საქართველოდან ამდენ სახელგანთქმულ ოსტატს პირველად უნდებოდა გამოსვლა ერევნის თეატრალური საზოგადოების წინაშე. სომხური ფილარმონიის მცირე დარბაზში, როგორც იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. ერთ-ერთმა მაყურებელმა, გადახედა რა დარბაზში დადგმულ კინოაპარატებს და ფოტოკორესპონდენტთა არმიას, მუხომელს გადაუპარაკა: ალბათ, ათასი მეტრი კინოლენტრი არ ეყოფა ამ მეგობრობის საღამოს ფირზე ამტკვდასო. საღამო მეტად ორიგინალურად დაიწყო; უცვრად სინათლე ჩაქრა დარბაზში, გაისმა რევაზ ლალიძის „თბილისი“, და ევრანზე გაიონდა ხანდაზმული, მაგრამ მარად ახალგაზრდა თბილისი. მაღე ისევე განათდა სცენა და მაყურებლის წინაშე წარსდგნენ ქართული და სომხური სცენის გამოჩენილი მოღვაწეები. გრივალკით დატრიალდა დარბაზში ქართველ-სომხეთა მარადიული მეგობრობის ტაში.

— ძვირფასო ამხანაგებო, ძვირფასო მეგობრებო, — მუხარე ტაშის გრიალით ამბობს ვავიკ ვარდანიანი, — საქართველოში სამჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 40 წლისთავს უსუსვლო სიხარულით გაცხდის სომეხი ხალხიც, და ეს მხიარულება ორმაგად უორცხედება, როცა შედავს ქართული სცენის ბრწყინვალე ოსტატებს.

დაამთავრა თუ არა სიტყვა, ვარდანიანმა ესტარდაზე მდგარ ქან ვლიიასს — „სამშობლოს თავდადებულ მეგობრს“ — გაგვიც მისცა სიტყვა:

— ჩემი მეგობრი საღამო თქვენ — სომხეთის მაღალი მთების, მირაკის უმეღესი ქვეყნის, ჩვენი მიდღარი და მშენებელი ხალხის სახელით, უმეღესი ვარსულს წყვედიადიდან თქვენთან მომიყვანა დღრენე დემირჭიანმა იმის სათბობლად, თუ რამდღეჯერ სამკველ-სასიცოცხლოდ შევენი თქვენი და ჩვენი ხალხის საერთო მეტრს, რომ გადამერინა ჩვენი ხალხების კაცური კაცობა. ორმოცი წლიანი მხურვალე მუე, სიყვარული და სიხარული თქვენ, გამარჯვებული ხელოვნების მშენებელი ოსტატებო. ახლა დადგა ნამდვილი ზარ-ზემინის დრო, მეტრები განადგურებული არიან და ურყევა მეგობრობა ჩვენი, წმინდაა ჩვენი კავშირი, მშვიდობაა ჩვენი უზენაესი მისურვება. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ნელი ნამიკაი თწი გამოვიდა ვერიკო ანჯაფარიძე: — სულით და გულით ვთავაზობთ მიელ ჩემს გულს თქვენ, მეგობრებო. მშობლიური ხალხისა და ხალხთა მეგობრობისათვის სამასხური უწმინდესი საქმეა. დაე ჩვენი სამეგობრო აღთქმა მარადიული იქნეს.

სცენაზეა პეპო — ბაბეკ ნერსესიანი.

— თქვენ ქალაქში კაცად ვიქციე, მეტყვის წყალი მაქვს ნასვამი, რაც კეთილია ჩემში — თქვენი მიწა-წყლის მაღლითაა. ჩემნარი დამაგრული პეპოების, ჩემნარი დარდიმანდების, სომეხი და ქართველი მეთევზეების მთელი ლიანდის სახელით, მართალი, სინდისიერი აღმანების სახელით, ამ მედნიერ დღეს მიუსვლვარ მოსალოცად, ჩვენი ძვირფასო სტუმრებო!..

ქართველი სტუმრები ა. შირვანზადეს სფლათთან





„ნახვამღის, გმადლობთ სტუმართმოყვარეობისათვის“

და მჭებთან ტამი არ ნელდებოდა. საღამოს სასუფო ნა-
წილი თაღთან გადაზარდა კონცერტში, კინცერტში შეიმადა
იქცა. აკაკი ხორავამ ჯერ მსურველად მიულოცა დამსწრეთ და
შემო წაიკითხა ოტელის უკანასკნელი მონოლოგი.

მაყურებელი აღფრთოვანებით შეხვდა ქართული სცენის
მაგს, მის გათვლაში ნათლად დაინახა უდიდესი ხელოვანი,
იგონო მისი დიდი სული...

ამ საღამოს ყველა თავის სიმაღლეზე იდგა; ვასო გომი-
აშვილი, აგაბეგოვას აკომპანეწმენტო, იოსებ გრიშაშვილის
თილისისადმი მიძღვნილი ვრცელი ლექსი წარმოთქვა. ვერი-
კო ანჯაფარიძე აკაკი ვასაძემ შესცვალა, ვასაძე — დიდი
ქართული კომპოზიტორის შვილიშვილი იულია ფალიაშვილი-
მა. შემდეგ კი გამოვიდნენ — თილისის შაშვილის სახელობის
სახეობრივი თეატრის არტისტები — ემა სტყუანაძი და რა-
ფიკ პაპოიანი, რომლებმაც საწყვეტები წაიკითხეს მ. მრე-
ვლობეშვილის პიესიდან „ზვავი“.

ამ დღეს ერთხელ კიდევ გაუხსნა თავისი დაჩაგრული
გული მაყურებელს ვიქორმაც — სახალხო არტისტის ვიგუცა
კუპრაშვილის შესრულებით. მრავალი წლის განმავლობაში
მსახიობი ქალი ამ როლს დიდი წარმატებით ასრულებდა თბი-
ლისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში. დას, ბევრს უნახავს
და აღტაცებაში მისულა მისი თამაში.

კონცერტზე სომური სცენის არტისტები ძირითადად ქარ-
თული რეპერტუარით გამოვიდნენ და მხოლოდ და მხოლოდ
ქართულ ენაზე. შარა ტალიანმა ოქრა „დასიხდა“ კაიხოს
არა შესრულა; ნარ-ოგანსიანმა — ცანგალას კუბულებში
ამვე ოპერისა და დ. არაყიშვილის „ურმული“; ავაკ პეტ-
რისიანმა იმდენა ცნობილი „თავი ჩემო“, ხოლო ბაგეკ ნერ-
სესიანმა ქართულად წარმოთქვა „პაიოს“ მინოლოგი. გულის
სიბრძნად წამოსული სიტყვები ლაღად იჭრებოდა ორივე
ხალხის შვილთა გულში.

მეგობრებთან გატარებულ დღეები სწრაფად გარბოდნენ,
ვინ არუნუსეს, რამდენი შორეული და ახლოებული ვიზონი
იქნა აღდგენილი. ერთ-ერთი შეკრების დროს პაკობ ხანჯიანმა
ვერიკო ანჯაფარიძე ავეტიქ ისაყიანის პოეტიკური ვერით გა-
მოძიწრული დღის შეადარა და ავეკ ხიტბა შეასხა ვერიკოს,
როგორც სამწიფო დედას, და ვერიკოს, როგორც დედის რო-
ლების შეუღარებელ ოსტატს.

ამ დღეებში ვერიკო ანჯაფარიძემ ბევრს სასიამოვნო
სიტყვა გაიკანთ თავისი სომეხი მეგობრებისა და ეჭვგარეშეა
ერყვნილად ბვერი დაღუვიწყარი განცდა წამილი მშობლიურ
თბილისში.

ივლითს, მარია სტიუარტის, მარგარიტა გოტიეს და სხვა
როლების შესრულებით განთქმული დიდი არტისტი, უმანგი
ჩხვიის პარტიზორი, კოტე მარჯანიშვილის წარჩინებული მო-
წაფე და მისი მსატკრული პრინციპების განმასრკცილებელი,
ავეტიქ ისაყიანის და მარტიროს სარაიანის სამშობლოში ისევე
მოსილი იყო საერთო პატრიოციზმი, როგორც საკართველოში.
სომეხი მაყურებლისაგან დიდი ქება-ხმადა, ყველაზე მეტი
ტამი დაიმასხრა. სადაც არ უნდა ყოფილიყო ჩვენი ვერიკო,
მას გარს შემოურტყემოდნენ ხოლმე, ესაუბრებოდნენ, თავს
ველებოდნენ.

ყოველთვის, როცა კი ერევანს ვესტურები, ახალი შე-
მოქმედებით ძალა მეუფლება, ცვცვლებები, — განაცხადა
ვერიკო ანჯაფარიძემ სუნდკიანებთან შეხვედრის დროს
წარმოთქმულ სიტყვაში. — თუმცა გულწრფელად უნდა ვა-
ლიარო, რომ ის მოპყრობა, რაც გუშინ განვიცადე, არ დამი-
სახუვებია.

მსურს დაავსილდოვოთ თქვენ იმავე საუკეთესო გრძობე-
ბით, რაც მე მისურვებო.

ვერიკომ წუით მოესვენა და განანარძო:
— თეატრში დაიბადა ადამიანის ერთად, თეატრი თვი-
თონ ადამიანია და, კაცობრიობასთან ერთად რაკვეთს. ისე
თეატრს სივდილო არ უწერია. ჩვენი ხელოვნება რაკვეთებური
სისწრაფით წინმძღულობს უკან ჩამორბა, და იქნებ ნაწი-
ლობრივ ეგ არის მიუხეი, რომ თეატრი მომავლის წინაწარმე-
ტკველის მისისა შესაფერისად ვეგანი ანხორციელებს. საგალ-
ლო საქმეა: ჩვენ, არტისტები ჩვენს სიცოცხელს უნდა ვწი-
რავთ, მაგრამ ჩვენად საგალალოდ ჩვენი ყოფილები ზოგჯერ უმა-
ყოფილოა.

სომეხი სცენის დიდი, სახელოვანი არტისტები ძაყას და
მშვენიერი მაყურებელი... ხშირად სომეხ ხალხზე ამბობენ, ნი-
ჭიერი, გმირული სულისკვებების ხალხია. მე ამას მინდა
დავუტყვა: — ნაზი, ღირიკული ხალხი ხარო, ვაჭირო სულის
პატრონი; დაე ეს საუკეთესო თვისება მარადილად შემოცნა-
ხობი. იგი კარგი თვისებაა და მუდამ გამოსაღვი, როგორც
ცხოვერებში, ისე სცენაზე.

ვერიკო მგრძობინარე ულუს ადამიანია. შინაგანი ცეცხ-
ლით გამომბირი, უხადო არტისტისმით მდიდარი. ამას ადგი-
ლად შეამჩნევს ყოველი ადამიანი. ვერიკოს არ უყარს თავის
ქება, არც ცოცხლს. და მეზინ არც სიამოვნებას, როცა მას აქებენ
ყველაფერი მასში ორგანულია, ადამიანური, მისი მდიდარი
ბუნებისაგან გამომდინარე. როცა მან კონცერტზე ქართულად
გ. ობულიანის „მუხამაზა“ და საიათნოვას ლექსები წარ-
მოთქვა, სომეხი მაყურებელი ამბობდნენ: ისე სადად და მარ-
ტივად ასრულებს, თითქოს ყველაფერი გავიგეთო.

ვერიკოს აღდგებდა ის, თუ როგორ გადაეხდა, რომე
ხალხისათვის მღვდელმა იმ დიდი პატივისცემისადა, საც მან
იგრძნო თუ სომეხის დროს. ეს საკვიბო ძალიან უნებოლად გა-
დაიჭრა: მას სიყვარული სუნდკიანის სახელობის თეატრში გა-
მოსულიყო საქეტკაქში „ხუბეში ზუსურად კვდებიან“ ბეზიას
როლში. იგი სიამოვნებით დასთანხდა.

მეგობრული შეხვედრების დამთავრებისას, ვარდან აჭემიან-
მა ვერიკოს სურათი მიაჩრავა. სურათს ასეთი წარწერა ამწე-
ნებდა „ბრძებ ქალს, დიდი სულის პატრონი და დიდი არტისტა
ვერიკო ანჯაფარიძეს“. ეს ქათინათა რიდი იყო, არამედ
მოკლე, მაგრამ ხალხს დასახიათებია.

ორივე აკაკი (ხორავა და ვასაძე) მანამდე არასდროს არ
გამოსულირ ერევნის საზოგადოების წინაშე. აკაკი ვასაძე ერე-
ვანს პირველად 1944 წელს ეწვია, შექსპირული საქეტკაქების
საკავშირო კონფერენციაზე და ყველაფერზე იგი მსჯელობდა
სომხების შექსპირული საქეტკაქების შთაბეჭდილების გავლე-
ნით.

— ჩვიდმეტე წელი. ცოტა როდია, — ხშირად იმეორებდა
იგი, — და ეს ჩანს ერევნის ვარდისფერი ტუფის უსარმზარა
კორპუსების, ახალი მშვენიერი პროსპექტების და ლენინის სა-

ხელთის უღამაზესი მოედნის სახით, რომელსაც ბადალი არა უკავს.

— რამდენიმე დღისა განსწავლება თბილისსა და ერევანს შორის, იმდენად ისინი ერთმანეთს წააგვიყენ. — ხშირად სიტყვას აწვევებოებდა ვასაქს მრევლიშვილი. — და იცით ჩალაშქ? — ახასა-განმარტვას იძლეოდა იგი, — ჩვენი ორი ქალაქის ასალი მშენებლობანი მივებისკენ მიიღვტივან, მაღლა აღინა, დალიობინა — გროლი მწვერვალულისსაგენ. ისევე როგორც ჩვენი ხანა მიდის სულ მაღლა... მაღლა...

პირველი დღის, ქალაქის შემოღობის, აკ. ვასაქს სულ ჩაფიქრებულ იყო, მეტ წილად სხუდობდა, მაგრამ თავისი აღფრთოვანება ვერ შეიკავა, როცა „განმარტვების“ სკვერიდან მის წინ გადაიმალა ერევნის თვალწარმტკივე პანორამა. — ამდენი მშენებლობა, ამდენი ნიჭი და სიმდიდრე! — წამობიძახა მან, — აბა გადახედეთ, — მიმართა მან ამხანაგებს, — თითქოს ქვევით მივინანი, ლაპარაკობენ...

საღამოს, ფილარმონიის დარბაზში ქართული კონცერტზე, სკენის გამოჩინებით ოსტატე აკაკი ვასაქს გამოვიდა იაგოს მინოლოგიით. ვასაქსს ბუნებრივ აღფრთოვანებათა მოსაკოფის, ხარკოვის, კიცივის სასოვადობა, ამჟამად მან ატყაცხებში მიიყვანა ერევნის თვატარალური სასოვადობაზე.

სუნდუკიანების შემხვედრისას ვასაქსმ თქვა, რომ მათ სომხების შესწორებულ სპექტაკლებში ვნახეთ დიდი გზწინება, და შემდეგ პარალელი გაავლო ქართული სკენის გამოჩინებულ ოსტატ ლექსანდრე იმედაშვილის და პარჩია ნურსესიანს შორის — ტექნარამენტის სიძლიერის მხრივ. აჭიბიანის მიერ დადგმული „მეთორმეტე ღამე“ ლინიანკანში, — თქვა მან, — ისეთი თვატარალური მიღწევება, რომლის ძლიერი შთაბეჭდილება წარუშლვდა ცოცხლების ჩემში. ვასაქსმ მოიგონა ცალკეული სცენები გურგენ ჯანიბეგიანისა, ა. ზუინალივის ოტკელოვნიდან, აქო ავეტ ავეტისიანის იაგო, მაღალი შეფასება მისცა ოტკელოვნიანს, და შემდეგ შეჩერდა სპექტაკლზე „ვერო მულჩოვი“.

— პატივი ვეუთ ვალარშიანის ხსოვნას!

ყველანი დღემოლით ფუნქზე დგებოდა. ამაღლებებით იყო ვასაქსის სიტყვის დასასრული — გუმინი, ძირფასო მგებობით, თქვენ მქუზაზე ტაშინ დააჯილდოვებო ჩვენი ვერაკო. დიდად გამაღობით, ვერაკოით ჩვენც ვამაკობთ. ნაცვლად ამისა, აი როგორ მოვიქცევი მე: წარსულში ლალი მესწინებოლმა ქუთაისის სცენაზე განსაკუთრებულ წარმატებით დადგ. „პეპო“, იმავე მაგალითით ვიხელმძღვანელოვ ამლა.

კონცერტის შემდეგ, როცა აკაკი ვასაქსის სადღერძელის დიდი პატივით სვამდნენ, დავით პოლოსიანმა რიხიანად წამოიწყო „მრავალგამიერი“, მას ხანი მისცეს ქართული მცოდნე სხვა ამხანაგებმა. აღფრთოვანებული აკაკი ფუნქზე წამოდგა და იმავე სიმღერით უკასუჯა. მას შეუერთდნენ აკაკი ხორავა, ვასო გომიაშვილი და მათი ხმა ეღვანაზივით აგუწუნდა სომხეთის მიწა-წყალზე.

ვერაკო ანჯაფარიძემ სურელი გამოთქვა წასულიყვნენ ავეტქქ ისააკიანის საფლავზე. მრევლიშვილმა ყვავილების თაგულები შეუკვეთა, და ჩვენი ავტომანქანა მესრიალდა კოტიტასის სახელობის ბაღში.

სანამ ყვავილებით ამცობდნენ ვარპეტის საფლავს, ხორავამ მოგვამართა ჩვენი:

— გთხოვთ, ჩემი სახელით, ოფიციალურად გადასცეთ, ვისაც ჯერ არს, რომ პანთონის ასე შენახვა ყოვლად დაუშვებელია.

ვასო გომიაშვილი საფლავის ქვასთან შეჩერდა. ერთ ხანს სლუბდა და ამ დღემოლით გამოხატა თავისი პატივისცემა ცნობილი მსახიობის აბელიანისადმი.

მცირე მანძილის გავლის შემდეგ, ხაზდანის ხეობაზე გავიდნო დროს, ვასო გომიაშვილმა წამოიძახა:

— აი აქ, ამ გველუც ალაგას, ამ პატარა კუნძულზე კარგი იქნება სურავა გამაგალით და ნინოზად ჩვენი ურყვევი და მარა-

დიული მეგობრობისა, შევევით „კახური“ და „ვოსკეგვა“ ზიი.

ვასო გომიაშვილი დიდად ენერგიულა, ძლიერი ბუნების ვაკაკიანა აბა მარტო სცენაზეც, ცხოვროვამივეს ურევანში ყოფნისას ეს თვისებები ნათლად გამოხატვანდა. უმრეტე აღფრთოვანებით განიცდიდა იმ ახალს, რასაც თვალთ ხედავდა და ყურით ისმებდა. იგი მრავალი ჯანრის და მშვენიერი ნიჭის არტისტა: შეუდარებელი წარმატებით ასრულებს სლესტაკოვის და არბიხიანის, ერვულ მეროის და ფიგაროს, რასულავევის და რინარდ მესიანის როლებს. მარჯანიშვილმა, როცა პირველად ახალგაზრდა გომიაშვილი სცენაზე გამოვიდა, განაცხადა: „ამ არტისტმა ბრწყინვალე შობავალი ყვარა“. და მართლაც, დღეს გომიაშვილს ვინ შეუდრება!... საოცარია, რომ გომიაშვილს არ უკვარის ქება-ღიმიება, თვატარალური კრიტიკოსები.

— ქალბატონო მედიკო! ასე მიმართავდნენ ხოლმე სახალხო არტისტს შედგა ჩახახავს, ზოგჯერ კი, უბრალოდ, მედიკოს ეხატდნენ. და ეს უფრო უხდებოდა მას. მედიკო თითქოს გაჩნებოდა ერთგულეობა და მეგობრობისათვის. მეგობრული თვადებით, მეგობრული გამოხედვა, მეგობრული ხმა, ქალური ნაზი დღიმოტი. პირველი შემხვდით, მიტოვო ჩვეულებრივი ქალია, გვინანი — ჩვეულებრივი არტისტიც უნდა იყოსო. მაგრამ მაღე, როცა კი ახლო ვიცნობთ, ყოველგვარი ჩვეულებრივობა იფანტება, და მასთან მისაუბრე თითონაც ვერ ამჩნევს, თუ როგორ ექცევა მედიკოს არტისტული ნიჭის ჯადოსნური გავლენის ქვეშ. ეს გავლენა ისეთი ძალოვანია, რომ აღამიანს აღარ ძალუძს მედიკოსადმი აღძრული პატივისცემის დაფარვა.

მეგობრობის კონცერტის გვირგვინი იყო მეღვა ჩახახავს და ეროსი მანჯუკაიძის გამოსვლა „პეპოში“. ამ კონცერტის შემდეგ ჩამდგინებულ დღემ გაზვლო, მაგრამ ერევანში შედგან სია-მოწვევის იაგოვებზე მეღვა ჩახახავს მიერ „მეგობრულზე“ იყვინიანს.

დაე, მედიკომ გაიგოს, რომ ერევანში სტუმრობით მან თავის პატივისცემელთა რიცხვი გამარავლა.

ისევე სადგურზე ვართ. გაიგონს ფანჯარიდან მოჩანს მედიკოს გიშერიცხით შავი ნაწნავები, აკაკი ვასაქსის სანდომონი პირისაზე, ვერაკო უზმოდ და წუნარად გვემხედობება, მაგრამ ლაპარაკობენ მისი თვადება, დიდი ცხოვრების მხსველყო, ბევრის მიქმელი თვადებით, რომელთაც სცენაზე დაუტყვევებით უშანგი ჩხეძი, რომლებსაც მოკრძალებით მაღლობა უთქვამთ კოტქ მარჯანიშვილისათვის...

ქართული მსახიობების შეხვედრა გ. სუნდუკიანის სახელობის თვატარის არტისტებთან





ლოტბარი სოლომონ გველესიანი

სოლომონ გველესიანი ლადო გეგეშკორი

ქართული ეროვნული ტანსაცმლის მკერავი იყო მეთოდე გველესიანი. ხუთი შვილის პატრონი თავუღლებივ მუშაობდა ჭიათურაში. მას დიდად ემადლიერებოდნენ, კეთილსინდისიერი და კარგი ხელოსანიყო, ამბობდნენ ჩოხა-ახალუხის მოყვარულნი.

ჭიათურაში სამუშაოდ თავს იყრიდნენ სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები. აქ ხშირად შეხვდებოდა კაცი სიმღერის მცოდნე გურულ გლეხებს, რომლებთანაც მუდმივი ურთიერთობა პქონდა მეთოდე გველესიანსაც. იგი ხშირად მოიგონებდა ჩავლიწილებთან გატარებულ დღეებს; მათ მიერ შესრულებულ გურულ ხალხურ სიმღერებს; მახვილი სმენის პატრონი მეთოდე გველესიანი ადვილად ითვისებდა ხალხურ სიმღერებს. მასთან ერთად ხმაუწყობილად მღეროდა ქართული ხელოვნების პირველი დეკადის მონაწილის სილიბისტრო ვაშაძის მამა ნესტორი. გურული სიმღერების სიდიადით მოზობულმა მეთოდე გველესიანმა მრავალი ხალხური სიმღერა შეაწყალა თავის შვილებს, რომელთა შორის ყველაზე უმცროსი სოლომონი (ბიჭიკო) ბავშვობიდანვე გატაცებით ითვისებდა ყველა ხალხურ სიმღერას.

1922 წელს სოფ. რგანში, სადაც დაიბადა და აღიზარდა ს. გველესიანი, მისმა უფროსმა ძმამ, სანდრო კავსაძის გუნდში ნამყოფმა, ჩამოაყალიბა მომღერლების ჯგუფი. ამ საქმეში მას მშობლებიც შეველოდნენ; დედა-ჩინგურზე შესანიშნავი დამკვრელი, მამა იშვიათი სმენის პატრონი, ბიძაშვილი ვანო გველესიანი, ახლო მეზობელი ვასილ კველმეილი (გუნდის ყოფილი ხელმძღვანელი ჭიათურაში) და პატარა ბიჭიკო, რომელიც წვილით ხმით მღეროდა გუნდში. სოფლად იმ დროს კლუბი არ არსებობდა, რეპერტოიები ბიჭიკოს მამის სახლში იმართებოდა. ოდნავი დისონანსი სიმღერაში სოლომონ გველესიანის მამას ააფორიაქებდა ხოლმე — იგი მომღერლებს შეაჩერებდა, გაუსწორებდა, მერე ისევ გრძელდებოდა მეცადინეობა.

შვიდი წლისა არც კი იყო სოლომონი, როცა 1919 წელს სოფლის შვიდწლებში მიიბარეს. წარმატებით სწავლასთან ერთად, სოფლის მეურნეობის მოყვარულ ბავშვს მინდრად მუშაობაც იტაცებდა. იგი დღესაც ხშირად მოიგონებდა ხოლმე მთავარიან ღამეებში სოფლად სიმინდის რჩვევის დროს მოსმენილი იმერული სიმღერებისაგან მიღებულ სიმამრებებს. სწრაფად მუშაობა ეხერხებოდა, თანატოლებს მუდამ ჯობინდა მოსავლის აღებაში და, როცა დატვირთულ ურმს თავზე შემოახტებოდა, მოსმენით ნასწავლ სანდრო კავსაძისეულ ურმულს შემოსძახებდა. საშუალოში სწავლის გაგრძელება ს. გველესიანს დაუგვიანდა, ერთი მიზეზი ის იყო, რომ მამას ოჯახში უნდა მოხმარებოდა, მეორე — სოფელში ათწლეუდი მამინ არსებობდა. ცოტა ხნის შემდეგ სოლომონმა ჭიათურის მარგანეის გამამდიდრებელ ქარხანაში დაიწყო მუშაობა. თავდაპირველად შიდაწვის ძრავებზე მუშაობდა. მალე შემაქანედ დანიშნეს. ჭიათურაში ახლად გახსნილ სამთამადნო ტექნიკუმში შვიდა, ცხრაშვიდი წლისამ წარმატებით დაასრულა იგი 1932 წ. შემდეგ მაღაროში დაიწყო მუშაობა ცვლის უფროსად.

თხოვთმეტი წლისამ, ს. გველესიანმა, სოფელში უფროსები-საგან შეადგინა მომღერალთა გუნდი. მსმენელები ცმაყოფილი იყვნენ მწყობრად შესრულებული სიმღერების მოსმენით. იმ ხანებში, სოფლის საღამოზე, სოლომონმა გაიცნო სანდრო კავსაძის უფროსი ვაჟი გიორგი (გიგუმა), რომელმაც ურმული იმღერა. გ. კავსაძის ხმით აღტაცებული ყმაწვილი დაუახლოვდა მას. გაიცნეს ერთმანეთი. გიორგიმ მოუსმინა სოლომონს, რომელიც შემდეგ თავის მამას გააცნო. ს. კავსაძემ სპეციალურად ჩაიყვანა ჭიათურაში სოლომონი და ერთ-ერთ კონცერტში მონაწილეობა მიაღებინა. შემდეგ, როცა სოლომონი სამთამადნო ტექნიკუმში სწავლობდა, ს. კავსაძემ მოწაფეთა გუნდის ხელმძღვანელის თანამშვეედ ს. გველესიანი დანიშნა, რომელიც საქმეს კარგად უძღვებოდა.

1932 წელს კარგად თითქმის ყველა სარაიონო ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა ს. გველესიანის შემსატ-მომღერალთა გუნდმა, რომელიც მუდამ პირველ ადგილზე გამოდიოდა. ერთ-ერთ სარაიონო ოლიმპიადაზე ჟიურის წევრმა კომპ. კოტე ფიცხერაშვილმა გამოიტანა ს. გველესიანი და შეეკითხა, რომელ მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდით. როცა გაიყო, რომ მას არსად უსწავლია, წინადადება მისცა ჩასულიყთ თბილისში და კომპოზიტორმა 1935 წელს ს. გველესიანი მოაწყო კიდევ მუსიკალურ მუშეაჟში საუნდო-სადირიგორო დარბეჯე,

რომელსაც გიორგი ხახანაშვილი ხელმძღვანელობდა. 1939 წელს სოლომონი ისევ ჭიათურაში დარჩნდა სარაიონო გუნდის ხელმძღვანელად. ამ გუნდმა ბევრი მეტად საინტერესო და შინაარსიანი კონცერტი გამართა, როგორც ჭიათურაში, ისე მის გარეთ. ლობჯანი. გველესიანი ჯერონად იყენებდა მუშაკებში მიღებულ ცოდნას და იმ გამოყენებას, რაც ოჯახის მომღერლებისა და სანდრო კავსათიასგან ჰქონდა შეძენილი. თბილისთან კავშირი ს. გველესიანს არ გაუწყვეტია. მის პლენარისთვის სასტუმროს კლუბთან ჰყავდა კარგი მომღერალთა გუნდი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ქ. მოსკოვში რკინიგზის დღესთან დაკავშირებით გამართულ საკავშირო დათვალიერებაში. კონცერტებს მოსკოვში დიდი წარმატება ხვდა. ლობჯანი. ს. გველესიანს ემთა სიგელი და მიეცა ფულადი ჯილდო.

ს. გველესიანი დიდი სამამულო ომის წინაპერიოდში მუშაობდა თბილისში, სარწფიო კოოპერაციის კულტურის სიმფორისა და ცეკვის თეიმომქმედი ანსამბლის ხელმძღვანელ-ობტარად. ეს ანსამბლიც გაიჯავნა მოსკოვს სარწფიო კოოპერაციის პროფკავშირთა გუნდების საკავშირო დათვალიერებაზე და ასახელა ქართველ კოოპერატორთა მსატრული თვითმოქმედება. შემდეგ ს. გველესიანი საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მიერ დაინიშნა ცეკვირის მუშა-მოსამსახურეთა თვითმოქმედი ანსამბლის ხელმძღვანელ-ობტარად. ეს გუნდიც ერთ-ერთი თვალსაჩინო თვითმოქმედი ერთეულთაგანი იყო იმ დროს ქ. თბილისში.

დიდ სამამულო ომში გაწვეულა ს. გველესიანმა ჩაბოყა-ობის სიძულესო და ცეკვის წითელარმიეთა თვითმოქმედი ანსამბლი; ეს ანსამბლი კარგი სახელით იყო ცნობილი, ხშირად მონაწილეობდა კონცერტებში დივიზიის დიდ ანსამბლთან ერთად და ყველგან გამარჯვებულნი გამოდიოდა. პარალელურად ანსამბლი ფასიან კონცერტებსაც მართავდა, შემისავალი კი თავდაცვის ფონდში შექმნიდა.

ომის დამთავრების პირველსავე წელს თბილისში მონსახ-კომთან შეიქმნა სიმფორისა და ცეკვის ანსამბლი კომპ. გრ. კოკელაძის ხელმძღვანელობით. იმ დროს ს. გველესიანი როსტომი იმყოფებოდა ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში თვითმოქმედების დარგის მუშაკად; როსტომიდან ს. გველესიანი თბილისში გადმოვიყვანეს და შინსახკომის სიმფორისა და ცეკვის ანსამბლის დირიჟორობა დაავალეს. ანსამბლში რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ, ს. გველესიანი მიწვეულ იქნა საქართველოს სიმფორისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირიჟორად.

ამავე დროს ს. გველესიანი სამტრედიის სიმფორისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის ხელმძღვანელობდა, ქორეოგრაფად მუშაობს გიორგი სალუქვაძე, ხოლო ხალხური ინსტრუმენტების ჯგუფს ხელმძღვანელობს ნიკოლოზ ხვიციანი. ანსამბლის შემადგენლობის თანდათანობით გადიდებამ დიდი ხალხის და მონდობება გამოიწვია მონაწილეებში. ანსამბლის წინაშე სულ მალე საპასუხისმგებლო ამოცანა დადგა: იგი უნდა გამოსულიყო მოსკოვში 1946 წლის მეორე ნახევარში გამართულ მსატრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერებაზე. პროფკავშირთა სახლის სვეტიცხიან დარბაზში კვების მუშაობა პროფკავშირის კულტურის ცენტრალურ სახლ-

ში, ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში, ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზისა და დიდი თეატრის სცენებზე — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 29 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო კონცერტზე ანსამბლის გამოსვლები კოლექტივის დიდი წარმატების მარჯვენელი იყო.

გაზეთი „ტრუდი“ წერდა: „რამდენიც არ უნდა ვცვალოდ, მაინც ვერ შევძლებთ იმის გადმოცემას, რაც იმ საღამოს განვიცადეთ. მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს გვერდი ავუაროთ საქართველოდან წარმოგზავნილ ყოველმხრივ შესანიშნავ კოლექტივს. ცეკვები „მთიულური“, „ფარციალი“ და „ხორეში“ — კორეული გ. ხალუქვაძის ხელმძღვანელობით, ბრწყინვალედ იქნა შესრულებული. ვერ ვიტყვით, თუ რა უფრო უკეთესი იყო ქართველების მიერ შესრულებული ნიმუშებიდან — ცეკვა, სიმფორა, თუ ინსტრუმენტული ადგილები... ხელოვნების გამოჩენილმა მოღვაწეებმაც მაღალი შეფასება მისცეს ს. გველესიანის ხელმძღვანელობით არსებული ანსამბლის გამოსვლებს.

სოლომონ გველესიანი თბილისის რკინიგზის მსატრული აღზრის სახლის ბავშვთა ანსამბლის შემქმნელი და ლობჯანი იყო 1947 წლიდან. ანსამბლი კარგი სახელით სარგებლობდა როგორც საქართველოში, ისე მომხმ რესპუბლიკებში. ანსამბლმა პირველი ადგილი დაიკავა ბავშვთა თვითმოქმედების დათვალიერებებზე — საქართველოში, ქ. ორჯანიკაძეში, ქ. როსტომისა და მოსკოვშიც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც არ ტოვებს უყურადღებოდ ს. გველესიანი. კულტურის ამ უღელის კერაში იგი კიდევ უფრო მეტი ენერჯით ეწევა მუშაობას. სტუდენტებისა და პროფკავშირ-მსწავლეობების ქალ-ვათა შერეული გუნდი თვითმოქმედი კოლექტივების მოწინავეთა რიგებში ჩადგა. მან რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე და სტუდენტთა თვითმოქმედების დათვალიერებებში, და მუდამ პირველ ჯილდოს ღებულობდა. ეს ანსამბლი ისეთ მსატრულ სიმღერებზე ავიდა, რომ ერთ-ერთ ოლიმპიადაზე მაყურებელს „დისის“ მთრებ აქტი, ხოლო მომდევნოზე „აბუსალომ და ეთერის“ შესაქმ აქტი აჩვენა.

ჭიათურის მუშა-მოსამსახურეთა თვითმოქმედი კოლექტივმა მეექვსე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე პირველი ადგილი დაიკავა, რაც მთლიანად ს. გველესიანის მონდობებულ მუშაობას და მის საღობტარო ოსტატობას მიეწერება.

უკვე ათი წელიწადი მსურულა, რაც ს. გველესიანი საქართველოს ხალხური სიმფორისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის დირიჟორი იყო. ამ ხნის განმავლობაში ანსამბლთან ერთად მან საბჭოთა კავშირი მოიარა და ყველგან ხარისხიანდ მიიტანა მსმენელამდე მდიდარი ქართული ხალხური ხელოვნება.

ოცდაათი წელზე მეტი მონდობებული და უანგარო მუშაობისათვის ს. გველესიანს ათამედ ქუჩის ფურცელი და საპატიო სიგელი აქვს მიღებული.

მსატრული თვითმოქმედების განვითარების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისა და ხანგრძლივი მუშაობისათვის 1951 წელს სოლომონ შვითღეს დე გველესიანს მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.



თბილისში აღმოჩენილ გემა-საბეჭდავზე გამოსახული პიროვნების ჰინაოზისათვის

ოთარ ტყეშელაშვილი



თბილისში აღმოჩენილი გემა-საბეჭდავი. (გადაღებულია თაბაშირის ანაბეჭდიდან).

თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მონაწილეობით 1956-1957 წ. წ. არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა თბილისში, ერეკლე მეორეს სახ. მოედანზე მდებარე ბაღში. გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა ძველი ქართული მატერიალური კულტურის მეტად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ძეგლები. ამ ძეგლებს შორის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს აქატის ქვის გემა-საბეჭდავი (ს. წ. № 1735-56), რომელიც 1956 წელს აღმოჩნდა ბაღში გათხრილ, უძველეს, მეოთხე ფენაში მდებარე ბ-1 ორმოს ფსკერზე. ბ-1 ორმო ზოგადად, V—VII სს. თარიღდება, თვით გემა-საბეჭდავი კი V ს-ნით (იხ. ი. გრემელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, ადრე-ფეოდალური ხანის

მატერიალური კულტურის ახალი ძეგლები თბილისიდან, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. 1, თბილისი, 1960).

აღნიშნული გემა-საბეჭდავი მღვრიე ფერის აქატის ქვისაა, ნახევარსფერული მოყვანილობისა (საბეჭდავის ზომებია: 2,4×2,1 სმ.). შუაში მას ფართო განივი ნახვრეტი აქვს (ნახვრეტის ზომა 0,6 სმ. უდრის); გემა-საბეჭდავის ცალი მხარე წაკვეთილია. მიღებულ სიბრტყეზე, რომლის მოცულობა 1,8×1,7 სმ. უდრის, ამოკვეთილია მამაკაცის მკერდზევითი გამოსახულება, მარცხენა პროფილში, მარჯვნივ თავმიქცეული. მამაკაცს თავზე მუზარადი ხურავს, შუბლზე კი (მუზარადის ქვეშ) დიადემის ფორმის გვირგვინი, რომელიც შუბლის არეში მუზარადთან შეერწყმით, თითქოს პირდაღებული ცხოველის გამოსახულებას მიაგავს; თვალწარბი წარმოჩენილია გავეთქვლზე გამოსახული ჯვრით, რომლის ზედა მკლავზე დიადემა-გვირგვინია დაყრდნობილი. მამაკაცს ოდნავ კეხიანი, გრძელი ცხვირი აქვს, მოკლელევაშვანი, ამაყად და შრისხანედ მოკუმულ-გამობურცული, სქელი ტუჩები, ოდნავ წინ წამოწეული სწორად შეკრებილი ხშირი წვერი, სქელი და სწორი, მაღალი კისერი, რომელიც მასიური ყელსაბამით აქვს შემკული; ყურთან ასევე მრგვალი და მასიური საყურეა გამოსახული. მამაკაცს მხრებზე დანაოჭებული, ძვირფასი წამოსახსარი აქვს მოხურული. პორტრეტს ირგვლივ, მხრიდან მხრამდე, ერთმანეთზე გადაბმული (მარცხნივ, თავს უკან) და წყვეტილი (მარჯვნივ, სახის წინ) დაფინის ტოკისმაგვარი მცენარის გამოსახულება აქვს შემოვლებული. გამოსახულება საკმაოდ ღრმა კვეთითაა შესრულებული, როგორც ჩანს, ძალზე გაწაფული ოსტატის მიერ. პორტრეტი ზედმიწევნით პროპორციულია და რეალისტური (იხ. სურათი ტექსტში. სურათი გადაღებულია თაბაშირის ანაბეჭდიდან).

აშკარაა, რომ გემაზე რომელიღაც დიდმოხელის პორტრეტია გამოსახული. სამწუხაროდ, გემას წარწერა არა აქვს. ამიტომ გემაზე გამოსახული პიროვნების ეთნოზის დასადგენად პირველ რიგში, სათანადო ანალიზების უნდა მივმართოთ. წინასწარ აქვე უნდა შევნიშნოთ: ამ მხრივ თითქმის სრულიად არაფერს გვაძლევს მცხეთაში მოპოვებული მდიდარი გლობატკური მასალა; თვალის უზრალო გადაკლებითაც კი აშკარადა ჩანს უაღრესად დიდი სხვაობა თბილისში და მცხეთაში აღმოჩენილ გემებს შორის, როგორც სტილისტურ-პორტრეტული ხა-



ზით, ისევე ცალკეულ დეტალებშიაც (იხ. ა. ავაჭიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთაძიძე, მ. ველო, თბილისი, 1955, მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გვერები, I, თბილისი, 1954 და II, თბილისი, 1958).

თბილისში აღმოჩენილი გემის უახლოეს ანალოგს წარმოადგენს ბრიტანეთის მუზეუმში დაცული გემა (119712), რომელიც აკად. შ. ამირანაშვილის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ გახდა ჩვენთვის ცნობილი (იხ. III. Я. Амиранашвили, К вопросу об определении портретного изображения на гемме Британского музея (119712) с пехлевийской надписью, ВДИ, 2, Москва, 1960, გვ. 90—92).

თბილისისა და ბრიტანეთის მუზეუმის გვერები სრულიად ერთნაირია სტილისა და შესრულების ტექნიკის მხრივ. ასევე ერთნაირი სიუჟეტი ამოკვეთილი ორივე გემაზე: მამაკაცის მკერდგვიითი გამოსახულება მარცხენა პროფილში, მარჯვნივ თავმიტკეული. ამ ორ გემაზე გამოსახულ მამაკაცს შორის, ცალკეულ დეტალებშიაც სრულიად აშკარა მსგავსებაა. ასე, მაგალითად: ორივეს ზუსტად ერთნაირი მკერდი და კისერი აქვს, თითქმის ზუსტად ერთნაირი წამოსახამი, დიადემა—გვირგვინი, წვერი, ცხვირი და ტუჩები. ასევე თითქმის ზუსტად ერთნაირი სამკაულებითაა შემკული ორივე გამოსახულება; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბრიტანეთის მუზეუმის გემაზე გამოსახული მამაკაცის საყურეცა და ყელსაბამიც დამატებით ძვირფასი ქვებით (საკედებით) არის შემკული, თბილისისა კი — არა.

შედარებით უფრო შესაჩვენებელი სხვაობა ბრიტანეთის მუზეუმისა და თბილისის გემებს შორის ისაა, რომ ბრიტანეთის მუზეუმის გემაზე გამოსახულ მამაკაცს ხშირი, დვარცხნილი თმები აქვს, თბილისისა კი — თავზე მუხურად ხორავს. გარდა ამისა, თბილისის გემაზე გამოსახულ პირფარების საფეთქელზე მკვეთრად წამოჩენილი ჯვარი აქვს, რომლის ზედა მკლავზე დიადემა—გვირგვინია დაყრდნობილი, ბრიტანეთისას კი — არა (ყოველ შემთხვევაში, სურათზე არ ჩანს. იხ. შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 91—92, სურ. 1 და 2.). ამ ორ გემაზე გამოსახული პიროვნება სხვადასხვა პოზუზიაში მოცემული: თბილისის გემაზე მრისხანედ მოყოლებული ტუჩები და ამაყი მბრძანებლის სახე აქვს, ბრიტანეთის მუზეუმის გემაზე — ოდნავ ღია ტუჩები და მომღიმარი სახე. ვიწების თვალთ ერთი წუთით რომ დავეშვათ დას ან უქანასწელის სახე, თბილისურის მსგავსად, მრისხანედ პირმოკმული წარმოვიდგინოთ, ნიკაბი დაბლა დაიწვეს, წვერიც დაბლა დაეშვება და ორივე პორტრეტი უფრო მეტად დაემსგავსება ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში, ამ ორ პორტრეტს შორის სახის ცალკეულ ნაკეთებში იმდენად დიდია მსგავსება, რომ ამგვარი ვარაუდის დაშვება გამორიცხული არ არის (შეადარებ, მაგ. სახის საერთო ოვალი, ცხვირი, სქელი, მასიური ტუჩები და სხვ.).

ამრიგად, ფიეთალისწინებით რა ბრიტანეთის მუზეუმისა და თბილისის გემებს შორის არსებულ ყველა დეტალურ მსგავსება-განსხვავებებს, ფიქტობით, გვექვს უფ-

ლება დავუშვათ, რომ ორივე გემაზე ერთი და იგივე პიროვნებაა გამოსახული. ამვე დროს, გვერების ამოჭრის ტექნიკისა და, საერთოდ, სტილის ერთიანობა გამოფიქრებინებს, რომ ორივე გემა ერთი ოსტატის ნამუშევარს წარმოადგენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ გემაზე სპეციალური ნაშრომი უძღვნა აკად. შ. ამირანაშვილმა (იხ. შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 90—92). ამ გემაზე არსებული ფალაური წარწერის, სტილისტურ-პორტრეტული და სათანადო წერილობითი წყაროების ანალიზის შედეგად, აკად. შ. ამირანაშვილი დაასკვნის, რომ ბრიტანეთის მუზეუმის გემაზე გამოსახულია V საუკუნის ცნობილი ქართველი მეფის ვახტანგ გორგასალის პორტრეტი (იხ. შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 92).

რადგანაც ჩვენ ზემოთ უკვე დავუშვით, რომ ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ გემაზე და თბილისში აღმოჩენილ გემაზე ერთი და იგივე პიროვნებაა გამოსახული, დასკვნაც ბუნებრივია: თბილისის გემაზედაც იმავე ვახტანგ გორგასალის პორტრეტი ამოკვეთილი. ყოველ შემთხვევაში, თბილისის გემაზე რომ მეფის პორტრეტია გამოსახული, ამას მოწმობს: დიადემა—გვირგვინი, წამოსახამი და სამკაულები, გამოსახულების მბრძანებლური, ამაყი იერი, და გამოსახულების ირგვლივ წარმოსახული დიდების სიმბოლო — მცენარეული (დაფნის?) გვირგვინი.

აკად. შ. ამირანაშვილი იზიარებს რა ე. პერსფელდისა და სხვა ავტორების აზრს, აღნიშნავს, რომ პართლი და სასანური ხანის მონეტებზე ვასალური მეფის პორტრეტი მხარმარცხნივა მიბრუნებული, სრულიად დამოუკიდებელი შეიქნა კი — მხარმარჯვნივ (იხ. შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 91 და აგრეთვე, მისივე, არამოსახეში გათხრების დროს ნაპოვნი ადრესასანური ეპოქის ვერცხლის თასი, თსუ საიუბილეო კრებული მიძღვნილი თბილისის 1500 წლისთავისადმი, თბილისი, 1958, გვ. 85—94).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისის გემაზე მამაკაცი მხარმარჯვნივა გამოსახული, რაც სრული დამოუკიდებლობის ნიშანს წარმოადგენს: გემა V ს. ეკუთვნის. ამ პერიოდში კი, ვახტანგ გორგასალის გარდა, ქართლში სხვა ისეთი მეფე არ გვევლილება, რომელიც სრულ დამოუკიდებლობას იცავდა.

აკად. შ. ამირანაშვილი ბრიტანეთის მუზეუმის გემაზე გამოსახული ვახტანგის ვიწრების შესახებ შენიშნავს, რომ ძვირფასი თვლებით შემკულ ვიწრების მეშენი ატარებდნენ განსაკუთრებული დღესასწაულის დროს და არა ლაშქრობისას (შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 91). აქედან დასკვნაც: ბრიტანეთის მუზეუმის გემაზე ვახტანგი საზვიადებად გამოყოფილი, რასაც, სხვათა შორის, მისი მომღიმარი სახეც ამტკიცებს. ის ფაქტი, რომ თბილისის გემაზე ვახტანგს მუხურად ხორავს, მუხურადაც კივე გვირგვინი უქანს და სამკაულებიც (საყურე, ყელსაბამი) ძვირფასი თვლებით არ არის შემკული, იმის



მუწყებელი უნდა იყოს, რომ, ამ შემთხვევაში, ოსტატმა საომრად გამოყოფილი მეფის სახე ამოკეთა გემაზე.

ამრიგად, სათუო არ ჩანს დასკვნა, რომ ბრიტანეთის მუხუშუმის გემაზე საზეიმოდ გამოყოფილი ვახტანგია გამოსახული, თბილისისაზე კი — სალაშქროდ ამხედრებული. ამიტომაც: პირველზე ვახტანგს მოწყალე-მომილი-ბურღი სახე აქვს, მეორეზე კი — ამაყი, ქედმოუხრელი, მკაცრი მზრანებლისა.

როგორც ცნობილია, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ საკმაოდ დეტალურად აქვს აღწერილი ისტორიკოს ჯუანშერს (იხ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 139-248). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვახტანგ გორგასლის ცხოვრებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ამბავი, ამა თუ იმ ფორმით, თბილისის გემაზედ არც ასახული. მაგალითად, ჯუანშერის ვახტანგის ფიზიკურ აღნაგობას ასე აღწერს: „იყო იგი უმაღლეს კაცთა მის კამისათა, და უშუენიერეს სახითა და ძლიერი ძალითა, რომელ ქურცილი ქეთილი ირემსა მიეწიის, უპყირს რქა და დაიჭირის და ცხენი ქურცილი დაილის მკართა ზედა მცხეთით აღვიდის ციხესა არაზიხასასა“ (ქართლის ცხ-ბა, გვ. 159). თუ დავაკვირდებით თბილისის გემაზე გამოსახულ პიროვნებას, ძალაუნებურად თვალწინ წამოვიდგება მამაკაცი „უმაღლეს კაცთა“, „უშუენიერეს სახითა“ და „ძლიერი ძალითა“.

მეორე მაგალითიც: ჯუანშერი მოგვითხრობს: ვახტანგი ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ გაულაშქრას; კეისრის მიერ მიტაცებული ქართლის მიწა-წყალი უნდა დაერბუნებინათ უკან. ომი ამ ორ ქრისტიანულ სამეფოს შორის გარდუღალია გამანადრ. ამ დროს ვახტანგს სიზმარში გამოცხადებია ვწ. ნინო. ნინოს შურირებება ვახტანგი და კეისარი. „და რქუა კეისარმან — განაგრძობს ჯუანშერი — უკეთუ გნებავს, რათა მოგვცე გვრკანი, აღუთქუ ვინ ეცე დვას რუენ ზედა, რათა პბრძოლი მტერთა მისთა და მიიღე მისგან გვრკანი. მოიხილა ვახტანგ და იხილა ჯუარარი, რომელსა ფრთეთა მისთა ზედა აქუნდა გვრკანი, და უმეტესად ხილვამან ჯუარისამან დასკა შერწყუნება, რამეთუ უსაშინელეს იყო ზარი მისი, და დაღუმნა. ხოლო აღდგა ნინო და მიხედნა პეტრეს კერძი და სამოელისა, და ერთითა პირითა თქუეს: „ჩუენ ვართ თავსმდებნი, ვითარმედ უმეტეს ყოველთასა წარემართოს, პოი ჯუარო უძლეველი“. და მიჰყო ქელი კეისარმან, და მიოღო გვრკანი ჯუარისაგან, და დაარქუა გვრკანი იგი ვახტანგს თავსა“ (ქართლის ცხ-ბა, გვ. 167-168). საბოლოოდ, კეისარმა ვახტანგს „ყოველი საზღვარი ქართლისა“ დაუმართუნა, ასული ცოლად შერთო, ხოლო ვახტანგმა კეისრის მიერ მიცემული იმ ჯერის საშუალებით, „რომელსა ფრთეთა ზედა აქუნდა გვირგვინი“, შემდეგში „ვრცელნი ღუაწნი გარდაიხადა“ და „სძლედა მტერთა, ვიდრე

დღემდე აღსრულებისა“ (ქართლის ცხ-ბა, გვ. 171-178).

ფიქრობთ, არ შეეცდებით დავასკვნათ, რომ თბილისის გემაზე გამოსახული ჯუარი, რომელიც ვახტანგს საფეთქელთან აქვს და რომლის ზედა მკლავზე, მართლაც, დიადემა-გვირგვინია დაყრდნობილი, ჯუანშერის მიერ ზემოთ აღწერილი ამბის სიმბოლურ განსახიერებას წარმოადგენს. (სხვათაშორის, აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ვახტანგმა აპარტიკიანი მოკავშირისათვის, ე. ი. სპარსეთისათვის ზურგმუცეცა, ჯუანშერელ მტერთან, ე. ი. ბიზანტიის ქრისტიან კეისართან შერიგება და ბიზანტიის ჯარის დახმარებით სპარსეთის ლაშქრის განადგურება, „ღვთის ნებას“ მიაწერა და ამით თავისი დიპლომატიურ-პოლიტიკური მიქმედება რელიგიური მოტივით გააბავრა. ეს ამბავი, ჩანს, ფართოდ იყო გავრცელებული იმ დროს და ჯუანშერსაც სანდო წყარო ჰქონია ხელთ).

მესამე მაგალითიც. ჯუანშერი მოგვითხრობს: „...ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოხუთა წინათ მგელი და უკანათ ლომი; და რომელსა კერძას იძლეოდნან ქართველნი, მუნითაც მიმართს და მისრის სპისა მისგან სპარსთასა, ვითარცა ლომმა კანჯარნი. მიერთვან ვერღარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლეს იგი, რომელსა ეწერა მგელი და ლომი, და ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქვან: „ღურ აზ გორგასად“, რომელ არს ესე: „მირიდეთ თავსა მგლისასა“. და მის მიერ სახელ-უდგა ვახტანგ მეფესა გორგასად“ (იხ. ქართლის ცხ-ბა, გვ. 180).

საბას განმარტებით: „ჩაბალახი ესე არს თავსახურავი საომარი“ (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949). და ფიქრობთ, უფლება გვაქვს, თბილისის გემაზე გამოსახული მუზარადი, რომლის ქვეშაც გარკვევითა ჩანს დიადემა-გვირგვინი, ჯუანშერის მიერ აღწერილ ვახტანგს „ოქროს ჩაბალახად“ მივიჩნიოთ, ხოლო რაც შეეხება მგლის გამოსახულებას, იგი, მართალია, სრული სიცხადით არა ჩანს, მაგრამ გამორჩეულია არ არის, რომ შუბლთან, მუზარადისა და დიადემა-გვირგვინის შერწყმის ასეა. მოცემული ჩაღრმავებული შტრიხით, ოსტატმა პირდაპირი ცხოველის (მგლის) სქემატური სახე მოგვცა. სქემატური შტრიხებით ცხოველთა სახეების ამოკვეთის შემთხვევით საკმაოდ და დამოწმებული გლობტიკური ძეგლებზე (იხ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომები).

ამრიგად, თუ ყოველივე ზემოთქმულს შევჯავებთ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ 1956 წელს თბილისში, ერეკლე მეორის სახ. მოედნის ბაღში აღმოჩენილი აქატის ქვის გემა-საბეჭდავი, რომელიც სხვა მონაშაფართან ერთად ქ. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული, ახ. წ. V საუკუნეს ეკუთვნის და ამ გემაზე გამოსახული საომრად ამხედრებული ქართლის ცნობილი მეფე ვახტანგ გორგასალი.





ურიელ აკოსტა — ა. მაგრაქველიძე

ასკაონ მაგრაქველიძე

ნინო გვათუა

1928 წლის შემოდგომაა. რუსთაველის თეატრის ფოიერი თავი მოუყვრიათ თეატრალურ სტუდიაში გამოცდების ჩასაბარებლად მოსულ ახალგაზრდებს და გულისფანცქალით ელიან გამოცდების დაწყებას.

დაიწყო გამოცდები. ყმაწვილი! აბა, რომელი ლექსი შეგიძლიათ მითხრათ ზეპირად? — შეეკითხა კომისიის ხელმძღვანელი ტანაშოტილი, თმანუჭუტა ყმაწვილს.

— ეს სანდრო ახმეტელია — გაულაპარაკეს ერთმანეთს გამოცდის ჩასაბარებლად მოსულებმა. აბსტრაქტიზმი კი უკვე წინ წამდგარიყო და შთავაზნებით კითხულობდა „აკაონ ყანაღის“ შესავალს.

ახმეტელმა გაამორბინა პოემის დასაწყისი. ყმაწვილმა მორედდეს კარად წაიკითხა. კომისიის წევრებს ცმყოფილება ეტყობათ. ახმეტელი ჩუმად ამბობს „ჩინებულიაო“. ეს ყმაწვილი გახლდათ ასკაონ მაგრაქველიძე, რომელიც ჩარიცხულ იქნა სტუდიაში.

იგი გულდასმით მოეცადა მეცადინეობას. როგორც სწავლაში, ისე სასცენო მუშაობაში ნიჭი და ენერჯია გამოიჩინა.

სტუდიის დამთავრების შემდეგ მაგრაქველიძე რუსთაველის სახელობის თეატრში დატოვეს მსახიობად.

მაღე იგი ფოთის თეატრში მიიწვია რეჟისორმა გ. ჭურულმა.

თეატრში მისვლისთანავე, მას შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ ფერდინანდის როლი დააქისრეს.

გენერალურმა რეპეტიციამ მწყობრად ჩაიარა. წარმატება ხვდა პრემიერასაც. მაყურებელი გულთბილად შეხვდა მაგრაქველიძის ფერდინანდს და მთელ სპექტაკლს. ფოთის თეატრში თავისი მუშაობის ხანგრძლივ პერიოდში მაგრაქველიძე ღრმად დაეუფლა სასცენო ხელოვნებას, რაც ნათლად გამოვლინდა კიდევ 1938 წ. თეატრის საჯარო სპექტაკლებით ქუთაისში.

მომხიბლავი იყო მაგრაქველიძე გ. მდივნის „ალკაზარში“, ხოლო ს. კლიაშვილის პიესის „გმირთა თაობის“ მთავარი გმირის დიმიტრის სახე იმგვარად განასახიერა, რომ იგი ღრმად აღბეჭდა მაყურებლის მეხსიერებაში.

ნათელი გახდა, რომ მაგრაქველიძე გმირული პლანის მსახიობია. იგი ყოველთვის ისწრაფვის წინ წამოსწიოს გმირის ცხოვრების მთავარი მომენტი, განსაკუთრებით როლის პათოსი და აქციის იგი ხასიათის მთავარ ნიშნად. ყველა ეს თვისება საკმაო სიცხადით გამოვლინდა „ოლიმპოს მეფეში“ და გუცყოვის „ურიელ აკოსტაში“, სადაც იგი მთავარ როლებს ასრულებდა.

1948 წელს თბილისში მოეწყო პერიფერიული თეატრების საკავშირო დათვლიერება. კომისიამ, რომელშიც მეტად კომპეტენტური პირები შედიოდნენ, აღიარა, რომ მაგრაქველიძის ნათამაწვეი გარი სმიტის როლი კ. სიმონოვის პიესაში „რუსეთის საკითხი“ მაღალ დონეზე იდგა. მსახიობის მიერ ამ როლის ჩინებულად შესრულება აღნიშნა ვაზუთმა „Советское искусство-ში“ 14/VIII-48 წ. სტატიაში „В районных театрах Грузии“. ამ წერილში ხაზგასმულია მაგრაქველიძის მაღალნიჭიერად მუშაობა სცენაზე და დიდი შემოქმედებითი უნარი.

1948 წლის თეატრალური სეზონიდან მაგრაქველიძე სოხუმის დრამატულ თეატრში მუშაობდა. ეს პერიოდი მსახიობის შემოქმედებითი ზრდითა და დაგეგმვათი აღინიშნა.

მაგრაქველიძე თანაბარი პასუხისმგებლობით ეკიდება როგორც დიდი, ისე პატარა როლების მომზადებას. ამასთან ყოველთვის დიდ ანგარიშს უწევს კოლეგების აზრს. თეატრში მზადდებოდა ბორის ლაერენიევის პიესა „რღვევა“. რეჟისორმა გ. ვასაძემ მაგრაქველიძეს შესთავაზა კაპიტან ბერსენიევის როლი, ხოლო მაგრაქველიძის სურვილი იყო შეესრულებინა გოდუნის როლი. მან თავისი ეს სურვილი რეჟისორს განაცხადა. რეჟისორის მოთხოვნით კი მსახიობმა ხელი მოჰკიდა ბერსენიევის როლს. დაიწყო მასზე მუშაობა და იგი მართლაც კარგად მოამზადა.

ბერსენიევი — ძველი თაობის წარმომადგენელი მთელი თავისი არსებით დაკავშირებულია თავის წარმომშობ გარემოსთან, ამიტომაც იგი უცხად ვერ წყვეტს კავშირს თავის წარსულთან.

ბერსენიევის როლის განსახიერება მსახიობის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ბერსენიევის ესოდენ რთული ხასიათის გახსნა, მისი ბუნების კანონზომიერი გამოვლენა დიდ სულიერ დაძაბულობასა და მხატვრულ დამაჯერებლობას მოითხოვს. მაგრაქველიძემ ჩინებულად გაართვა თავი ამ ამოცანას.



სცენა სპექტაკლიდან „უკანასკნელი მსხვერპლი“
დულჩინი — ა. მაგრაქველიძე, იულია — ს. უანჩელი

შემდგომმა მუშაობამ დაადასტურა, რომ ა. მაგრაქველიძის პეტიორული ნიჭი კანონრიგად მრავალფეროვანია. მის მიერ ასამდე განსხვავებული როლი შეიქცავს როგორც წმინდა დრამატული, ისე სხვა ხასიათის პერსონაჟებს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მაგრაქველიძის ნუნამოვი (ოსტროვსკის „უღანაშაულო დანაშაუენი“).

მსახიობი ცხოვრების უკუღმართობით გამოწვეულ ნუნამოვის ზედმეტ სიბრძნის ზოგჯერ გვირის თავზე-ღობაში ზრდიდა. მაგრამ მიუხედავად კარგული გალი-ზიანებისა, იგრძობა, რომ მას თან ახლავს ბავშვური მოკმაღება და მოცულობა. ეს კარგად იყო გამოხატული კრუჩინინას და ნუნამოვის შეხვედრის სცენაში.

საინტერესოდ ჩაატარა მაგრაქველიძემ ნუნამოვის „სამიკიტნის გვირის“ განწყობილების თანდათან გარდატეხის სცენა და ის ადგილი, როდესაც იგი კრუჩინინას ღირსებას იცავს.

რამდენიმე წლის შემდეგ მაგრაქველიძეს ამავე ბიე-საში ეგვიდო სრულიად სხვა ხასიათის პერსონაჟის — დუდუკინის როლში. დუდუკინი კულოვის იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც სიმდიდრის საშუალებით დიდი გავლენით სარგებლობენ და მაღალი ადგილი უჭირავთ საზოგადოებაში. ამ მსახიობისათვის თვითუფლი როლი, სცენური პერსონაჟი კი არ არის, არამედ რეალური ადამიანი, რომელიც ცხოვრების წილიდანაა მოსული სცენაზე. ამიტომაც მსახიობი მათში განწყენულ ჭეშმარი-ტებას კი არ ეძებს, არამედ ნამდვილ, ცოცხალ არსებას ხედავს, არსებას. რომელიც სინამდვილის მკაფიო ასახვას წარმოადგენს.

საინტერესოდ ჰქონდა დამუშავებული მსახიობს დულჩინის მეტად რთული და დიდი ტრადიციის მქონე როლი (ოსტროვსკის „უკანასკნელი მსხვერპლი“).

მაგრაქველიძის-დულჩინის სიარული, მიმიკა, მოჩვენებითი სიყვარულით შეპყრობილი ფლიდი მზერა-ყველივე ეს ფსიქოლოგიურად იმდენად ზუსტად იყო დამუშავებული, რომ გჯეროდათ ამგვარი ადამიანის არსებობისა და მისი ძალის.

ქალაქის მოთამაშე, თავაშვებულ-ონავარ დულჩინის სინდისის ნატამალიც კი არ შერჩენია. ამას აშკარად მოწმობს მისი თვალთმაქცური დამოკიდებულება იულია-სადმი.


აქ ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუხვიოთ მსახიობის მიერ გათამაშებულ იმ მომენტს, სადაც მისი დულჩინი შეიტყობს თავისი საცოლის — ირინა ლაგერონას სიღარიბეს. იგი ირინას მყისვე უბრუნებს მშობლებს და თვითონ კი განიზრახავს კვლავ იულიას მიაკითხოს.

ი. მოსაშვილის პეისაში „მისი ვასკოვავი“ მსახიობი ღრმად ჩასწვდა თავისი პერსონაჟის — ახალგაზრდა მეცნიერის გიგაურის ენერგიით სავსე, თავშეკავებულ, დიხვ ხასიათს, მის სულიერ დრამას. მან შინაგანი სიმართლით გადმოგვცა ამ მეცნიერის მებრძოლი, პრინციპული შემართება.

ა. მაგრაქველიძე ღირსეულად ატარებს რეპუბლიკის დამსახურებელი და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტის სახელს.

მან გვიჩვენა პერსონაჟის ხასიათის წინააღმდეგობანი, მისი თანდათანობით ფსიქოლოგიური გარდაქმნის პროცესი, განსაკუთრებით იმ სცენებში როცა კაპიტანი უკანასკნელად განიცდის მერყეობას, რათა თავისი ბედი მტიციედ დაუკავშიროს ახალ, გარდამქმნელ ძალებს. გვირული პათოსის გარდა მაგრაქველიძის შემოქმედებაში მთავარია აგრეთვე ბრძოლა ადამიანის დადებითი საწყისის განმტკიცებისათვის. იგი ყოველთვის მიისწრაფის იმისაკენ, რომ მძლავრი, შეძლება ითქვას, პირდაპირი ხასიათი ითამაშოს. მას სურს დაამკვიდროს სცენაზე ნათელი, დადებითი მომენტი მას იტაცებს მთლიანი, გაუზარაჩი ხასიათების წარმოსახვა და ამ საქმეში გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს. აღსანიშნავია, რომ წლებში მანძილზე მიუხედავად თავისი ამგვარი მოწოდებისა, მაგრაქველიძე კეთილსინდისიერად ასრულებდა მცირე, ეპიზოდურ როლებსაც და რეჟისორ ს. ჭელიძის ხელმძღვანელობით არა ერთი და ორი საინტერესო სახე გამოიკვეთა.

ა. მაგრაქველიძე — ნუნამოვი („უღანაშაულო დანაშაუენი“)



„ახესლომ და თეირის“ ახალი კლავირი

ბარამ ბარამიძე

ქართული საოპერო კულტურის საბაზე „ზ. ფალიაშვილის ოპერა „ახესლომ და თეირი“ სცენაზე არსებობის ოთხ ათეულ წელზე მეტს ითვისს. იგი ჩვენი ეროვნული კულტურის ერთ-ერთ ისეთ ქმნილებას წარმოადგენს, რომლისადმი სიყვარულსა და თავყენისცემას არა წლები, არა თაობები, არამედ კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია უდევს საფუძვლად. „მუსიკალური სახეების სიმკვეთრე, ფორმის მონუმენტურობა, შესანიშნავი ოსტატობა შინაარსის დიდ სიღრმესთან ერთად ყოველივე რის განსაზღვრავს „ახესლომ და თეირის“ უდიდეს ისტორიულ და მხატვრულ მნიშვნელობას“ (პროფ. ვ. დონაძე).

ამიტომაც, რომ ქართველი საზოგადოებრიობა ასე სათუთად უფლის და აფასებს თავისი საბაზე კომპოზიტორის „ზ. ფალიაშვილის ამ უკვდავ ქმნილებას. „ახესლომ და თეირის“ პირველი წარმოდგენა 1919 წ. შედგა თბილისის საოპერო თეატრში. სამხრეთი ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი განხორციელდა მისი რამდენიმე დადგმა. პირველი ქართული კლასიკური ოპერა აღიარებას პოევის საქართველოს ფარგლებს გარეთაც. 1931 წ. ხარკოვის საოპერო სცენაზე ა. ფალიაშვილს თაოსნობით იდგმება „ახესლომ და თეირი“ უკრაინულ ენაზე, ხოლო 1939 წ. მისი რუსული საზოგადოება უსმენს მოსკოვის დიდ თეატრში. ამჟამად, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრში წარმოებს მუშაობა მის ახალ დადგმაზე.

1941 წ. სახელმწიფო გამოცემლობამ გამოსცა ზ. ფალიაშვილის საზოგადოება უსმენს მოსკოვის დიდ თეატრში. ამჟამად, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრში წარმოებს მუშაობა მის ახალ დადგმაზე.

შემოქმედების უკვადაყოფას დედო საფუძვლად.

და აი, ოცი წლის შემდეგ საწოტო მალაზიების თაროებზე ცკვავ ცხენ-დაუთ „ახესლომ და თეირის“ ახალ კლავირს. იგი სახ. გამოცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ სახალ-წლო საწერად მიუძღვნა ქართველ საზოგადოებას, რომლის რიგებს დღე-ისათვის მუსიკოსთა და მუსიკოსთყვარულთა უდიდესი არმია შეემატა. ამდენად ოპერის ახალი გამოცემა თანამედროვეობის გაზრდილი ინტერესების დროულად და კანონზომიერი დაცმაყოფილებაა.

„ახესლომ და თეირის“ ახალი გამოცემის სარედაქციო კოლეჯია ვ. დონაძის, მ. კვალაიშვილის, ა. მაჭუკაირიანის, ვ. ფალიაშვილის, ლ. ფალიაშვილის შემადგენლობით, ძირითადად დაედრნო რა ავტორისებულ მასალასა და პირველ კლავირს, ზოგიერთი ცვლილება შეიტანა მასში. ამ მხრივ გადასალისებას ხედავთ დინამიურ ნიშნებში, განსაკუთრებით კი ცვლილება შეიმჩნევა ლობრეტოს ზოგიერთ ადგილებში. მავალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ „მარინის კანცონეტა“ II მოქმედებიდან. მისი ტექსტი, რომლის ადრეული ვარიანტე ვადატეორული იყო მრავალსიტყვაობით, ახალ გამოცემაში შეადრეული გამარტივებულია, რაც უმნიშვნელოადასივსა უფრო მოხერხებულია და შინაარსსაც შენარჩუნებული აქვს ძირითადი აზრი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლობრეტოს რუსული თარგმანი, რომელიც პირველი კლავირისაგან განსხვავებით უფრო ახლოს დგას დედანთან და პოეტურადაც უფრო გამართულია.

კლავირის დართული აქვს ვ. დონაძის წერილი — „ზ. ფალიაშვილი და მისი ოპერა „ახესლომ და თეირი“, ქართულ და რუსულ ენებზე. სადაც ავტორი აშუქებს კომპოზიტორის ცხოვრებისა და შემოქმედების ზუსს. იხილვეთ ოპერის მეტად საინტერესო გარჩევას აქტების მიხედვით, რომელიც მკითხველთათვის გასაგებასა და ნათეს ხდის „ახესლომ და თეირის“ აღიარებას. — მის ღრმა იდეურ განაზრებას, მაღალ დრამატულ კონცეპციას, ჰუმანურობას, ხალხურობას.

ახალი გამოცემა გაფორმებულია ვ. უდიაშვილის ესკიზების მიხედვით. ყოველ აქტს წინ უძღვის ილუსტრაცია, რომელიც შინაარსობრივად და დაჯერებული მასთან და ხელს გვეწყობს მოქმედების ადგილისა და მიქმედ პირთა რეალურ წარმოდგენაში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შედა-



რებით პირველ კლავირთან, ახალ გამოცემაში არ არის ნაჩვენები პარტიტურისაგან განსხვავებული ადგილები.

რასაკვირველია, ამას არ შეიძლება ვუწოდოთ შეცდომა ან დიდი ხარვეზი, მაგრამ მათი აღნიშვნა მეტად სასურველი იქნებოდა ახალგაზრდა მუსიკოსებისათვის, რომლებსთვისაც ამგვარი შედარება არ იქნებოდა ინტერესი შეცდომი ოპერის დეტალური შესწავლის დროს. ამას უნდა დაემატათ ისიც, რომ კლავირის პირველ გამოცემას დართული აქვს ლობრეტოსა და რედაქტორის წინასიტყვაობის ფრანგული თარგმანები, ლობრეტო თარგმნილია პოეტ ელ. ორბელიანის მიერ, არ იქნებოდა ზედმეტი, რომ ეს ტექსტი ახალ კლავირშიც დაბეჭდილიყო, აგრეთვე გადათარგმნილიყო პროფ. ვ. დონაძის წერილიც ვინაიდან „ახესლომ და თეირის“, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანს“, ხშირად უჭირავს საწერად უდიდესი ხოლმე უცხოეთიდან ჩამოსულ საბატო სტუმრებს. ასევე ადვილი შესაძლებელია ამ კლავირის სხვა ზოთაც გასვლა საზღვარგარეთ. ამიტომ უფრო სასურველი და მოსახერხებელი იქნება, თუ ისინი რომელიმე თარგმანს (რუსულს ან ფრანგულს) მათთვის მისაწვდომ ენაზე გაეცნობინათ.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გამოცემლობებმა, ამ ზოლო ხანს, მეტი ყურადღება დაუთმეს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების გამოქვეყნებას, რაც უდიდეს სასიხარულო და მისასაღებო დროა.

წიგნი ღიდ მსახიობუა

კონა მიქაძე

„გადამწვარი გული“ — ასეთი პოეტური სახელწოდება მისცა ერეკლი ქარელიშვილმა თავის წიგნს, რომელიც ქართული სცენის დიდი ოსტატის შალვა ღამბაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიუძღვნა.

გამოჩენილი მსახიობის შემოქმედებით გზას ატვორი განიხილავს მთელი ქართული სასცენო ხელოვნების, ძირითადად კი ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიის მანძილზე. შალვა ღამბაშიძე ატვორს დახატული ჰყავს როგორც დიდი აქტიორული მონაცემების ხელოვანი, ფართო დიამაზონის მსახიობი, რომლისთვისაც არ არსებობდა ეგრეთ წოდებული „ამბლუა“ და რომელსაც შეეძლო ერთნაირი სიძლიერით და მომხიბვლელივით განსახიერებინა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული როლები.

წიგნი იწყება მოკლე ბიოგრაფიული მიმოხილვით, სადაც მოხსრობილია შალვა ღამბაშიძის ბავშვური ცნობისმოყვარეობის გავლენა სცენისადმი, მისი პირველი ცხოველი ინტერესი და ღრმა გატაცება სასცენო ხელოვნებით, ბოლოს აქტიორული შემოქმედების მწვერვალის დაყვრობა — აი, როგორ აქვს წარმოადგენილი ერეკლი ქარელიშვილს თავის წიგნში შალვა ღამბაშიძის სასცენო მოღვაწეობა.

შალვა ღამბაშიძის შემოქმედების ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ქართული თეატრის ერთ პერიოდს, ხოლო შემდეგ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ისტორიას. ამიტომ წიგნში მოკლე ასახვა პოვა რეჟოვლიკამდეული ქართული თეატრის ვითარებამ.

„თვით შალვა ღამბაშიძის წინაშე“ — წერს ერეკლი ქარელიშვილი, არა ერთხელ დამდგარა წყეული კიოხვა — გააყვეს გულის ძახილს თუ ახალი პროფესია აირჩიოს? მაგრამ არა, ვერც სიძნელემ, ვერც აქტიორის მძიმე მდგომარეობამ ახალგაზრდა შალვის გული ვერ აუტყარს, იგი ინსტინქტით გრძობდა, რომ უბერსაქტივიობის ღრუბელი გაფანტებოდა და

ქართული თეატრს მზიანი დღეები დაედებოდა“.

ეს შეუდარეკლობა, სიძნელეებისადმი „შუუბოვრობა“ შალვა ღამბაშიძის განუყოფელი თვისება იყო მთელი მისი ცხოვრების მანძილზე.

წიგნის ავტორი საესებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ შალვა ღამბაშიძის ფართო თეატრალურ ასპარეზეზე გამოსვლა და მისი ნიჭის სრულ გაუფრჩქნა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდიდან, უშუალოდ დიდი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით.

კოტე მარჯანიშვილი მოხიბლა შალვა ღამბაშიძემ ფაქრი აქტიორული წარმომსახველობითი ნიჭიერებით. ექსპერიმენტული საესებით დამაჯერებლად ცხადჰყოფს, რომ შალვა ღამბაშიძის შემოქმედებით თავისებურების, მისი აქტიორული პროფილის გამოკვეთაში გადამწყვეტი როლი შეასრულა კოტე მარჯანიშვილმა. „... რამდენი ნიჭიერი ადამიანი დაეკარგებოდა ჩვენს სცენას, რამდენი თავისებურება დარჩებოდა შეუნაშავი თვით აღიარებულ არტიტებშიც, რომ ქართული თეატრს მარჯანიშვილი არ გამოსჩენდა“ — წერს იგი.

მრავალფეროვანია შალვა ღამბაშიძის მიერ შესრულებულ მხატვრულ სახეთა გალერეა. ე. ქარელიშვილი ერთნიშნავს, რომ შალვა ღამბაშიძე ერთნაირი ინტერესით და მომხიბვლელივით ასრულებდა როგორც პატარა, ისე დიდ როლებს. ეპიზოდურ როლებს კი მსახიობი დასამახსოვრებელ სახეს ქმნიდა.

„გადამწვარი გულის“ ავტორს შალვა ღამბაშიძის სასცენო მოღვაწეობის ასახვის დროს შეეცაარა მის თანამედროვე გამოჩენილ მსახიობთა პორტრეტების გალერეაშიც. ამ დიდიოსტატთა შორის შალვა ღამბაშიძე მოჩანს როგორც მათი თანაბარი შემოქმედი.

წიგნის ავტორი ერთგვარ რეაბილიტაციას უკეთებს ღამბაშიძის ოტენილოს, როგორც ცნობილია, აღმოჩენ-

ნენ მკვლევარები, რომლებმაც მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენიდან ამ სპექტაკლის ნაადრევად ჩამოსვლა ოტენლოს როლის შემსრულებლის შ. ღამბაშიძის არასრულდამწვანებაში შიშით მიიწერეს. ერეკლი ქარელიშვილი, პირველყოფისა, ამ უსაფუძვლო მოსაზრებას უპირისპირებს პრესაში მრავლად გამოქვეყნებული დადებითი რეცენზიებიდან ამოკეცილი ციტატებს, ხოლო შემდეგ თვითონ იძლევა ამ როლის შესრულების ანალიზს.

„შალვა ღამბაშიძემ, — წერს ერეკლი ქარელიშვილი, — თავის ოტენლოში პოეზიის ძლიერი ნაკადი შეიტანა და სახეს მანამდე უჩვეულო ლირიკული ქვარა და ემოციური პათოსი მისცა“.

წიგნში ცალკე თავი აქვს ადამიბილი შალვა ღამბაშიძის როგორც რეჟისორის და კინომსახიობის. მარჯანიშვილის თეატრში მან რამდენიმე კარგი სპექტაკლი შექმნა, საკმარისად დავასახელოთ მის მიერ დადგმული: „კოლმუხრის ქორწინება“, „ჭირვეული ცოლის მოჩუქება“, „დარისპანის გასაჭირი“ და სხვ.

„შალვა ღამბაშიძე, — წერს ერეკლი ქარელიშვილი, — როგორც რეჟისორი უდიდესი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის საქმეს, ამკვანებდა საგნის ცოდნას და როგორც აქტიორულ ხელოვნებაში, ისე რეჟისორულ შემოქმედებაშიც გაურბოდა იფხვანიან ფეექტებს, — ამალდეული სისადავისკენ მისწრაფოდა“.

„გადამწვარი გულის“ ავტორი დიდი სიყვარულით და გულწრფელივით გვიხატავს მსახიობის სახეს. წიგნი ვასცილდა ჩვეულებრივი მონოგრაფიული ნარკვევის საზღვრებს, რადგან მასში მხატვრულადაა მოხსრობილი შალვა ღამბაშიძის ცხოვრება, მისი თეატრალური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ჩვენი მკითხველი, რომელიც დიდი მსახიობის შემოქმედებას ამ წიგნიც გაიცნობს, მადლობის გრძობით მოიხსენიებს „გადამწვარი გულის“ ავტორს.

ფსიქოპათოლოგიური ხელოვნება

ერასტ გაჩაძე

ფსიქოპათოლოგიური ხელოვნება, კერძოდ, პლასტიკური ხელოვნება (მხატვრობა და ქანდაკება) ახლა ადარ წარმოადგენს მხოლოდ პათოფსიქოლოგიის შესწავლის საგანს. პათოლოგიურმა ხელოვნებამ ეტნოლოგიების, ანტიროპოლოგიებისა და განსაკუთრებით კი ფსიქოლოგიებისა და ხელოვნებისმცოდნეების ყურადღება მიიპყრო. თუ უწინ პათოლოგიური ხელოვნება უფრო სანახაობისა და ცნობისმოყვარეობის ხასიათს ატარებდა, ახლა იგი მეცნიერულ და კვლევის ინტერესს იწვევს.

ხელოვნების ამ სფეროს დღეს მსოფლიოში მიძღვნილი აქვს უამრავი ლიტერატურა და დაკრძვნილია პათოლოგიური პლასტიკის — მხატვრული ნაწარმოებების მდიდარი კოლექციები, რომლებიც ექსპონირებული იყო საერთაშორისო ფსიქოპათოლოგიური ხელოვნების გამოვენახე, ფსიქიატრთა I მსოფლიო კონგრესზე, რომელიც ჩატარდა პარიზში 1950 წელს. გამოფენის მიზანი იყო, ერთი მხრივ, მასალის შეგროვება სპეციალისტებისათვის და, მეორე მხრივ, ფართო საზოგადოების საშუალებას აძლევდა გაესცნობოდა სულით დაავადებულთა ესთეტიკურ აზროვნებას, თუმცა საბჭოთა მეცნიერებისათვის სხვაც არის საინტერესო: რამდენად ახლო კავშირშია ადამიანის ფსიქიკური დაავადება დღევანდელი ბურჟუაზიული სამყაროს დაავადებულ ხელოვნების „პრინციპებთან“.

16 სახელმწიფომ გამოგზავნა თავისი კოლექციები. გამოფენამ ცოცხალი პოლემიკა გამოიწვია პრესაში.

სულით დაავადებულთა შემოქმედებაში იგივე კანონზომიერება იჩენს თავს, რაც ჯანმრთელი ადამიანის შემოქმედებითს პროცესში. მაგრამ პათოლოგიის შემთხვევაში პროცესის შემოქმედებას დაავადების ის სიმპტომი განსაზღვრავს, რომლითაც ეს ადამიანი არის შეპყრობილი. ამიტომ სულით დაავადებულთა შემოქმედების შესწავლა მკვლევარს შესაძლებლობას აძლევს, ჩასწვდეს შემოქმედებითი პროცესის ფსიქიკური მექანიზმის სიღრმეებს.

ცნობილია, რომ ხშირად პროცენება დაავადების პერიოდში ქმნის ისეთ პროდუქციას, რომელსაც დიდი მხატვრული ღირებულება აქვს კოლორიტით, ფორმითა და შინაარსით, თემათა და სიმბოლიკით.

საინტერესო პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე პათოლოგიური ხელოვნების ურთიერთმიმართება არქაულ-პრიმიტიულ ხელოვნებასთან, განსაკუთრებით კი, ურთიერთდამოკიდებულების საკითხი თანამედროვე მხატვრულ მიმდინარეობათა და პათოლოგიურ ხელოვნებას შორის, რომელიც ხელოვნებათმცოდნეობაში კვლევისა და დისკუსიის საგანს შეადგენს.

წინამდებარე წერილი მიზნად ისახავს გააცნოს ფსიქოპათოლოგიური ხელოვნება შემოქმედებითს საკითხებზე მომწავეების, ამიტომ ჩვენ არა მარტო შემოქმედების

პროცესს დაავადებულთა ფსიქიკური აშლილობის ამა თუ იმ ფორმისა, არამედ ვეცდებით, სადაც კი ეს საპირო იქნება, მკითხველს მივაწოდოთ მოკლე ცნობები თვით დაავადების ნიშნებზეც, ამას იმ მიზნით ვაკეთებთ, რომ დაუფიქრდეთ: დღევანდელი ბურჟუაზიული ხელოვნების ყველაზე რეაქციული მხარე, აბსტრაქციონისტული „ხელოვნება“ ფსიქიკური აშლილობით გამოწვეულ მოვლენებში ხომ არ იღებს სათავეს.

სულით დაავადებულთა ნახატების შესწავლისას, მხედველობაში მისაღებია სამი ნიშანი: ნახატების იშვიათობა, უთანაბრობა და პოლიმორფიზმი. საავამყოფოში სპონტანურად, თავისი სურვილით, ავადმყოფების მხოლოდ 2% ხატავს. ისინი აქ დიდი ხნის ყოფნის შემდეგ იწყებენ ხატვას; ჩვეულებრივ, თავის ნახატებს მალავენ და შემთხვევით ხდება მათი აღმოჩენა. ხატვის სურვილს შემდეგი ფაქტორები წარმოშობს: თავისუფლების აღკვეთა, მოწყენილობა და ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი — რეგრესია. ბავშვური ქცევა და უნარი (მათ შორის ხატვა) ხელახლა ვლინდება.

ავადმყოფების მხოლოდ მცირე რიცხვი იძლევა საინტერესო პროდუქციას როგორც მხატვრული, ისე მეცნიერული თვალსაზრისით; ერთი და იგივე ავადმყოფის ნახატი არ არის ერთგვარი, მაგრამ არის შემთხვევა, როცა ავადმყოფი თავის გარკვეულ სტილს გამოიმუშავებს.

კლასიკური გამოკვლევები ემყარება მხოლოდ ასეთი ხასიათის პროდუქციას, გამოსახულების ისეთ ეტაპს, რომელიც საკმაოდ იშვიათია.

მაგრამ, კლინიკური ხელოვნების საშუალებით მკურნალობის შემოღება აღწევს იმას, რომ ავადმყოფობის უმ-

ნახ. 1



ნახ. 2





ნახ. 3

რავლესობა, რომელსაც არასოდეს არ ჰქონია ამის მოთხოვნილება, ხატვას იწყებს.

პათოლოგიური ხელოვნების პირველი მკვლევარები ცდილობდნენ მიმართება დაემყარებინათ ნახატის სტილის გარკვეულ ტიპსა და სულით დაავადების გარკვეულ ტიპს შორის. დისკუსიის ცენტრში იყო ნახატის დიაგნოსტიკური ღირებულების მნიშვნელობა. შეიძლება თუ არა, ნახატის მიხედვით დიაგნოზი დაისვას? გვეხმაურება თუ არა რამეს ნახატი? გვაძლევს თუ არა ნახატი ახალ ან სასარგებლო ელემენტებს?

ესთეტიკური პროდუქციის ნოზოგრაფიული (დაავადების აღწერა) შესწავლა ცნობილია ფრანგმა ფსიქიატრმა ვინჩონმა (Vinchon) განახლა. თავის შრომაში — "l'art et la folie" მან თანმიმდევრულად შეისწავლა: ხელოვნება და ინსტინქტური პერვერზიები (გაუკუღმარებლად), ხელოვნება და ებილესია, ხელოვნება და შიზოფრენია, ხელოვნება და ფსიქოზის სხვა ფორმები.

ძლიერ გაუკუღმარებელი ინსტინქტებით მხატვრები სრულ შესუბატვისობაში არიან ხელოვნების ელემენტარულ ფორმებთან. პერვერზიებისადმი ნაკლებად მიდრეკილი სუბიექტები საავადმყოფოში ხშირად ლიტერატურ-

რას ან მხატვრობას მიმართავენ, იწყებენ მოთხრობის წერას ან ხატვას. ბორტომეძენი ხატავენ ან წერენ მხოლოდ თავისუფლების ადვოკატის პირობებში. ერთი-ორი სახის ხელოვნების პროდუქციას ისეთი სუბიექტები იძლევიან, რომელნიც თავისი პერვერზიების მოქმედების განხორციელებას ვერ ახერხებენ.

ალკოჰოლისტიები, რომლებიც მოთავსებული არიან საავადმყოფოში, ხშირად ხატვას იწყებენ ალკოჰოლური ფსიქოზის ერთ-ერთი ფორმის — „ფეთრი ცხელების“ დროს: ავადმყოფს ცნობიერება შევცვლილი აქვს სიზმრისებურად, რომლის ფონზე უხვადაა გაშლილი მხედველობისა და სმენის პალუცინაციები: განსაკუთრებული სიჭარბით და სიცხველით წარმოდგენილია მხედველობის პალუცინაციები. ავადმყოფები ხშირად ხატავენ ცხოველებს — კატებს, თავგებს, მწერებს, ბაყაყებს, გველებს და სხვ. ამასთან ამ საგნებს ახასიათებს მრავალფეროვნება, მუდმივი მოძრაობა და შეშარაგი გამოსახულება. ეს მასალა უფრო ხშირად დამახასიათებელია ალკოჰოლური ფსიქოზით დაავადებულთა შემოქმედებისათვის. ავადმყოფი პალუცინატორულ განცდებს ფანტასტიკურ და სიმბოლურ ნახატებში გამოსახავს.

მხატვრული შემოქმედების თვალსაზრისით, განსაკუთრებით სანტიერესოა მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზით დაავადებულთა მხატვრობა. პიროვნება, ჩვეულებრივ, პერიოდულად იმყოფება ერთი მეორის საწინააღმდეგო მდგომარეობაში — მანიაკალურსა და დეპრესიის ფაზაში. მანიაკალურ ფაზაში სუბიექტი კარგ გუნებგანწყობაზეა; მისთვის დამახასიათებელია ინტელექტუალური, ემოციონალური და ფსიქომოტორული აჯვნება, აზრებისა და ხატების მდიდარი პროდუქცია. დეპრესიის ფაზაში პირიქედ, ავადმყოფი ცუდ გუნება-განწყობაზეა, ემოციონალურად დაძაბუნებულია და ინტელექტუალურ და ფსიქომოტორულ შეკავებას განიცდის.

უწონასწორო, მერყევი, მანიაკალური ავადმყოფის უფრომ, გაუფებარი ნახატები ჭკუჭიან ქალღღუღე შესრულებული, უწმაწური, შერეული კალამბურებით, რომელშიც კომიკური და მოულოდნელი ელემენტებია ინტეგრირებული. ავადმყოფი თავისი ემოციონალური ტონუსის შესატყვისი, ცოცხალი, ჭრული ფერებით ხატავს. მის მიერ დახატული ფორმები, შტრიხების სიმარევის გამო, მოუწესრიგებელია და ქალღღუღე უწესოდ, შემთხვევით არის განლაგებული. ასეთი მოუწესრიგებლობა იმაზე მეტყველებს, რომ მანიაკალურ ავადმყოფს უსხლტება იდეები, ყურადღება ვერ ფიქსირდება ერთ საგანზე. დამთარღება თუ არა მანიაკალური შეტევა, სუბიექტი გულრილია ხატვისადმი და მხატვრულ პროდუქციას უკმა აღარ იძლევა. მანიაკალურ მდგომარეობაში ჩყოფმა ერთმა ავადმყოფმა მოხატა თავისი ოთახის კედლები, შემდეგ ღამე წაშოღდა. უცნობი ყველაფერი წაშალა და მეორედღის სრულიად ნორმალურ მდგომარეობაში იყო. მანიაკალურის მხატვრობაში ჩანს ნახატის მოქნილობა, ფერების სიცხველე და გამოსახულების საერთო ეიფორიული (განცხრობის) ფონი. დებრესიით ან მელანქოლიით დაავა-

ნახ. 4




დებულები ხატავენ, ჩვეულებრივ, ისეთ პერიოდში, რომელიც წინ უსწრებს შეტვის დამთავრებას. მელანქოლიით დაავადებულები, უპირატესად, მუქი ფერებით ხატავენ — განსაკუთრებით, შავითა და რუხით. ნახატში აისახება სევდის, თვითდანაშაულისა და თვითბრალდების გრძობა. დეპრესიულები თავის ნახატებში თვითგანადგურებისა და სუიციდალურ (თვითმკვლელობის) აზრებს ატარებენ, (ხანჯალი, რომელიც ემუქრება თვლის ამოთხრას) და სხვ. მკურნალობის პროცესში დადასტურდა, რომ მელანქოლიით დაავადებულს შეუძლია უეცრად შეცვალოს მუქი ფერები მანიაკალურით.

ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს ავადმყოფის სამი ნახატი. სურ. № 1, 2, 3.

ავადმყოფის ყოფილი საცოლის პორტრეტი, შესრულებული ავზნებისა, სიმშვიდისა და დეპრესიის პერიოდში. მანიაკალურ ფაზაში წერის მანერა არასტაბილურია, პატარა მოხრილი ხაზებია, მოუწყვრივებელი, მაგრამ მთლიანად პარმონიულია. სიმშვიდის ფაზაში ხაზები მომრგვალებულია, მოქნილი, შტრიხები წმინდა და წვრილია. დეპრესიის ფაზაში ხაზები განიერია, სქალადა გავლებული და ჩრდილები აქცენტირებულია; ავადმყოფი ფონს ხატავს მხოლოდ ნორმალურ მდგომარეობაში; ფონი სადა და გაწონასწორებული ხაზებისაგანა შედგენილი.

ბოლოთ შეპყრობილი პიროვნება (პარანოია), რომლისთვისაც დამახასიათებელია ბოღვის მყარი სისტემა და რომელიც ყოველდღიური ცხოვრების განცდების გადაუმშავებს წარმოადგენს, ძლიერი წარმოსახვით არის დაავადებული. მაგრამ მის ვენებს დამონებული აქვს მისი აქტივობა, რის გამოც მოქმედება შეზღუდულია და რეალურად დონეს ვერ ასცილებია. ბოღვით შეპყრობილი ავადმყოფების ნახატები ნალებად არის შესწავლილი. პარანოიდული (ბოღვიანი) ავადმყოფები, ჩვეულებრივ, თავისი ბოღვითი კონცეპციების გამოსაყენებად ხატავენ. ავადმყოფები იცავენ ფორმის სისწორეს, ნახატებს დართული აქვს კალიგრაფიულად შესრულებული მაჩვენებლები. პარანოიდული ავადმყოფებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ნეოპრიმიტიული სახის ნახატებიც. მაგ. სურათი — „აღამ და ევას განდევნა სამოთხიდან“ (სურ. № 4) დახატულია ავადმყოფის მიერ, რომელიც შეპყრობილია დევნისა და ეგვიპტელების ბოღვით. მათი შემოქმედება ვითარდება დაავადებასთან ერთად. წრეში ჩახატულია ხეები, ოქროს ვაშლები და ცხოველები. ქვივით მოთავსებულია ღვთის თვალი, ბიბლიური სიტყვები წარმოითქმება: გველს — „მოვა ის დღე, როცა ქალი თავს გაგისრესს“. აღამს: „ოფლითა შენითა მომოვებ პური შენი“. ევას: „შვი ტანჯვითა“. ანგელოზი ცეცხლიანი ხმლით იგერიებს მტერს, თერთონ ავადმყოფი უჩსკრულნი იძირება, გულზე წარწერა აქვს: „მარადი შეცოდება“.

ბოღვით შეპყრობილი ავადმყოფების ნახატები, უპირველეს ყოვლით, დამადასტურებელია, პროექცია მათი ბოღვითი იდეებისა (მისტიკრობისა, პატრიოტიკოსისა, დევნისა, განადიდებისა და გამომგონებლობისა). ნახატები



ნახ. 5

კარგადაა შეკრული და კონსტრუირებული, აშკარად გამოვლინებული, ადვილად გასაკვირი, მიუხედავად იმისა, რომ შინაარსი შეიძლება ფანტასტიკურ ხასიათს ატარებდეს. საეულისხმოა, რომ სიურეალიზმის წარმომადგენელი, ცნობილი მხატვარი სალვადორ დალი თავისი შემოქმედების წყაროს პოულობს ბოღვით იდეებში და სიზმრების შინაარსში.

ეპილფსიით დაავადებულ მხატვრებს იშვიათად ცნებებით საავადმყოფოში. მთელი რიგი კოლექციები გვიჩვენებს, რომ მათ აქვთ ტენდენცია დეკორატიულობისა და ორნამენტაციისადმი, ხოლო კოლორითი ისინი უფრო „ველურების“ მხატვარია ჯგუფს ემგავსებიან.

განვიხილოთ შიზოფრენიით დაავადებულთა სამყარო. შიზოფრენია, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ფსიქიკის გახლეჩას ნიშნავს, „შიზო“ (გახლეჩა) და „ფრენია“ (ფსიქიკა, სულიერი მოვლენა) — ორგანული ბუნების დაავადებაა და პიროვნებაში ძლიერ ცვლილებებს იწვევს. ფსიქიკის გახლეჩა იმაში გამოიხატება, რომ ფსიქიკის ელემენტები თავისთავად ცალკე არსებობენ, დაქუცმაცებული არიან და ერთ პარმონიულ მთლიანს არ შეადგენენ.

ნახ. 6





ნახ. 7

შიზოფრენიული პიროვნების ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას აუტიზმი წარმოადგენს: ავადმყოფი გარემოს მოსწყდება, კარგავს ყოველგვარ კონტაქტს სინამდვილესთან და აგებს თავის საკუთარ სულიერ სამყაროს. შიზოფრენიისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ემოციონალური და ინტელექტუალური სფეროს მოშლა. ავადმყოფის ემოციები თანდათან ციფდება, პიროვნება მიკლებულია ნიციბატისა და ინტერესს, რის გამოც ვეღარ ამყარებს ემოციონალურ კონტაქტს გარემოსთან. აზროვნების დარღვევა შინაგანი კავშირის მოშლაში გამოიხატება; ასოციაციათა მიზნობრივი თანმიმდევრება დარღვეულია, ხოლო კავშირები შემთხვევითი, გაუგებარი და გაუმართლებელია. შიზოფრენიით დაავადებული პიროვნების აზროვნებისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ ლოკატურ მიმართებებს სურვილები, ფანტაზიის ხატები სცვლიან, რომლის რეალობაში ავადმყოფს ექვიც არ ეპარება.

შიზოფრენიით დაავადებული, რომელიც პირველად ხა-

ნ.ს. 8



ტავს, პოულობს სტილს, რომელსაც ავადმყოფური, ორიგინალური ტექნიკა და ჯანმრთელი ფსიქიკის დარჩენილი ნაწილი უწყობს ხელს. სტილი და ტექნიკა გვაძლევს ჩვენ სულით დაავადებულის „შემოქმედების“ შეზღუდულ შესაძლებლობებს, რაც აუტიზმით და სინამდვილესთან კონტაქტის დაკარგვითაა გამოწვეული. შიზოფრენიით დაავადებულთა მხატვრობის ცნობილმა მკვლევარმა „Ferdie-მ“ შეისწავლა სტერეოტიპია, რომელიც ყველაზე დამახასიათებელია შიზოფრენიული სტილისათვის. ნახატითავის მთლიანში მეორდება. მხატვარი თავის ნახატში უბრუნდება ერთსა და იმავე მოტივს, ერთსა და იმავე საგანს, ერთსა და იმავე ფორმას. (ნახ. № 5 და 6.) სტერეოტიპიასთან ახლოს დგას, თუმცა ცოტა სხვა მექანიზმით, იტერაციის შემთხვევები: უშუალო განმეორება მოტორულ, ვერბალურ (სიტყვიერ) მოქმედებისა, რომელიც დასრულებულია და უაზროდ, უმიზნოდ მეორდება. ნახატებში იტერაციის მოვლენები ხორციელდება იდენტური ხაზების, წრეების ან კონცენტრიკული სექტორებით ზიგზაგებში, ან არაბესკებში და სხვ. — სტერეოტიპია და იტერაცია, ჩვეულებრივ, შიზოფრენიით დაავადებულთა ნახატებისათვის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს. მეორე დამახასიათებელი ნიშანი, Morgen thaler-ის და Ferdiere-ის გამოთქმით, შიზოფრენიით დაავადებულთა ნახატები „სასვსა, როგორც კვრცხი“. ავადმყოფი მის განკარგულებაში მყოფ სივრცეს საესებით იყენებს, იგი არ ტოვებს ქაღალდზე ცარიელ ადგილებს და არც ქაღალდის ველებს. მათ პროდუქციებს არ ყოფიან პაერი. ავადმყოფს ზოზი აქვს სიცარიელისადმი; სიცარიელეს ავსებენ გეომეტრიული ფიგურებით. ანატომიური ფორმებით წარწერებით და სხვ. შიზოფრენიით დაავადებული მრავალჯერ უბრუნდება თავის ნახატს. ეძებს ახალ დეტალს, ზუსტად ამუშავებს პატარა ნაჭრის კონტურებს. ხშირად გეომეტრიზმი აძალებს ავადმყოფს შექმნას ნამდვილი ნახაზები, ოთხკუთხედები, რომები, დიაგონალები, ვარდის ფორმის მავგარი ფიგურები. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩარჩოს მოხატვას. რითაც ორნამენტისადმი მოთხოვნულუბას იკმაყოფილებს.

შიზოფრენიით დაავადებულთა ნახატები ხშირად ნაჭრებისაგან და ნაწილებისაგან შედგება. ელემენტებს ფრაგმენტული, გაფანტული ხასიათი აქვს. ამ დაქუცმაცებულ სამყაროში ფორმები თავის ობიექტურ ხასიათს ვეღარ ინარჩუნებენ; ისინი ჩვეულებრივ დამახინჯებული, დეფორმირებული, დაგრძელებული და გადატვირთული პერსპექტივა უარყოფილი, დამახინჯებული ანდა უკუპროპორციულია. ნახ. № 7.

შიზოფრენიით დაავადებულთა ნახატების უმრავლესობა მცირე ფორმატისა და, ჩვეულებრივ, კალმით ან ფანქრითაა შესრულებული.

მაგრამ ხელოვნების საშუალებით მკურნალობის შემდეგ ავადმყოფებს ხატვის ახალი სტილი, ახალი ჩივიები უჩნდებათ, შიზოფრენიით დაავადებულს უკვე გუაშის საღებავებს და ფუნჯს აწვდიან და ქაღალდის დიდ ფორმატზე ხატვის სიზოიენ. გვლინდება სხვადასხვა ფერებისა და

დიდი კომპოზიციებისადმი სურვილი. მას მოსწონს ფერე-ბის ძლიერი კონტრასტები; ფერები სავე ინტენსიური ემოციონალობით ბრტყლად, თანამიმდევრობით ლაკდება. ფერების ასეთი შემოჭრით ნახატის სტრუქტურა თავის რიგითულობას კარგავს და უფრო მოქნილი ხდება. იგი თამაშის სახით, არაორგანიზებული ლექსებისაგან, გაფანტული, ფხვიერი ფორმებიდან უფრო ჰარმონიულ კომპოზიციებად იქმნება.

ზოგიერთი ავტორი მკვეთრად განასხვავებს პროფესიონალი მხატვრების ნაწარმოებს ავადმყოფობის პერიოდში არაპროფესიონალი მხატვრების ნამუშევრებისაგან. ფსიქოზი, ზოგიერთის დაკვირვებით, უფრო ხშირად არ სცვლის პროფესიონალი მხატვრების ტექნიკას: ისინი განგრძობენ ხატვას ჩვეულებრივ. სხვების შეხედულებით კი, ზოგიერთ შემთხვევაში, მხატვრის პიროვნების დარღვევა მის ნაწარმოებში ვლინდება, მაგრამ მხატვრის ოსტატობის ჩვევები და ხელი (пиоера) უცვლელი რჩება. რაც შეეხება «უსწავლელ მხატვრებს», რომლებმაც ოდნავ თუ იციან კითხვა და წერა, ისინი აზრის გამოხატვას უხეიერ სქემით ცდილობენ.

ასეთი მხატვრების პროდუქცია ანალოგიურაა ბევრთა ნახატების, პრეისტორიული გამოქვაბულებისა და ზანგეზის მხატვრობისა. უფრო განვითარებული «თეთნასწავლი» მხატვრების ნახატები ბიზანტიურ ან კრიტულ მხატვრობას, ანდა წინა რენესანსის, იაპონურ, ჩინურ ან, უფრო სწორად, Epinoe-იდან გამოშვებულ მხატვრობას წააგავს.

პროფესიონალი მხატვრების პათოლოგიის შემთხვევაში საცვლელია: სიმტკიცე, ტრანსფორმაცია ან ტალანტის სრული დაკარგვა, აგრეთვე — საკითხი სტილისა, რომელიც შეეხებოდა ხატვაში ხანგრძლივი პრაქტიკის გამო. მეორე ვეუფის სპონტანურ მხატვრებთან თავს იჩენს ორიგინალური სტილი, რომელიც უშუალოდ ფსიქოზის ზეგავლენით ჩნდება.

ბუნებრივად დგება საკითხი პრემორბიდიული (დავადების წინ) მხატვრული ფორმაციისა და სტილის შეცვლის (Stilwandel) შესახებ. მიუხედავად ფსიქოზისა, პროფესიონალური ავტომატიზმი დიდი ხნის განმავლობაში თავს ინარჩუნებს. მაგრამ დაავადება, უმრავლეს შემთხვევაში, ავტომატიზმზე თავის კვალს ტოვებს, შეაქვს მნიშვნელოვანი ცვლილება და სტილის შეცვლამდე მიჰყავს.

F. Minkowska განგოგზე წერდა, რომ ფაქტობრივად ცხოვრება-შემოქმედება და ფსიქოზი ერთ განუყოფელ მთლიანშია გაერთიანებული და არ გვაქვს საბუთი სტილის შეცვლაზე ველაპარაკოთო. მისი აზრით, ფსიქოზი არაფერს არღვევს, ღრმად არაფერავს სცვლის; აბოზოქრებულ ფსიქოზს ხელოვანის შინაგანი ტრაველია უმაღლეს საფეხურზე აყავს და ამით ახალი ნიშანი შემოაქვს.

ცნობილ თანამედროვე ფრანგ ფსიქიატრს I. Delay-ს მოჰყავს ორი დიდი შევდელი მხატვრის ერნსტ იოზეფსონის (1849 — 1906) და კარლ ჰილის (1849 — 1911) შემოქმედება. დაავადების დროს მათს შემოქმედებაში აშკარად იჩინა თავი სტილის შეცვლამ.

კარლ ჰილი ცნობილი გახდა სიკვდილის შემდეგ. ბუნე-

ნახ. 9




ზის სიყვარულმა პეიზაჟისტი გახადა. განსაკუთრებულ ინტერესს რეისდალის და ჰობემას მიმართ იჩენდა. 22 წლის ასაკში პარიზში გადასახლდა, რემბრანდტმა და ველასკეზმა გაიტაცა. მისი მსწავლელები დიბინი, კორო, დიასი, რუსო, კურზე და დელაკარუ იყვნენ.

ამ დროის განმავლობაში მხატვარი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა, მიუღი თავისი არსებით ხელოვნებას ეძლევა. იმ პერიოდის მხატვრობა რომანტიკულ და სენტიმენტალურ ხასიათს ატარებს ნათელი და ცხოველი გონებით. მხატვარი, როგორც თვითონ აღნიშნავს, ბეთჰოვენის მუსიკის კოლორიტს ესწრავის. ამ გაცხოველებული შემოქმედების დროს მხატვარი განავსა და შიშს განიცდის, ეწეება ჰალუცინაციები, თავისი ეპოქის გენიოსად აღიარებს თავის თავს. მიუხედავად დაავადებისა (მას სავაად-მყოფოფოში ათავსებენ), შემოქმედების სურვილი და

ნახ. 10





ნახ. 11

შესაძლებლობანი არ შენელებულა. მხატვარი ათასობით ნახატს ქმნის, რომელთაც დიდ მხატვრულ ღირებულებას ანიჭებს და თხოულობს მათ შენახვას.

დებრეციული მდგომარეობისა და ღრმა სასოწარკვეთილების შემდეგ ავადმყოფი ექსტაზის და თვითმკაცოფი-ლეების მდგომარეობაში ვარდება. პერმანენტულ პალუკი-ნაციების ფონზე სხვადასხვა ბოღვითი იდეები უჩნდება. კ. პილის ნაწარმოები მდიდარია მრავალფეროვანი მოტივე-ბით და ფორმებით. შიზოფრენიით დაავადებული ზოგიერ-თი მხატვრისათვის დამახასიათებელი რიგიდულობის სა-წინააღმდეგოდ, ცალკეულ მის ნახატებში ინტენსიური ემოცია და მოძრაობა ვლინდება: კატაკლიზმები, ხანძარი, ქარიშხალი, ქართი ძირფეხიანად ამოვლევილი ხეები.

ნახ. 12



მისი მოკლე ხაზები ვან-გოგის მსგავსია, მოქნილი ცხოველი. დინამიური ძალა, ხაზების თამაში ორი მხატვ-რის დიდ მსგავსებაზე მეტყველებს.

თუ მოძრაობა მხატვრობაში ძლიერია, სიგრცე ხშირად არის დამახინჯებული. მხატვარი სამი განზომილების კლა-სიკურ პერსპექტივას ფლობს, მაგრამ ხშირად შორდება მას და არ კმაყოფილება ვიწრო და ტრადიციული ჩარჩოვ-ბით. პერსპექტივა დამახინჯებულია, ცარიელი ადგილები ჩნდება მის კომპოზიციაში; სიგრცეებს ახლა ავადმყოფი სუვილებით და მცენარეებით აკოვებს. მისი ნახატები პა-ტარა ფორმატისაა. მხატვარს უჩნდება ტენდენცია მონუ-მენტალობისადმი. ხელოვნების ისტორიის სახელმძღვანე-ლოდან გადმობატული ევოპტური ტაძრები, ქანდაკებანი, ციხე-სიმაგრეები გრაფიკული სილამაზით ორიგინალუბს აღემატებს. მის ნაწარმოებში შევადგება სიდიდისა და მარადისობის გრძნობა. მონუმენტალობასთან დაპირისპი-რებულია დეტალების დამუშავება.

კ. პილი უბრუნდება პრეისტორიულ ეპოქას და მის ჰეიზავისტის ფუნჯს სცვლის ცარცი და კალამი, რომლი-თაც სკანდინავურ ფოლკლორს, მითოლოგიას და ბიზილურ თემებს ქმნის; არქაული ანტიკა მას ხიბლავს და ადვილად უკიდურეს ინფანტელიზმზე გადადის. ძლიერი ენებიდან სიმშვიდეზე.

კ. პილის მხატვრული პროდუქცია განუწყურლად არის დაკავშირებული მის ბოდეებთან, იგი მის სისტემაში შე-დის. კ. პილის სდვენინდენ დემონები, რომლებმაც მთელი მისი სახლი, მისი სხეული დაფარეს. ისინი მას შურრაცხ-ყოფენ, მის ბედს განაგებენ, ისინი დაუსრულებულ სერიე-ბად მრავლდებიან და ამაშია მათი ძლიერება. კ. პილმა მთელი რიტუალი შექმნა, განსაკუთრებით, კვების გარშე-მი. მხატვარი, როგორც ჩანს, სარგებლობს ნახატებით — იმისათვის, რომ მათი ფიქსაცია მოახდინოს და ამ გზით მოახერხოს რათეხსულება. ამრიგად, მისი მხატვრული პროდუქცია გიტუალში შედის, მწერები დახატულია ყველგან, სადაც კი ეს ბოროტი სულები არსებო-ბენ.

მხატვრის მიერ ჯანმრთელ მდგომარეობაში შექმნილ პროდუქციას და დაავადების დროს შექმნილ პროდუქციას შორის უფსკრულია. დაავადებამ კ. პილი ახალ სამყაროში გადაასროლა. მან ყოველგვარი კონტაქტი დაკარგა სინამ-დვილესთან. იგი ხანდახან მიმართავს ძველ მოტივებს, მაგრამ ისინი მნიშვნელოვნად სახეშეცვლილი გამოიყურე-ბიან. ნახ. № 8, 9, 10.

ასეთივე ტრანსფორმაცია, სტილის შეცვლა იჩენს თავს ავადმყოფების ისეთ ნახატებში, რომლებიც ხატა-ვენ მკურნალობის შემდეგ. დაავადების დროს ნახატები უფროში, დაუმთავრებელი, ანსტრაქტულია; განკურნებას თან სდევს უკეთ განვითარებული ფორმები, სოციალიზი-რებული, ფერთა და ფორმით მდიდარი, უფრო ობიექ-ტური, რაციონალური და შეკრული.

სულით დაავადებულთა მხატვრობაში მრავალი ფენო-მენი, შექანზიში და კანონი ვლინდება: სიმბოლოზიში, ინ-ტელექტუალური რეალიზმი, მოდელისადმი მიწებება,



ნახ. 13

სტილიზაცია, ხატების შემჭიდროება, ავლიუტინაცია და სხვ.

მკვლევარების უმრავლესობა ნახატებში მდიდარ სიმბოლიკას ხედავს. სიმბოლოს პათოლოგიურ მხატვრობაში დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი პოლიგალენტურია. რაც უფრო ღრმაა რეგრესია. მით უფრო მეტია სიმბოლური და დეფორმირებული პროექციები — პიროვნების განცდების გამოვლინება.

ზაგვრისა და პრიმიტივის ხელოვნების ერთ-ერთ თავისებურებას ინტელექტუალური რეალიზმი წარმოადგენს და, ზოგიერთ მკვლევართა აზრით, აღქმის გამოცდილების უპირობო უნდა იყოს გამოწვეული.

ავადმყოფი მხატვარი საკანის გადახატვის დროს, მიმართავს რა შინაგან სქემას, ფიქრობს, რომ საკანი ისეთია, როგორც ცოდნაც აქვს მის შესახებ, და არა ისეთი, როგორც იგი მის წინაშე ობიექტურად წარმოსდგება. აქ ხდება ობიექტური რეალობის შენაცვლება სუბიექტური რეალობით. სულით დაავადებულთა ნახატებში გვლინდება ინტელექტუალური რეალიზმის დამახასიათებელი ნიშნები: გამჭვირვალობა, თვალსაზრისების აღრევა და სხვ. გამჭვირვალობა წარმოადგენს ხერხს ნახატში საგნების გამოსახვისა, რომელიც დამკვირვებლის თვალისთვის დამალულია. მხატვარი ხატავს იმ ელემენტებს, რომლებიც არ ჩანს, დაფარულია სხვა საგნით და ხატავს წარმოადგენით.

ავადმყოფი მხატვრისათვის საგნების ზოგიერთი ნაწილი ზევითაა მოჩანს, ზოგიერთი ნაწილი კი ქვევითაა. ამგვარად, იგი ერთდროულად ხედავს ანფასს და პროფილს. ხატავს პროფილს, მაგრამ ურთავს ანფასის ელემენტებს, ხოლო თუ ხატავს ანფასს, ამატებს პროფილის ელემენტებს. ნახ. № 11.

ხშირად ავადმყოფს შემოქმედებისათვის სჭირდება მოდელი. პარანოიდული ავადმყოფისათვის დამახასიათებელია მოცემული მოდელის სტრუქტურის მოდფიკაცია, მისი გადაშენება. ეპილესიით და შიზოფრენიით დაავადებულები მოდელს ეწებებიან. ეპილესიით დაავა-

დებულისათვის მიწებება პირველადია; იგი მთლიანად, სპონტანტურად ეწებება. შიზოფრენიით დაავადებული ობიექტური სამყაროდან გაქცევის წინ არჩევულებრივად ეწებება. აქ ფენომენი მეორადია, რეაქტიული. ეს კომპენსაციის რეაქციაა.

სტილიზაცია, ცნობილი გერმანელი ფსიქიატრის — ე. კრეჩმერის — განსაზღვრით, ვარდის მიღებულ ხატებს იმრიგად გარდაქმნის, რომ საბოლოო გამოსახულება კომპრომისულ ფორმას მიიღებს გარედან მიღებულ ხატსა და სუბიექტის პიროვნულ ტენდენციებს შორის. ტენდენცია აიძულება არსებითი გამოავლინოს. ფორმა გაამარტივოს და გაიმეოროს, დაამყაროს სიმეტრია, მოტივის ორნამენტალური გამრავლება მოახდინოს. სტილიზაციის ძლიერი და შეუპოვარი ტენდენცია აღინიშნება შიზოფრენიით დაავადებულთა მხატვრობაში. ნახ. № 12.

ხატების ავლიუტინაციის, შემჭიდროების კანონი პრიმიტიულია, ზაგვრისა ან პათოლოგიურ სფეროში გვლინდება ისე, როგორც სიზმარში, მითვში და ზოდებში. პათოლოგიურ ნახატებში ავლიუტინაციები იძლევა რთულ და ჩამოყალიბებულ ხატებს (სფინქსი, კენტავრი, გრიფონი და სხვ.). ავადმყოფი თავის ნახატებში ადამიანური, ცხოველური და მცენარეული ფორმების კომბინაციას ქმნის. დასასრულს, მოკლედ, იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ყოველი პლასტიკური გამოსახულების კოორდინატებს შეადგენენ. ეს ფაქტორებია: სიგრცე, დრო, მოძრაობა და ფერი.

სიგრცე მხატვრობაში ზედამიერს საშუალებით არის მოცემული: ორგანოზომილებიანი — მხატვრისათვის, ხოლო სამგანზომილებიანი — ქანდაკებაში და არქიტექტურაში. პათოლოგიურ მხატვრობაში შემჩნეულია სუბიექტური სიგრცის მიმართება რეგრესიის მდგომარეობასთან: დეზორგანიზებული სიგრცის გამოსახვა ემთხვევა ავადმო-

ნახ. 14 და 15





ნახ. 16



ნახ. 17

ფის მიმე დარღვევების მდგომარეობას. ორ ან სამ-გან-ზომილებიან სივრცეში გამოიყენება ფიგურა და ფონი. შიზოფრენიით დაავადებულით ნახატებში, როგორც გამორიკვა, ფიგურა — ფონის ურთიერთმიმართება დარღვეულია. მაგალითისათვის მოგვყავს კატების ნახატების სერია, რომელიც ურთიერთმიმართების დარღვევის აშკარა პროცესს გვიჩვენებს.

კატა ცოცხლადა დახატული აგრესიული თათით. მაგრამ ფონის ფრაგმენტოზაცია, სტილიზაცია იწყება, გადადის ნათელ მოზაიკაში, ფონი თანდათან სუბიექტს მოიცავს; თვალი დიდდება და ფურათი იფარება. კატა ორნამენტაციის რიტმში ჩაერთვის. იგი სრულიად ქრება დეკორში. ნახ. №. 13, 14, 15, 16, 17.

ნაკლებად არის შესწავლილი დროის ფაქტორი. პლასტიკური მასალა კვლევის მდიდარ შესაძლებლობას იძლევა. საინტერესოა, როგორ ვლინდება დროის ცნება დაავადებულთა სხვადასხვა მდგომარეობის შემთხვევაში.

დავიკრების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ მანიაკალური მხოლოდ აწმყოში ცხოვრობენ, მომავალზე არ ზრუნავენ და წარსულს უარყოფენ. თავისი წარსული დაბეჩავებულნი, მელანქოლიით დაავადებული მომავალს უარყოფს. დრმა რეგრესიაში მყოფი, შიზოფრენიით დაავადებული უსსოვარ დროშია გადახვეწილი და დროის ცნების სრულ უარყოფამდე მიდის (აზრი პეტრიფიკაციაზე — გაქვევებაზე, ვეცეტალიზაციაზე — მცენარედ გადაქცევა, სიკვდილზე ანდა, პირუკუ — უკვდავებაზე და სხვ.).

პლასტიკურ ხელოვნებაში დროის განცდის შეფასება შესაძლებელია სივრცის სიმოილიზმის შესწავლით; მარც-

ხენა — წარსულის სიმბოლოა, ცენტრი — აწმყოში, მარჯვენა — მომავლის სიმბოლოა და სხვ.

ნახატების შესწავლის საფუძველზე, ხშირად მტიყდება კონფლიქტის — ავადმყოფის განცდის აქტუალიზაცია ან დეპრეტულიზაცია: ნახატში დღევანდელი განცდა აისახება თუ წარსული. აღსანიშნავია, რომ პათოლოგიურ პროდუქციაში აქტუალური მხატვრობა ძალიან იშვიათია. ავადმყოფები უფრო ქრისტეს და ნაოლეონს ასახავენ, ვიდრე თანამედროვე ისტორიულ პირებს.

მოდრაობა მკვიდრო კავშირში იმყოფება ორ ზემოაღნიშნულ ცნებასთან: სივრცესთან და დროსთან, რომელთა პარამიული შეერთება მოძრაობის სწორ და ადეკვატურ გამოსახულებას იძლევა.

ქრონიკალურ ფორმაში მყოფ შიზოფრენიით დაავადებულითა სპონტანურად შესრულებული ნახატები მოკლებულია სრულიად მოძრაობის ყოველგვარ ნიშნებს. ხაზების რიგიულობა, მათი მოუქუნელობა ქმნის დეკორატიულ და აბსტრაქტულ გამოსახულებას, რის გამოც ნახატი გაშეშებული და გაქვევებულია, უძრავი და უსიცოცხლოა. ფართო, თანამიმდევარი ფენებით განლაგებული ცივი ფერები უძრაობის შთაბეჭდილებას აძლიერებს და არაფერს ემოციონალურს არ მატებს გამოსახულებას. ასეთივე ხასიათის უძრაობას აქვს ადგილი ზოფიფიით და აუკიატებულ მდგომარეობით დაავადებულების პროდუქციაში. მანიაკალური ავადმყოფები ნახატებში ახდენენ მოძრაობის განტეხილვას, მხოლოდ ეს მოძრაობა კორინტილისებურია, არაორგანიზებული.

გაუანასაღებსთან ერთად, მოძრაობა მკვანდება, სივრცე ინტეგრირდება (ერთ მთლიან შეადგენს), კონფლიქტები უფრო აქტუალური ხდება, ფერები გაცილებით ცოცხალი, ხოლო კომპოზიცია უფრო მდიდარი.

მკვლევარების უმრავლესობა სთვლის, რომ დაავადებულითა ნახატებში ფერთა სიმბოლიზმი შეესატყვისება ფერთა სიმბოლიზმის ტრადიციულ გაგებას.

ცნობილია, რომ ფერებსა და აღმნიანის სულიერ მდგომარეობას შორის შესატყვისობა აღინიშნება. შეკვებებისა და განავაშის მდგომარეობა თანდათანობით ფერების დასავლელში ვლინდება. წითელი ფერი თავისუფლების ექსპრესიის მაჩვენებელია; შავი — სიძულვილის; მწვანე — აღმავლობის; ცისფერი — მარადიულობის. ფერებს თითქმის ყოველთვის ბოჰოლარული მნიშვნელობა აქვს. მაგ. წითელი — დადებითად — სიძლიერეს, ყოვლად შემძლის ნიშნავს, შრომაში — სიხარულს; უარყოფითს — ომისა და განადგურების სიმბოლოს.

შიზოფრენიით დაავადებულნი უპირატესობას ისეთ ფერებს აძლევენ, რომლებიც იშვიათია ნორმალური ადამიანისათვის. შიზოფრენიით დაავადებულებს ახასიათებთ განხეთქილება ფერსა და ფორმას შორის. სპეციალურმა ცდებმა დაგვანახა, რომ შიზოფრენიით დაავადებული ფერადი ლაქების გააზრების უნარისა მოკლებული და ფერზე ხშირად შოკით პასუხობს.





თ. წულუკიძე ილტანის როლში („ზაგუმუ“)

თამარ წულუკიძე

ბაბო მკვლელიძე

მისი ოთახის კედლები არ არის მოკაზმული სხვადასხვა პორტრეტებით, სურათებით, ნაირფერადი გობელენებით, აქ, თითქოს ორი არსება სუნთქავს, მხოლოდ: პატარა ბავშვი ნათელი თვალებითა და გულდასაწყვეტ ეჭვიანება ცოცხალი ყვავილების ნორჩ ყლორტებს, რომელიც ნაზი ხვეულებით ვადადის მეორე ნათელ არსებასთან — მოხდენილ ევროპულ ტანსაცმელში მოსილ ფართო-თვალეზიან ახალგაზრდასთან, შთაბეჭდილებელი იერიით. უნებურად ჩერდები ამ გამოსახულებებთან, მაგრამ თუ აქ შესს განცდებს გასაქანი მოცი, ცრემლები დაგახრჩობს. უმჯობესია აარიდო თვალი.

ამ ოჯახის დიასახლისი — თამარ წულუკიძე მასპინძელიური თავაზიანობით მხვდება. მე დიდი ხანია არ მინახავს იგი. მასსოვს ქუჩაში მიმავალს აუღივებებოდი ხოლმე. შორიდან ვეტრფოდი, დაახლოვებისა და გაცნობის სურვილი არ მეზადებოდა. შემიწონდა არ დარღვეულიყო ის მომხიბვე-

ლელი რაღაც, რაც მისგან იგრძნობოდა სცენაზე თამაშის დროს. მე ხომ არც ერთს საექტაკლს, სადაც იგი მონაწილეობდა, არ გამოვტოვებდი ხოლმე. აი, ეხლა ჩვენ ერთმანეთის პირდაპირ ვხვდევართ, ის რაღაცას მაიმობობს, მე შეეჩერებვიარ მისი სახის შორბობას, გემის მისი ხმა... ფიქრი კი ჩემს მოსაუბრეს ცილდება. ვაჟნევე კედლის კუთხეში ჩასმულ ფერად-ფერად ყვავილების თიავულს. რა შესანიშნავი ფერებია, ფიქრობ. — არსებულ კოლორიტს უფრო მეტად მოვწყდი. ჩემი მოსაუბრის შორეული ნაირ-ფერადი სახე დამიდა თვალწინ: მზუბა-მზუ, ილტანი, ლატარა, ლამარა, ამალია, ოფელია, ქსენია, ლია — ერთმანეთში აირია, — ხან ერთი დამიდა თვალწინ, ხან მეორე. თამარ წულუკიძის ცხოვრება სცენაზე მისგან დამოუკიდებელი მიზნების გამო სულ რაღაც ათი წლით შემოიფარგლა, მაგრამ ეს ათი წელიც საკმარისი გახდა, რომ ამ შესანიშნავ მსახიობს განსაკუთრებული, თავისებურად ძლიერი კვალი დატოვებინა თეატრის ისტორიაში.

თამარ წულუკიძე, როგორც პიროვნება, ჩამოყალიბდა ქართულ ტრადიციულ ოჯახში. მამა — გრიგოლ წულუკიძე ლიტერატორი, — დედა ლიტერატურის კარგი მოკიდე, იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული ადამიანი. „თუმცა რუსულ სკოლაში ვიზრდებოდი (ბაქოში), მაგრამ მშობლების წყალობით ქართული ენა გულში ჩაგვრჩა, — იქ ღრმად გაიდგა ფესვები“ — ი ამბობს თამარი. დედა, ვიდრე დაოჯახდებოდა, მუშაობდა ლალო მესხიშვილის დასში — მაქსიმოძის ფსევდონიმით, — შემდეგ კი შალვა დადიანთან ბაქოში. ბაქოში ამ დროს ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მეშვეობით შედგა სცენისმოყვარეთა დასი, აქ რამოდენიმე სეზონი მოღვაწეობდნენ ელო ანდრონიკაშვილი, შალვა დადიანი, იუზა ზარდალიშვილი, შალიკაშვილი, ლალო გვიგეჭკორი — (გამგეობის წევრი და სხვ.) გასტროლებზე ხშირად ჩამოდიოდა ნუცა ჩხეიძე, მათ შორის იზრდებოდა თამარი.

შემდეგ: 1920—21 წლები. თბილისი. II ქალთა გიმნაზია, მასწავლებელმა ანა ხახუტაშვილმა შეადგინა დრამატული წრე, გამოცხადდა კონკურსი. ამ კონკურსით გამარჯვებულ მოსწავლეებს წილად ხვდათ თეატრში ერთ-ერთმკვდებთან კომედიაში — „უშელური დღე“. თამარს ებრაელი ვაჟის — ყობის როლი არგუნეს. (დახე, ბედის ტრიპოს! ვერიკო ანჯაფარიძე მე პირველად დარისპანის როლში ვიხილე — მ. მ. დ. კ. „დარისპანის გასაკვირი“).

ზემოხსენებულ როლში თამარმა გაიმარჯვა. გამარჯვება მოუპოვა თვით როლის ხასიათმა: ეს ყობო, ბების მიხედვით საბოლოოდ ვარდებოდა ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში და ალბათ, ამ ტრაგიკულმა ელემენტმა გადაწყვიტა ჩემს სასარგებლოდ ეს როლი, იკონებს თამარი დღითით.

გიმნაზიაში მას ემარჯვებოდა დრამატულ სიუჟეტთან პატარა მოთხრობების კითხვა. ამხანავთა შორის „გრძნობიერი მკითხველის“ სახელი ქონდა. სკოლა ხომ პირველი გამომავლინებელი არუნა მოზარდის მომავალი თვისებებსა და მიდრეკილების.



გიმნაზიის დამატარების შემდეგ დაიწყო მისი სცენურ-რომანოვანობა ქართულ კლუბთან არსებულ თეიმომქმედ დრამატულ წრეში (სუბმათავილი-იუენის სახელობისა) და „სახალხო სახლში“ (ქვლანდ. მარჯანიშვილის სახ. თეატრი), სადაც ითამაშა პიესაში: „დამზარდი წაღკოტა“.

1922 წელს შევიდა თეატრალურ სტუდიაში. ეს იყო საბჭოთა საქართველოში პირველი თეატრალური სტუდია, რომელმაც გამოზარდა მთელი თაობები დღეს საქვეყნოდ ცნობილი მსახიობებისა.

თამარმა სტუდია დაამთავრა 1924 წელს და იმავე წელს მიიწვიეს რუსთაველის სახ. თეატრში.

— უმთავრესი საშუალება ქართული თეატრის აღორძინებისა და განახლებისათვის არის ახალი ძალების მოპოვება, მათი აღზრდა. მხოლოდ ახალი ძალები — განათლებული, მცოდნე ინტელიგენტი მუშაკი იხსნის ქართულ სცენას, დაამკვიდრებენ მტკიცე ნიადაგზე და შეაძლებინებენ გაუწიებლ ხალხსა და ქვეყანას ის სამსახური, რაც ნამდვილ ხელოვნების ტაძარს — თეატრს მოეთხოვება“ — ამიართავს ახალგაზრდა კადრებს სტუდიის დამაარსებელი და ხელმძღვანელი აკაკი ფაღავა. (სტუდიელთა შორის იყვნენ აკაკი ხორავა, ცეცილია თაყაიშვილი, ვასო გოძიასვილი, პიერ კობახიძე, თამარ წულუკიძე, მაყვალა მრეკელიშვილი, გოგუცა კუპრაშვილი).

ჩვენი ეპოქის ოციანი წლები ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში დიდი გარდატეხის წლებია. მე—19 საუკუნის თეატრი თუ უმეტესად ეროვნული — განმათავისუფლებელი მოძრაობის ნიშნით მიდიდა, რაც მძლავრ ტალღად მე-20 საუკუნესაც გადმოვიდა. („სამშობლო“, „ლაღალატი“, „პატარა კახი“, „ქეთევან წამებული“, „და — ძმა — და სხვ.). — ამ საუკუნეშივე მეორე დიდმა მძლავრად მოხეთქულმა ტალღამ იჩინა თავი. — ეს იყო 1905 წლის მუშათა მოძრაობა, რომელიც ასეთივე სიძლიერით გამოვლინდა დრამატურგიაში — ორიგინალურსა და ნათარგმნ პიესებში. — („ქობისი“ — ივ. გომართლისა, „კაი გრაკისი“, „ედმონდ-კინი“, „ჟან და მადლენა“, „ფეიქრები“ ჰაუბტ-მანისა და ბერტი სხვა. ეს იყო დრო, როდესაც სცენა ტრიბუნად იქცა და მავურებელი მის უშუალო მონაწილედ რეპეტციის წლებში და განსაკუთრებით 1914 წლის მსოფლიო ომის წლებიდან თეატრმა თანდათან დაკარგა თავისი პროფესი. გაუფერულდა სცენა, მავურების მოთხოვნაც მერყევი გახდა. ის „დევემირული ხმა“, რომლითაც მავურებელი ემბაურებოდა თეატრს, — თითქმის საღიაც მიწყდა. — სცენა და მავურებელი ხომ ერთი გულის ძეგრა. ხალხს, როდესაც ვარკველი ძლიერი სულისკვეთება აღაგზნებს, დრამატურგიაც მაშინ ისხამს ფრთებს, — თუ ეს აღგზნება არ არის, შემოქმედებითი მუშაობაც წყდება.

1923 წლიდან ქართულ თეატრს მოველინა ძლიერი სულისა და ფართო გაქანების რეჟისორი, — დიდი გონებისა და ერუდიციის ადამიანი კოტე მარჯანიშვილი, 1926 წლიდან თეატრს ხელმძღვანელობს ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორი ალ. ახმეტელი.

ამ თვალსაჩინო რეჟისორების ირგვლივ დაირაზნენ

მწერლები, დრამატურგები, მოწინავე ქართველი საზოგადოებები. თეატრს არ ახსოვს ამდენი სხვადასხვა ეანრისა და ხასიათის პიესები — ორიგინალური, ნათარგმნი, გადმოკეთებული, ვასცენიურებული. — ხალხის ენთუზიაზმი, მიდრეკილება, ინტინქტი, ამ დროს ქართული თეატრის ირგვლივ იყო, — მსჯელობდნენ, კამათობდნენ, ხმაურით გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, კმაყოფილებას, — ტაშს უკრავდნენ, აღტაცებაში მხოლოდნენ... არც ერთი პრემიერა არ ჩატარებულა, რომ საზოგადოება და პრესა ფართოდ არ გამოხმაურებოდა მას.

რა მშვენიერი და დაუვიწყარი იყო ეს დრო, და რა სიამოვნება იყო ჩვენთვის, ახალგაზრდა მსახიობთათვის, რომ გვექნა ბედნიერება ვყოფილიყავით ხელოვნების ამ დღესასწაულის აღტაცებული, თუმცა ჩუმი მონაწილენი — იგონებს მსახიობი თამარ წულუკიძე.

თამარ წულუკიძე ამ დროს 20 წლისა თუ იქნებოდა, მარტო იმიტომ, რომ კ. მარჯანიშვილმა მას იმთავითვე შეტაცა საპასუხისმგებლო როლები მიანოდ, მეტყველების მის უშუალო არსებულ ნიჭზე, მაგ. ოფელიას როლში კ. მარჯანიშვილმა ის გამოჩენილი მსახიობის, ვერკო ანჯაფარიძის ბელობიარად დანიშნა.

მე ძალიან მოყვარდა ვერკო, — იგონებს მსახიობი, მაგრამ მე როგორც აქტიორი, გავურბოდი მის გავლენას ამ როლში. მეშინოდა მისი მომიხიზველი თამაშის ზეგავლენის ქვეშ არ მოქცეულიყავი უნებურად და რაიმე შტრიხში არ მიმებაძა მისთვის, ამიტომ ვცდილობდი არ ვყოფილიყავი დარბაზში, როდესაც იგი რეპეტიციას ატარებდა. კონსტანტინე აღუცსანდრო-ძე, ეტყობოდა ამჩვენება ამახს და ერთხელ, დილით, როდესაც იგი მიემართებოდა სარეპეტიციოდ დარბაზში — კორიდორში კარს უკან აყუდებული რომ დამინახა, მომიხიზ.

— შენ რეპეტიციას რატომ არ ესწრები?

— დღეს ანჯაფარიძე ატარებს რეპეტიციას.

— მოვალე ხარ იჯდე ყველა რეპეტიციაზე და ხეადე,

როგორ მუშაობენ სხვები — მოთხრა მან მკაცრად.

მე მისმა მოჩინებულ კილომ შემაშინა და შემერთოლმა და აღელვებულმა საკმაოდ არეულად დაეუწყე ახსნა, თუ რატომ არ მინდა ამ შემთხვევაში ვუსწირო ვერკოს. ის გამომწვევად მიუტრებდა სახეში, სანამ მე ვცაპარაკობდი, მიბღერდა. მისმა გამომეტყველებამ მე უარესად დამაზნა, დაწყებული წინადადება ვერ დავამთავრე, თავი ჩავლუნე და დავდუმდი. ისიც გაჩუმდა. მეგონა, ამ სიჩუმეში საუკუნემ განვლო მეოთხე და ამ დროს გავიგონე სულ სხვა — ნაზი და მომფერე ხმა:

„შენ შეგიძლია არ შეგეშინდეს ამის. ზაძვენე ისინი, ვისაც რაღაც თავისი არა აქვს. შენ კი გაქვს ეს. გააკეთე ისე, რასაც გიკარნახებს შენი გრძნობა და ეს იქნება ძალიან კარგი“.

შემდეგ უყვარდა გაიკინა, მამობრივი აღერისით მომხვია ხელი და გულით, წყნარად დაამატა:

«Ты сама не знаешь, какая ты талантливая мерица!»

უშეველია, ეს შეხედვრა შემოქმედების იმპულსად აღი-

ზეტდებოდა თამარის არსებაში. დიდი რეჟისორის ეს ნდობა მსახიობმა გამართლდა.

1923 წელს კოტე მარჯანიშვილმა დადგა პიესა „მალ-სტრემი“. ამ პიესიდან დღემდის გამოყვანა სცენაზე განსახიერებელი დიდიური პიესაა, — მშვენი, ლამაზი საღამო და თამარ წულუკიძე თავისი პაეროვანი აღნაგობით, გრძნობათა უშუალოებით.

თურმე სინაზე არ გამოირჩეხავს ვაკეცობას. „მალსტრემის“ შემდეგ დიდმა რეჟისორმა რეჟისორული სინალინით და ექსპოზიციებით გამოაყენა იგი ქორეოგრაფიულ-მუსიკალურ პიესა-პანტომიმში — „მზეთაშუე“.

ეს მეტად ორიგინალური წართქერი დიდი რეჟისორისა, ასევე ორიგინალურად ფრთასხმული მის მიერვე, — ხელოვნების ისტორიაში უნიკალურ მოვლენად შეგვეძლია მივიჩნიოთ. თთარ ეკავის აზრით ხსენებული პიესა — პანტომიმია წარმოადგენს საბჭოური თეატრის სრული რეორგანიზაციის სათავეს.

მკვლევარს ერთ ადგილას მოყავს რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის გასაუბრება მსახიობებთან, რომელთა შორის სრულიად ახალგაზრდა მსახიობის თამარ წულუკიძის გულის ხმაყ მოისმის. მოგვყავს ერთი პატარა ნაწილი ამ გასაუბრებლიდან:

მ არ ჯ ა ნ ი შ ვ ი ლ ი — მამ შენ ცხოვრობ მზეთაშუის ცხოვრებით?.. ე. ი. მისი ინტერესებით, გრძნობებით, სიყვარულით?

წ უ ლ უ მ ძ ე — დიახ, მე დავაჯერე თავი, რომ რაც სცენაზე მოხდა, მართლაც მე ვაღამხდა.

მ არ ჯ ა ნ ი შ ვ ი ლ ი — როგორც იქნა! მაშასადამე, შენ გჯერა! შემომქმედება, ახსნაგებო, წარმოუდგენელია იმის რწმენის გარეშე, რასაც აკეთებ. სწორია, თამარ, შენ გჯერა და ჩვეუც გვეჯერა შენი..

„მზეთაშუე“ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ასე ყოფილა: ნამდვილი ხელოვნების კეთილი ნაყოფი დიდხანს სააზრდოებს, თურმე, ადამიანის გულს, — მატებს სიმხნევებს, ძალას, აფაქიზებს, ალაღებს დიდხანს, — და ვაი იმ ხელოვნებას, რომლისაგან მიღებული შთაბეჭდილება თეატრის საპარადო გამოსასვლელშივე რჩება!..

ხსენებულ პიესაში ძლიერად არის გამოკვეთილი წმინდა სიყვარულისა და დამოუკველი ვენების ქიდილი. თამარის სძლიერე, როგორც ტრაგიკული როლების საუკეთესო შემსრულებლისა, აქ გამოვლინდა პირველად. ახლაც თვალწინ მიდგას ფაქიზი, თავდადებული მიჯნურისა და მაღალანებობრივი ქალის, — აწ ცხოვრების ქარტხილისაგან აზრშეშლილის მზეთაშუის — თამარ წულუკიძის სცენური სახე.

გმირული-პეროიკული ხაზი, რომელიც მიყვება მთელ ამ პიესას, ნიშნული სტილია 30-იანი წლების საბჭოური დრამატურგიისათვის. „ლამარა“, „ლატარა“, „ანზორ“, „რდევია“, „ქართა ქალაქი“, „ზაგმუკი“ — ეს პიესები თეატრის რეპერტუარში დამკვიდრდა და დიდს წარმატებით ირეაღებოდა რუსთაველის თეატრში.

დრამატურგი გლეზოვი ერთი პირველთაგანია, რომელიც ახალ საზოგადოებრივ წრეში და საქმიანობაში იყო

ჩამბული. ახალი ტიპის საზოგადო მოღვაწე და მწერალი, მუშაობდა თვითმობედ კლუბებშიც კულტურმაყად. ამ ხანებს ეკუთვნის მისი პიესა „ზაგმუკი“, სადაც დრამატურგიისათვის სპეციფიკურ ხაზებში მოყვებულია დრამინდელი კლასთა პრძილის შტრახები.

ხსენებული პიესა წარმოადგენს ასურულ-ბაბილონურ ლეგენდას. მოცემულია მონების აჯანყება მზავერლების წინააღმდეგ — აქაც, როგორც გლეზოვის ყველა პიესაში, მოცემულია ინდივიდუალურისა და სოციალური საწყისების შეჯახება, ვადახლართვა, სადაც იმარჯვებს სოციალური საწყისები. პიესა მიმდინარეობს ფსიქოლოგიური რეალიზმის სტილში:

ილტანი — ერთ-ერთი მოქმედი პერსონაჟი ამ პიესისა, წერილი მოვაჭრის ქალიშვილია — 15-17 წლისა. იგი მონად გაყიდა მამამ, ძალმომიერობის ჭაობში მოქცეულს, გაუბედურებულ ილტანს წაართვის სატრფო ბელ-ნაიდი — კარის მემუსსეკე და იგი ბოლოს ისრაელი მეფის მოადგილის ნინგარსინის მხვეული შეიქნა. პატისნებასა და სინდისის დამცემელი მებრძოლი ადამიანი ძალმომიერობის მსხვერპლი გახდა.

პიესის „ზაგმუკის“ მოქმედ პირთა შორის: წერილი მოვაჭრენი, მიდარე მოვაჭრენი, ასურელი ჯარის უფროსები, ქურუმები, მოგვები, მეფის მოადგილენი, მეწერილ-მანეხი, ნიღბოსნები, მოცეკვეე ქალები, მემუსიკენი, ჯამბაზები, მათხოვრები და სხვ. — ყველა ამათში თამარ ილტანი ისე ჩანდა, როგორც ნაზი ველის ყვავილი, — მისთვის უცხაო ყველგოვე. რაც ირგველი ხედება, — არ იცის, რისთვის იტანჯვის, რისთვის აქციეს მონად.

„რისთვის, რა დავაშევა“, — ეკითხება იგი თავის თავს. „შენ არაფერი დავაშეგებია, შენ ხარ ყველი ძალიან ადრე გაშლილი“, — ეხმარება მას ამ შეკითხვაზე აჯანყების მეთაური არადა — უშანგი ჩხვიძი.

ეს როლი თამარისებური იყო — ლირიკულ-დრამატული — დამახასიათებელი მისი არტისტული მიდრეკილებისა და ამიტომ უხდებოდა მას ასე ძლიერად იგი. ბვერი ნიუანსები ჭკონდა ილტანის როლს და ეს მსახიობს ახალისებდა კიდევ. აქოტაქური სიკლით გამოვარდებოდა ხოლმე სცენაზე, მას უკან სატრფო — ბელ-ნაიდი მისდევდა. აქ მასურებელს მსახიობი თ. წულუკიძე აგრძნობინებდა ახალგაზრდულ უმანკობას, ტრფიალების სიწმინდეს, სილამაზეს.

მეორე მოქმედებაში კი, იქ, სადაც ილტანი უპირისპირდება ჯალათებს, მძარცველებს, მკვლელებს, მსახიობს სცენა მიჰყავდა ლირიკულ-დრამატულ ტონლობაში, რაც აგრეთვე მსახიობის ბუნებას მეტად ეკუთვნოდა.

ძლიერი სცენური ნიჭი თამარმა გამოავლინა აგრეთვე პიესისა „ლამარა“. ხსენებული პიესა ეკავს პომეების მოტივებზე აგებული. პიესის ფაბულა შემდგენიარად შეიძლება მოგვხვთო: ლამარას სიყვარული ერთმანეთს ეტოქნებან ძმები — მინდა და თორღად, ესენი ძალიან ჰგავანან ერთმანეთს. ლამარა მოიტაცა თორღვამ. მანვე მოჰკლა ლამარას ძმა — მურთაზი. იჩოს, ლამარას მამას, განზრახული აქვს აიღოს სისხლი. სისხლის აღებისაგან



იჩის ხელი ააღების მინდავმ. იგი, ვითომ თორღვა, იჩის გამოცხადდა, — მომალოო. იჩომ რომ გაიო სინამდვილე, მოეწონა მინდაის საქციელი, იშვილა იგი და ასე ჩამოვარდა მშვიდობა მათ შორის. ამგვარად, წმიდა სიყვარულმა გამოიღო კეთილი ნაყოფი: მშვიდობა და ზედწერება დამყარდა ძმებს შორის.

მასსოფ: თამარ—ლამარა. თითქოს იგი მართლაც პირზე იყო „სამზოვის გამოსული“. „შენი თქმა ტუბილია“, — ასე მიმართავენ ლამარას. მსგავსი ადგილები პიესის ტექსტიდან მოხდენილად ემთხვევადა მსახიობის სცენურ ბუნებას, მეტყველებას. თამარის ხმის ნაზი ტემბრი ახლაც მესმის, თითქოს. მისერის ხმა და სცენური მეტყველება ზვედრისა მხოლოდ რჩეულად და ვაი, რომ ასეთებს ბუნება იშვილთად იძლევა!

არც ერთი ბეჭა, არც ერთი სიტყვა ამ მსახიობისა არ რჩებოდა სენაზევე. როგორც ეს, სამწუხაროდ, ხდება ხოლმე, — იგი ტუბილი ქართულის ყველა დამახასიათებელი მონიშნო მაღაჟოდ ეფერებოდა მთელ დამახაზს...

ამიტომ შეიყვარა თამარი მაყურებელმა.

რუსთაველის თეატრში იმ ხანებში დიდი წარმატებით მიდიოდა ს. შანშიაშვილის პიესა „ლატავრა“. ამ გამოჩინებული დრამას ავტორი ს. შანშიაშვილი უძღვის პირო ჩხიძეს. ლატავრას როლს ასრულებდა თამარ წულუკიძე. ამგვარად, ორი მსახიობი შესახებოდა თვალწინ ამ პიესის ხილვით. პირველი: ქართული კლასიკური დრამატურგიის დიდებული სცენური სახე, ბურჯი ეროვნული თეატრისა, რომელიც მედგარი ბრძოლით და მტკიცე, ამაყი ნაბიჯებით მოყვებოდა ნარკელით მოყვნილ გზას, — ხოლო მეორე: რევოლუციისა და ბრძოლის ქარცხლებში გამოვლილი ქართული საბჭოთა თეატრი — ახალი სახეებით, სურათებით, ახალი გზების ძიებით, სვლით გაუგებლად გზაზე, — არა ნაკლებ საძნელო, ვიდრე ოდესმე იყო.

თ. წულუკიძე ქართული საბჭოთა თეატრის სათავეებთან დასა, როგორც არა მარტო მსახიობი, არამედ შერწყმულ-შეზავებული ახალ დროსთან, მასზე მიფიქრალი, მზრუნველი, მოღვაწე.

„ლატავრაში“ თამარი გამოჩნდა თავისი განუმეორებელი სცენური ნიუანსებით:

„კედებით ჩაუცვამს შუქის კაბა პაეროვანი, სხივის სარტყელი დაფრიალებს, წელს უნარანარებს, სიბრძნის უშრეტე სიხარული შემოიბურავს, ხელში უჭირავს რტო სიმშვიდის და სათიშების“.

ავტორის ასეთი რმარაკებს ზუსტად ემთხვეოდა თამარ წულუკიძის სცენური პორტრეტი.

